ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

26 — 27 ნოემბერი, 2011 №281 (5661) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+ „ბითლზები“
8 ლარი
23 ნოემბრიდან



## ირაკლი ალასანია: „ნაციონალების ნაწილი ჩვენს მხარეს გადმოდის“

გვ.3



## სააკაშვილი ივანიშვილთან მოლაპარაკებას აწარმოებს?

გვ.4

გარიგება არ უნდა შედგეს, თორემ სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე გახდება



## ილია II: „ლტოლვილები მალე თავიანთ სახლებში დაბრუნდებიან“

გვ.2

## გილაურის ძმის ბანკის სარეკლამო სახე სააკაშვილი გახდა

„მთავრობის 10 პუნქტიანი გეგმა ჯღანია“

გვ.6





## ხელისუფლებას სოფლის განვითარება არ აინტერესებს

გვ.5

## კოკოითი მიდის, ვინ იქნება პრეზიდენტი?

გვ.2



## გლდანში პროფესიული გადამზადების ცენტრი აშენდება

გვ.4

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## ნინო ძოწენიძე: „მეგობრები ყავასაც არ მადუღებინებენ“

გვ.8





## ივანიშვილის სოლიდარობის ნიშნად სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე ქუთაისიდან თბილისში ფეხით მოდიან

გვ.3



# ილია II: „ლტოლვილები მალე თავიანთ სახლებში დაბრუნდებიან“

თეა მარჩვაიძე

**საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II რუსეთიდან საქართველოში 24 ნოემბერს დაბრუნდა. პატრიარქი აეროპორტიდან პირდაპირ სამების საკათედრო ტაძარში წავიდა. უწმინდესს აეროპორტში მრევლი და სასულიერო პირები დახვდნენ.**

მის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე რელიგიათმცოდნე ბასილ კობახიძე ორიგინალური იდეით გამოვიდა. 22 ნოემბერს მან პორტალ „ტრიბუნა.გე“-სთან საუბარში პატრიარქისთვის აქციის მოწყობის სურვილი გამოთქვა.

ბასილ კობახიძე მიიჩნევდა, რომ რუსეთიდან დაბრუნებულ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს ქართველი საზოგადოების „მოაზროვნე და ნამდვილმა პატრიოტმა“ წარმომადგენლებმა აეროპორტში საპროტესტო აქცია უნდა დაახვედრონ.



როგორც კობახიძემ „ტრიბუნა.გე-ს“ განუცხადა, ჯერჯერობით საპროტესტო აქციის მხოლოდ იდეა არსებობს და გაიმართება თუ არა იგი, უცნობია.

— მე ეს იდეა გამოვთქვი და ჯერჯერობით რეალური კონტური ამას არ აქვს, თუმცა ვფიქრობ, რომ ეს მნიშვნელოვანია და იმის გამოვლინება იქნება, რომ არიან ჩვენს საზოგადოებაში ადამიანები, რომლებიც არ არიან ზომბირებულნი იმ ფსევდოპატრიოტული რელიგიური სლოგანებით, რომლითაც საზოგადოებას ეკლესია და მედია კვებავს. აქცია იმის დასტური იქნება, რომ საზოგადოებაში არიან მოაზროვნე და ნამდვილი პატრიოტი ადამიანები. ეს იქნება იმის ნიშანი, რომ ჩვენი საზოგადოება არის ცოცხალი და არაზომბირებული მონების ერთიანობა, — ამბობდა მაშინ ბასილ კობახიძე.

საპროტესტო აქციის მთავარ მიზეზად კობახიძე პატრიარქის რუსეთში ვიზიტსა და იქ გამართულ შეხვედრებს ასახელებს. იგი პატრიარქის რუსეთში ვიზიტს უარყოფითად აფასებს, რადგან მიაჩნია, რომ ეს ფაქტი კრემლს აძლევს საშუალებას, ეფექტიანად გამოიყენოს „ერთმორწმუნეობის მითი“.

— პატრიარქის რუსეთში ვიზიტი არის აბსოლუტურად უარყოფითი მოვლენა ისევე, როგორც მისი წინა ვიზიტი უკრაინაში, კიევში. ორივე ვიზიტი სრულად ჯდება კრემლის იმ პოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც მას აქვს საქართველოს მიმართ. ერთმორწმუნეობის შესახებ მითი არის აბსოლუტურად პოლიტიკური სლოგანი, რომელსაც კრემლი ძალიან ეფექტიანად იყენებს არა მარტო საქართველოსთან, არამედ სხვა ე.წ. მართლმადიდებლური ქვეყნების მიმართ, როგორიცაა უკრაინა, მოლდოვა, ბულგარეთი, სერბეთი, — აღნიშნავდა კობახიძე.

მას ასევე საგულისხმოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ რუსეთის საპატრიარქომ მხოლოდ იმ მართლმადიდებლური ეკლესიების წარმომადგენლები მიიწვია, რომლებიც მოსკოვის სატელიტებად მიიჩნევიან.

— რუსეთის პატრიარქ კირილის 65 წლის იუბილეც რელიგიურ-პოლიტიკური ღონისძიებაა და ასევე, საგულისხმოა, რომ იქ მიწვეულნი იყვნენ სწორედ ის მართლმადიდებლური ეკლესიები, რომლებიც მოსკოვის სატელიტებად მიიჩნევიან. კერძოდ, პოლონეთის, სერბეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის. ღონისძიებაზე არ იყვნენ მიწვეულნი კონსტანტინოპოლის პატრიარქი, კვიპროსის მთავარეპისკოპოსი და ალექსანდრიის პატრიარქი, — აცხადებს კობახიძე.

გარდა ამისა, კობახიძე ამბობს, რომ ვიზიტის შესახებ საპატრიარქო არასწორ ინფორმაციას ავრცელებდა, როცა ამტკიცებდნენ, რომ პატრიარქი რუს პოლიტიკოსებს არ შეხვდებოდა.

— შეიძლება ითქვას, რომ ვიზიტის დაწყებამდე საპატრიარქო ბოლომდე ცრუობდა მედიის წინაშე და ამტკიცებდა, რომ რუს პოლიტიკოსებთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან არანაირი ოფიციალური შეხვედრები არ იყო დაგეგმილი. თუმცა, პატრიარქი პირველ დღეს შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგორი კარასინს, რომელიც აქტიურად არის ჩართული საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ პროცესებთან. შემდეგ იყო პატრიარქის შეხვედრა მოსკოვის მაცხოვრის სახელობის ტაძრის დარბაზში რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან და, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ვიზიტთან დაკავშირებით, საპატრიარქოს ოფიციალურ ტყუილებს, შესაძლოა დავუშვათ, რომ შეხვედრა შედგა რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინთანაც, რადგან ის იმავე პერიოდში, იმავე შენობაში იმყოფებოდა, — აცხადებს „ტრიბუნა.გე“-სთან საუბარში კობახიძე.

კობახიძე გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ პატრიარქის ვიზიტმა შესაძლოა, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზება გამოიწვიოს, რადგან, მისი აზრით, რუსეთისთვის „ურთიერთობის ნორმალიზება“ საქართველოს მის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნებაა.

— რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება ყველა ნორმალური ადამიანის სურვილია, მაგრამ ისეთი პოლიტიკის პირობებში, როგორიც კრემლს აქვს, ერთადერთი „ნორმალიზება“ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საქართველო რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნდება. სწორედ ამ პროცესის შემადგენელი ნაწილია რელიგიურ-პოლიტიკურ-იდეოლოგიური დივერსია. კერძოდ, მართლმადიდებლური კავშირი ორ ერს შორის. სწორედ ეს აღნიშნა მედვედევმაც, როცა თქვა, რომ ეს არის ისეთი დუღაბი, რომელსაც ვერავინ დაანგრევს. სხვათა შორის, ხშირად იმეორებენ რუსი პოლიტიკოსები თუ საპატრიარქოს წარმომადგენლები ამ პროპაგანდისტულ სლოგანს. შესაბამისად, ვიზიტით „ნორმალიზებას“ ან რამე დადებით შედეგს არ უნდა ველოდეთ, რადგან რუსეთი საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის პროცესს აწარმოებს, რაშიც, სამწუხაროდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, საკუთარი ქადაგებითა და სწავლებით და ეს ვიზიტიც სწორედ ამ კონტექსტში ჯდება, — განაცხადა კობახიძემ „ტრიბუნა.გე“-სთან საუბრისას.

კობახიძის მსგავსად საქართველოს პატრიარქის მოსკოვში წასვლა ბევრს არ მოეწონა. განსაკუთრებით უკმაყოფილო ხელისუფლება დარჩა. ილია II მათთვის სათაყვანებელ ვარდების რევოლუციის დღეს აქ არ იყო. შესაბამისად ვერც თავიანთი სპექტაკლის მონაწილე გახადეს.

პატრიარქმა 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს მოსკოვში, წმ. გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში წირვა აღავლინა და რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

თბილისში უწმინდესი 24 ნოემბერს დაბრუნდა. მისთვის აეროპორტში საპროტესტო აქცია არავის დაუხვედრებია. როგორც ჩანს, ბასილ კობახიძემ ან მხარდამჭერები ვერ იშოვა, ან აქციის მოწყობა ვიღაც ჭკვიანმა გადააფიქრებინა.

ჩვენი საზოგადოება პატრიარქის ვიზიტისგან დიდ შედეგს ელოდა. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც სჯეროდათ, რომ რუსეთი დაკარგულ ტერიტორიებს დააბრუნებდა.

ჩვენი პატრიარქი ყოველთვის ამბობს, რომ მალე საქართველო გამთლიანდება. ამის მიუხედავად ის ამ ვიზიტისგან ამას არ ელოდა. მოსკოვური ვოიაჟით უწმინდესი კმაყოფილია.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II–ის შეფასებით, მოსკოვში მისი ვიზიტი იყო მნიშვნელოვანი და სასარგებლო ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისათვის.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ სამების საკათედრო ტაძარში ქადაგებისას პატრიარქმა ბრძანა, რომ მოსკოვში ვიზიტისას განსაკუთრებული ყურადღება დევნილებზე გამახვილდა.

— გვქონდა საუბარი ლტოლვილების შესახებ და იმედი გვაქვს, რომ ლტოლვილები თავის სახლებში დაბრუნდებიან, — ბრძანა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა.

მისივე თქმით, რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევთან და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათოლიკოს-პატრიარქ კირილთან შეხვედრისას ქართულმა მხარემ ქართველი მეფეების — ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის საქართველოში გადმოსვენების საკითხიც დააყენა.

— ვახტანგ მეექვსე და თეიმურაზ მეორე დაკრძალულნი არიან ასტრახანში და მათ აქვთ დატოვებული ანდერძი, რომ იყვნენ დასაფლავებულნი საქართველოში. ჩვენ ვთხოვეთ რუსეთის პრეზიდენტს, პატრიარქ კირილს, რომ ნება დაგვრთონ და გადმოვასვენოთ ჩვენი მეფეები. ახლა გადავეცით საბუთები და ეს საკითხი შესწავლის პროცესშია, — ბრძანა პატრიარქმა.

# კოკოითი მიდის, ვინ იქნება პრეზიდენტი?

**27 ნოემბერს ცხინვალში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. არჩევნების მეორე ტურში ოპოზიციონერი ალა ჯიოევა და ხელისუფლების ნებიერა ანატოლი ბიბილოვი გავიდნენ.**

თეა მარჩვაიძე

არჩევნების მეორე ტური აქ დიდ იშვიათობას არ წარმოადგენს. 10 წლის წინაც პრეზიდენტის გამოსავლენად აქ მეორე ტურის ცატარება გახდა საჭირო. სწორედ მეორე ტურმა მოიყვანა პრეზიდენტად ედუარდ კოკოითი.

აქ ხალხის გაოცება სხვა რამემ გამოიწვია. ცხინვალში არავინ არ ელოდა, რომ არჩევნების მეორე ტურში ქალი გავიდოდა. თანაც ის ქალი, რომელსაც თითქმის არანაირი რეიტინგი არ ჰქონდა. ოღონდ ეს მანამდე იყო, ვიდრე მას მხარს ანატოლი ბარანკევიჩი და ძამბოლატ თედეევი დაუჭერდნენ. ამ შედეგისთვის მამაკაც კანდიდატს რომ მიეღწია ასეთი წიოკი არ ატყდებოდა. ქალის გაპრეზიდენტება კი აქაურებისთვის წარმოუდგენელია.

ამაზე პირველმა ყურადღება კოკოითიმ გაამახვილა. მან 13 ნოემბერს გამართულ არჩევნებს სამარცხვინო უწოდა. თანაც მხოლოდ იმის გამო, რომ მეორე ტურში ქალი გავიდა.

— ეს იყო ყველაზე სამარცხვინო არჩევნები, სამხრეთ ოსეთის სათავეში ქალი ვერ მოვა, — განაცხადა რუსულ მედიასთან საუბარში კოკოითიმ.

ამის გამო ის ქალთმოძულეობაში დაადანაშაულეს. ვიდრე კიდევ რაიმე საეჭვო შეფასებას გამოჰკრავდა ხელს სასწრაფოდ თავი იმართლა.

— მე ქალების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს,. უბრალოდ ვთქვი, რომ აქ ქალი პრეზიდენტი ვერ გახდება. ეს ხომ კავკასიაა, — განაცხადა პრეზიდენტმა.

მის ამ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ოპოზიცია. ისინი ამტკიცებენ, რომ ქალს კავკასიაში და ოსეთში ყოველთვის წამყვანი ადგილი ეკავა.

თავად ჯიოევა ოპტიმისტურად არის განწყობილი. დარწმუნებულია, რომ არჩევნებს სწორედ ის მოიგებს.

ეს განცხადება მან ბიბილოვისა და მედვედევის შეხვედრის შემდეგაც გააკეთა. ეს შეხვედრა ვლადიკავკაზში გაიმართა. უმეტესობამ ეს შეხვედრა აღიქვა, როგორც კრემლის ღია მხარდაჭერა. ჯიოევა ამბობს, რომ მედვედევს მისი კონკურენტისთვის, მხარი არ დაუჭერია.

— როდის და სად თქვა მედვედევმა, რომ მხარს ბიბილოვს უჭერს. მან მხარი სამხრეთ ოსეთს დაუჭირა და არა რომელიმე კანდიდატს, — ამბობს ჯიოევა.

თავის გამარკვევაში ეჭვი არც ბიბილოვს ეპარება. რომელიც ჯიოევას პროქართულიბაში ადანაშაულებს.

— თქვენს კომებტარებს სისტემატიურად აქვეყნებს ქართული მედია. ახალგორში თქვენი საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი ქართველია, ამიტომაც ხართ თქვენ პროქართულად განწყობილია, — წამოაძახა ბოლო ტელედებატების დროს ბიბილოვმა ჯიოევას.




ამის გამო მას ნარანკევიჩმა სულ ხამი და უზრდელი ეძახა. მსგავსი შეფასებები კიდევ მრავლად გაკეთდა.

არჩევნების წინ ცხინვალში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. კოკოითი უკვე წავიდა. ახალი პრეზიდენტის ვინაობა 27 ნოემბერს გაირკვევა.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნინო კანდელაკი, მზია ქოჩიშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი ალასანია: ნაციონალების ნაწილი ჩვენს მხარეს გადმოდის



ქეთი ხომერიკი

**ვის ვიხილავთ ქართული ოცნების რიგებში, რატომ არ შედგა თანამშრომლობა ივანიშვილსა და ბურჯანაძეს შორის, რაზე ისაუბრა ბოკერია–უგულავასთან შვედეთში გამართულ კონფერენციაზე, იყურება თუ არა რუსეთისკენ, რა მიზნით მიემგზავრება აშშ–ში და როგორ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას „შემდეგი ხელისუფლების წარმომადგენელი“ ალასანია? „ახალი თაობა“ „ჩვენი საქართველო–თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერს ირაკლი ალასანიას ესაუბრა.**

**ირაკლი ალასანია:** – არ ვართ ამ პროცესში ჩართული, პრეზენტაციას ივანიშვილი და მისი გუნდი თავად აკეთებს. ჩვენ გვაქვს პარტნიორობა, რომელიც შედგა და გვაქვს კონსულტაციები ძირითად მიმართულებაზე ჩვენი საერთო პოლიტიკური პროგრამის, რაც შესათანხმებელია. ეს არის საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობის განვითარება, ადამიანის უფლებების დაცვა და სხვა. ყველა ამ მიმართულებით ჩვენ ვთანამშრომლობთ, რომ საერთო ხედვა გავაცნოთ საქართველოს მოქალაქეებს. ჩვენი თანამშრომლობა, ჯერჯერობით, ამით შემოიფარგლება.

***– არც ის იცით, რა ნიშნით მოხდება ამ მოძრაობაში წევრების შერჩევა, პრეზენტაცია აღარ გადაიდება? და როგორია თქვენი და ივანიშვილის ერთობლივი უახლოესი ნაბიჯები?***

– ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს ბიძინა ივანიშვილის მოძრაობა და შემდეგ უკვე იქნება კონკრეტული მოქმედებები. რაც შეეხება წევრებს, არ ვიცი, არ ვართ ჩართული და ეს არ არის ჩვენი საქმე, მაგრამ ჩვენ შევთანხმდით, რომ ვართ პოლიტიკური პარტნიორები, თუმცა, კარი დახურული არ არის სხვა პოლიტიკურ ძალებთან ურთიერთობისთვის, მაგრამ არა პოლიტიკური ერთობისთვის, ხაზს ვუსვამ ურთიერთობისთვის. ჩვენ არ ვყოფთ საქართველოს ჩვენიანებად და სხვისიანებად. ყველა მოქალაქე ჩვენთვის ისევე ძვირფასია, როგორც ჩვენი პარტიის ნებისმიერი წევრი, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს საერთო სახალხო მოძრაობად ჩამოყალიბდეს ქართული ოცნებისთვის ბრძოლა და ქართული ოცნების შექმნაში ყველამ მიიღოს მონაწილეობა.

***– და რა არის ქართული ოცნება?***

– ქართული ოცნება, პირველ რიგში, არის ის, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს განცდა იმისა, რომ არის ამ ქვეყნის შვილი და აქვს საშუალება თავისი წვლილი შეიტანოს ქვეყნის განვითარებაში. ის, რომ ადამიანები იყვნენ დასაქმებულები, ჰქონდეთ შესაძლებლობა საკუთარი შრომით არჩინონ ოჯახები. ასევე სამართლიანობა, ჰქონდეთ განცდა, რომ სამართლებრივად დაცულნი არიან და პოლიცია და სასამართლოც მათი უფლებების დაცვის გარანტორები იქნებიან. და, რა თქმა უნდა, ქართული ოცნებაა საქართველო იყოს სრულფასოვანი ევროპული ოჯახის ნაწილი და არა მხოლოდ, რიტორიკით, როგორიც ეს ამ ხელისუფლების პირობებშია.

***– სხვათა შორის, ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, ალასანიას ნატო და ევროკავშირი აღარ იზიდავს, რუსეთისკენ იყურებაო...– ასეა, ბატონო ირაკლი?***

– ეს არის მხოლოდ პროპაგანდა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების. ვფიქრობთ, რუსეთთან პრაგმატული ურთიერთობა უნდა გვქონდეს, თუმცა რუსეთი ვერასდროს გახდება ჩვენი წინაღობა ევროპაში და ევროატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანებისა.

***– თქვენი აზრით, ვინ დაიწყო 2008 წელს ომი და იყო თუ არა შესაძლებელი ამ ომის თავიდან აცილება? მალაშხია მოგიწოდებთ, მედვედევის ბოლო განცხადება, ომთან დაკავშირებული, გაასაჩივროთ...***

– არ ვიცი, მალაშხიამ რა თქვა, რაც შეეხება ომს, ალბათ, გახსოვთ ჩემი პოზიცია, რომელიც არ შეცვლილა და არის ის, რაც იყო 2008 წლის აგვისტოში უშიშროების საბჭოში, გაეროში, რასაც ვამბობდი და ვიცავდი. ეს არის ის, რომ ომი სუვერენული საქართველოს წინააღმდეგ აწარმოა რუსეთის ფედერაციამ და ფაქტია, დღეს ჩვენი ტერიტორიების – აფხაზეთისა და ცხინვალის მონაკვეთი ოკუპირებული აქვთ რუსულ სამხედრო შეიარაღებულ ფორმირებებს. ასე რომ, რუსეთის ფედერაცია არის საქართველოს ტერიტორიის ანექსიისა და ოკუპაციის მომწყობი. აქ სხვა შეფასება არ შეიძლება გვქონდეს არა მხოლოდ, ჩვენ და ჩვენს მოქალაქეებს, არამედ მსოფლიოში არავის, გარდა რუსეთისა, ბუნებრივია. მეორე – შეიძლებოდა თუ არა ამ ომის თავიდან აცილება, ბუნებრივია, შეიძლებოდა.

***– ხელისუფლება ირწმუნება, შეუძლებელი იყოო...***

– ხელისუფლების წარმომადგენლები, რა თქმა უნდა, თავის პოზიციას დაიცავენ ბოლომდე, მაგრამ ფაქტია, ბოლო წელიწად ნახევარის განმავლობაში, ომამდე, ჩვენ არაერთი შანსი გვქონდა, რომ პრაგმატული დიპლომატიით, შეთანხმებით აფხაზებთან, იმ დეკლარაციაზე, რომელზეც ვმუშაობდი, რომელზეც შევთავაზე სააკაშვილს ხელი მოეწერა (არ მოაწერა), მოწერის შემთხვევაში მინიმუმამდე დავიყვანდით, თუმცა მთლიანად ვერ მოვხსნიდით რუსეთთან საომარი კონფლიქტის გაჩაღების საფრთხეს. ეს წარსულია, ჩემთვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს, საქართველო, სააკაშვილის პირობებში უფრო პატარაა, ვიდრე ის იყო მის ხელისუფლებაში მოსვლამდე. ეს არის მისი მთავარი მემკვიდრეობა უსაფრთხოებისა და ტერიტორიული მთლიანობის კუთხით, რასაც ის უტოვებს ქვეყანას და ამას სჭირდება გამოსწორება. ეს კი არის უკვე ჩვენი პასუხისმგებლობა, შემდეგი ხელისუფლების.

***– შემდეგი ხელისუფლების? და როგორი იქნება ივანიშვილის გუნდის კონფიგურაცია, შედგება თუ არა პარტნიორობა ივანიშვილსა და ბურჯანაძეს შორის, რომლის წინააღმდეგიც თქვენ ხართ?***

– მე არავის არაფერში ვეწინააღმდეგები, ყოველთვის თავისუფალი არჩევანის მომხრე ვარ და ამ თავისუფალ არჩევანს ვაძლევ, როგორც ჩვენს პარტიას, ასევე ჩვენ პარტნიორებს, თუმცა რაც შეეხება ურთიერთობას, ზოგთან მაქვს ურთიერთობა, ზოგთან კი არა. პოლიტიკურ ერთობაში ვარ იმ ადამიანებთან და ვიქნები, რომლებთანაც ერთ ღირებულებით საფუძველზე ვარ. ამ შემთხვევაში, პარტნიორებს ვხედავ ივანიშვილში და რესპუბლიკელებში სამომავლოდ, სხვებს კი ამ პოლიტიკურ ერთობაში მე, ვერ ვხედავ.

***– ანუ, ბურჯანაძეს ვერ ხედავთ?***

– პირდაპირ მინდა გითხრათ – პარტნიორები ჩამოყალიბებული ვართ, რომ არ ვაპირებთ პოლიტიკურ ერთობას ბურჯანაძის პოლიტიკურ ძალასთან.

***– არც კირთაძეს და სუბარს ვიხილავთ თქვენს რიგებში? ითქვა, სუბარი უკვე ივანიშვილის გუნდის წევრიაო, ისე, მიესალმებით ამას თუ არა?***

– ამ ადამიანებზე საუბარი არ არის. მე, არ მინახავს იქ სუბარი... პოლიტიკურად ურთიერთობას ვაპირებთ ყველასთან, ვისაც აქვს საღი აზრი, მაგრამ პოლიტიკური ერთობა განსხვავებული საკითხია.

***– გასაგებია... რაც შეეხება შვედეთში საერთაშორისო კონფერენციის შემდეგ შემდგარ შეხვედრას თქვენსა და უგულავა-ბოკერიას შორის, რაზე ისაუბრეთ?***

– კონფერენცია მართლაც შედგა საქართველოსთან დაკავშირებით, სადაც ვიმყოფებოდი. ბუნებრივია, იქ იყვნენ არასამთავრობოების, ხელისუფლებისა და ოპოზიციის დანარჩენი წარმომადგენლებიც. კონფერენციაზე გვქონდა მწვავე პოლემიკა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა რაც სასარგებლოა საქართველოსთვის და მეტი არაფერი.

***– ნამდვილად? თქვენი და ბოკერიას შეხვედრების თემა კვლავ აქტუალურია... ახლა უკვე ლეიბორისტებიც აცხადებენ, რომ თქვენი შეხვედრები ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც კვლავ გრძელდება...რა გაკავშირებთ ბოკერიასთან იქნებ გვითხრათ, ბოლოს და ბოლოს?***

– ბოკერიაც და სხვებიც არიან ჩემი პოლიტიკური ოპონენტები და, ბუნებრივია, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც ჩვენ, გვაქვს ძალიან ცხარე პოლემიკა, თუმცა კიდევ ერთხელ ვიტყვი, ამის გარდა ჩვენ, არაფერი გვაკავშირებს ერთმანეთთან. და ისიც მინდა გითხრათ, რომ იმდენად განსხვავებული წარმოდგენები გვაქვს ჩვენ და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს, მათ შორის, ბოკერიას ქვეყნის განვითარებისთვის ფუნდამენტალურ საკითხებზე, რომ რაიმე კოორდინაცია და რაიმე ფორმით ურთიერთობა სამომავლოდ წარმოუდგენელია.

***– თქვენ აღნიშნეთ, რომ ხელისუფლების მეორე ეშელონები ნაციონალურ მოძრაობას აღარ სწყალობენ, რაიმე მოძრაობები ხომ არ შეინიშნება?***

– იგივეს გავიმეორებ ახლაც – ნაციონალურ მოძრაობაში და საჯარო სამსახურში მომუშავე ადამიანებში გაჩნდა დიდი ბზარი და, ასე ვთქავთ, კითხვის ნიშანი სააკაშვილთან დაკავშირებით. მათ ეჭვი შეეპარათ, რომ მას ქვეყანა სწორი მიმართულებით არ მიჰყავს და ბუნებრივად, მოხდება მიგრაცია მათი.

***– თავად ხელისუფლების რეაქცია-განწყობებზე რას გვეტყვით, ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ რა პოლიტიკურ რეალობაში აღმოჩნდა მმართველი გუნდი? ისე, სააკაშვილი ივანიშვილს არ ახსენებს, რატომ?***

– ეს იყო შეშინებული პოლიტიკოსის ნაბიჯები და რეაქციაები, რაც ქართუ ბანკის წინააღმდეგ განხორციელდა, თუნდაც მოქალაქეობასთან დაკავშირებით. იგივე, ჩვენი პარტიის წევრების წინააღმდეგაც, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. ეს არის პოლიტიკოსი, რომელიც არის დამფრთხალი, ისტერიული, მაგრამ ჩვენ, ვართ მეტი პასუხისმგებლობით სავსე, ვიდრე სააკაშვილი და გვინდა, სააკაშვილი თვითონაც არ გავიყვანოთ სამართლებრივი სივრციდან, მივიდეთ არჩევნებამდე და დავამარცხოთ ნაციონალური მოძრაობა და სააკაშვილი.

***– სააკაშვილს უნდა სამართლებრივი სივრციდან გასვლა? თქვენი მოქმედებები, აქტიურობა იქნება ხელისუფლების პიარმანქანის საპირწონე?***

– ყოველ შემთხვევაში, მისი ნაბიჯები ამაზე მეტყველებს. ერთი რამ რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ეს იქნება კონკურენტული არჩევნები. და ეს არის უკვე შეუქცევადი პროცესი, გუშინაც გორის რაიონში ვიყავი, მანამდე დასავლეთ საქართველოში, ორშაბათს ქუთაისში ვიქნები და აშკარად ეტყობა ხალხს, რომ ტყდება შიში და ეს არის საფუძველი იმისა, რომ გატყდეს ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაც.

***– რაც ივანიშვილის დამსახურებაა?***

– ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ განაპირობა ეს ახალი დინამიკა.

***– და აშშ სააკაშვილის რეჟიმს, ბოკერიასა და მის გუნდს მხარს აღარ დაუჭერს?***

– არა, აშშ ამ რეჟიმს, ნამდვილად, არ უჭერს მხარს და უნდა, რომ ეს რეჟიმი შეიცვალოს რეალურად დემოკრატიული მმართველობის ფორმით. იმ კვირაში ვაშინგტონში მივემგზავრები, შეხვედრები მექნება თეთრი სახლის სახელმწიფო ადმინისტრაციასთან, კონგრესმენებთან, სენატის წარმომადგენლებთან და იქ საუბარი იქნება ახლადშექმნილ რეალობაზე ქართულ პოლიტიკაში, საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადებაზე და იმაზე თუ რა უნდა გააკეთოს აშშ-მ, ხელი შეგვიწყოს, რომ ეს არჩევნები რეალურად იყოს კონკურენტული. საქართველო ემზადება ახალი ნაბიჯისთვის, რომელიც საპარლამენტო არჩევნების შემდეგ უნდა დაიწყოს ქვეყანაში და საქართველოს წინსვლის თანამონაწილე აუცილებლად იქნება და უნდა იყოს აშშ.

***– ამ საარჩევნო კოდექსის პირობებში, რომელშიც თქვენი შენიშვნები არ შევიდა, სამართლიანი არჩევნების ჩატარება შესაძლებლად მიგაჩნიათ, როგორ აპირებთ გამარჯვებას?***

– ჯერ ერთი, როდესაც დაიწყება განხილვები პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლის მხრიდან ჩვენი წინადადებები იქნება გაჟღერებული და საზოგადოებას კიდევ ერთხელ დავანახებთ რა არის გასაკეთებელი, რომ სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს. მეორე – ეს არის საზოგადოებრივი მოძრაობა, ტალღა, რომელიც შესაძლებელს გახდის, რომ ამ ვითარებაშიც მოვიპოვოთ მეტ-ნაკლებად სამართლიანი საარჩევნო გარემო. ჩემთვის მთავარია 80% მოქალაქეებისა მივიდეს არჩევნებზე, აი, ეს არის ჩემი ნომერ პირველი ამოცანა. მესამე – ჩვენ სერიოზულად ვემზადებით არჩევნებისთვის, დამკვირვებლები, კომისიის წევრები, იურისტები, იქნება წარმოდგენილი, პრაქტიკულად, ჯარი ჩვენი წარმომადგენლებისა.

***– ხელისუფლებაც არ იჯდება გულხელდაკრეფილი...***

– ბუნებრივია, ამიტომაც ვამბობ, კონკურენტული არჩევნები იქნება-მეთქი. ეს იქნება ორი განსხვავებული პოლუსის პოლიტიკური ძალის შერკინება, რომელიც დარწმუნებული ვარ, ხალხის გამარჯვებით დასრულდება.

## „ივანიშვილის მხარდამჭერ სტუდენტებს უნივერსიტეტებიდან გარიცხვით ემუქრებიან“

„სამოქალაქო ერთობის“ ახალგაზრდული მოძრაობის ცნობით, ბიძინა ივანიშვილის მომხრე სტუდენტებს უნივერსიტეტებიდან გარიცხვით ემუქრებიან

როგორც რადიო „ობიექტივთან“ საუბრისას „სამოქალაქო ერთობის“ ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრმა გიორგი პეტრიაშვილმა განაცხადა, ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ სტუდენტების გააქტიურება გამოიწვია, რამაც ხელისუფლება სერიოზულად შეაშფოთა.

„სტუდენტებს, რომლებიც ოპოზიციურ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი უნივერსიტეტებიდან გარიცხვით ემუქრებიან. მხოლოდ ამას არ სჯერდებიან და მშობლების სამსახურიდან გათავისუფლებითაც აშინებენ. მიუხედავად ზეწოლისა, სტუდენტთა უმრავლესობა უკან დახევას არ აპირებს. ამჟამად ჩვენი მთავარი მიზანი ივანიშვილის მოქალაქეობის აღდგენაა. ამისთვის კი, მაქსიმუმს გავაკეთებთ. მოვუწოდებ ყველა სტუდენტს, დაძლიონ ყოველგვარი შიში, საკუთარი პოზიცია ღიად დააფიქსირონ და სამართლიანობისთვის ბრძოლაში შემოგვიერთდნენ“, – აცხადებს გიორგი პეტრიაშვილი.

მედიანიუსი

## საქართველოს იტალიასთან შედარება არასწორია

ეკონომიკის ექსპერტ ალექსანდრე თვალჭრელიძეს დღეს პარლამენტში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მიერ გაკეთებული განცხადების სისწორეში ეჭვი ეპარება.

როგორც ალექსანდრე თვალჭრელიძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, საქართველოში არიან ადამიანები, რომლებიც ბიზნესში ფულს დებენ, თუმცა გადაჭარბებული იქნება, თუ მათ ინვესტორებს ვუწოდებთ.

– სიტყვა „ინვესტორი“ საქართველოში არასწორად გვესმის. რა თქმა უნდა, ფულის ჩამდები ხალხი აქაც არის, მაგრამ როგორც ინვესტორი, ნაკლებად. ინვესტიცია არის ბირჟაზე ფასიანი ქაღალდის ყიდვა, ჩვენთან კი ასეთი საერთაშორისო ბირჟა არ არსებობს. მე ნამდვილად არ მჯერა, რომ ბიზნესმენების მიერ საქართველოსადმი დაინტერესება 1000-ჯერ არის გაზრდილი. რასაკვირველია, ჩვენ ქვეყანაში რალაც თანხები შემოდის, მაგალითად, ენერგეტიკის სფეროში იმიტომ, რომ ენერგეტიკა საკმაოდ კარგად იმართება, მაგრამ სხვა სფეროებში ინვესტიციების ხარისხი ბევრად დაბალია, განსკუთრებით მრეწველობაში, – განაცხადა ექსპერტმა და დასძინა, რომ იგი გილაურს არც იტალიასთან მიმართებაში გაკეთებულ განცხადებაში ეთანხმება.

– იტალია ევროკავშირის წევრია, მე ყურადღებას ვადევნებდი იქ განვითარებულ მოვლენებს და მინდა გითხრათ, რომ არავითარი ინვესტიციების ვარდნა იტალიაში არ შეინიშნება, მეტიც – იტალიის კაპიტალური ბაზარი დაცულია და აქციების კოდირებაც ნორმალურია. მას შემდეგ რაც იტალიაში პრემიერი შეიცვალა, აქციების კოდირება კიდევ უფრო გაიზარდა. საერთოდ, საქართველოს განხილვა, როგორც იტალიის ან სხვა მსგავსი ქვეყნის საინვესტიციო გარემოს ალტერნატივად, აბსოლუტურად არასწორია, იმიტომ, რომ დღეისათვის მსოფლიოში 50-დე კაპიტალური ბაზარი არსებობს, ინვესტორები კი სწორედ იმ ბაზრებზე ატრიალებენ კაპიტალს. ძირითადი ინვესტიციები მიდის საერთაშორისო კომპანიების აქციების შესყიდვაში, – განაცხადა თვალჭრელიძემ.

მედიანიუსი

## ივანიშვილის სოლიდარობის ნიშნად სოსო ჯაჭვლიანი და ლუკა კურტანიძე ქუთაისიდან თბილისში ფეხით მოდიან

რეჟისორი სოსო ჯაჭვლიანი, მოჭიდავე ლუკა კურტანიძე და მწერალი მერაბ შათირიშვილი გელათის ტაძრიდან თბილისში, სამების საკათედრო ტაძრამდე ფეხით მოდიან.

როგორც „მედიანიუსს“ ჯაჭვლიანმა განუცხადა, ისინი ამ ფორმით არსებული რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავენ და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას მოითხოვენ.

– ჩვენი მოთხოვნაა სამართლიანობის აღდგენა. არავის გაკერპება არ გვსურს. თუ ისეთ ქველმოქმედ ადამიანს, როგორიც ბიძინა ივანიშვილია, მოქალაქეობას არ მისცემენ და არჩევნებს მის გარეშე ჩაატარებენ, ეს არჩევნები ლეგიტიმურად ვერ ჩაითვლება, – განაცხადა ჯაჭვლიანმა და დასძინა, რომ გელათიდან სამებამდე გზის გავლით ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევასთან დაკავშირებით თავიანთ დამოკიდებულებას აფიქსირებენ.

– მოვითხოვთ, ივანიშვილს აღუდგინონ საქართველოს მოქალაქეობა, – აღნიშნა მან.

მედიანიუსი

# სააკაშვილი ივანიშვილთან მოლაპარაკებას აწარმოებს?

თამარ ნინიძე

**ირინა სარიშვილი ქართული პოლიტიკური სპექტრის თაობაზე კვლავ სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. მას მიაჩნია, რომ ეროვნული ფორუმი ხელისუფლების თამაშს თამაშობს და იქ ჩნდება, სადაც ბალანსია დაცული და დისბალანსია შესატანი.**

რესპუბლიკელებზე კი აცხადებს, რომ დადგება დრო და გაირკვევა, რა მიზნით დადიოდნენ ისინი დიდ რუსეთში.

***— ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ ცხრა შეკითხვა გაქვთ მასთან, ზოგადად მინდა გკითხოთ, რას ეხებოდა ეს შეკითხვები?***

— დიახ, მქონდა შეკითხვები მასთან, მაგრამ მისი განცხადებების შემდეგ ამ შეკითხვების რაოდენობა შეიცვალა და ჩემი შეკითხვების ნაწილს მან პასუხი გასცა. მთლიანობაში ივანიშვილის ფაქტორი ძალიან დიდი მნიშვნელობის ფაქტორია პოლიტიკაში იმ სრული უიმედობისა და დეპრესიის შემდეგ, რაც შეიქმნა ქვეყანაში ამ უსუსური, უუნარო ოპოზიციისა და ხელისუფლების წყალობით. გაჩნდა სიცარიელე, რომელიც ელვისებურად შეავსო ივანიშვილმა. ყოველგვარი კამათის გარეშე ორპოლუსიანი ხდება პოლიტიკური სპექტრიც და ბრძოლაც, მოგვწონს ეს თუ არ მოგვწონს. ნებისმიერი მცდელობა დღეს მესამე ძალის შექმნისა, რომელიც არ იქნებოდა ცუდი, რეალურად განსხვავებული რომ ყოფილიყო, განიცდის ფიასკოს. იმისთვის, რომ აჟიოტაჟისა და ფსიქოზის გარეშე შეიქმნას რეალური ძალა, ამას იმხელა ფინანსები სჭირდება და უზრუნველყოფა, რომ ამის საშუალება მსურველებს არ მიეცემათ. ამიტომ გვინდა, არ გვინდა, მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც უნდა გადავნაწილდეთ ამ ორ ბანაკში.

ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი, ჩემთვის ჯერჯერობით არ არის ფორმირებული, მაგრამ ის არის უძლიერესი ბიზნესმენი, ერთადერთი საქართველოში, რომელსაც მუდმივი შემოსავლის წყარო აქვს და თანაც ლეგალური ყველა სხვა მდიდარი ადამიანისგან განსხვავებით საქართველოში და არც ის მგონია, რომ მას ეს გადაწყვეტილება მყისიერად აქვს მიღებული. თუ რამ მიაღებინა მას ეს გადაწყვეტილება, ამას განსაზღვრავს ის ცვლილებები, რასაც მოიტანს მისი მოსვლა ხელისუფლებაში. როგორც ის ამბობს, ეს გადაწყვეტილება მიაღებინა სამშობლოს სიყვარულმა. შესაძლებელია მართლაც ასე იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ გვაქვს შეხება უნიკალურ მოვლენასთან, როდესაც ძალიან მდიდარი და უკვე ძალაუფლების მქონე ადამიანი, თავისით, რისკის ქვეშ აყენებს ბევრ რამეს, რაც მის კარგ ცხოვრებას უკავშირდება და დგამს ნაბიჯს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამ შემთხვევაში გარემოცვის შერჩევაში ივანიშვილი უშვებს უზარმაზარ შეცდომას, მხედველობაში მყავანან „რესპუბლიკელები" და „თავისუფლების ინსტიტუტის" პირმშოები, რომლებიც მან გვერდით დაიყენა, ისინი მხოლოდ გვარებითა და მანერებით განსხვავდებიან სააკაშვილისგან. არა ერთხელ მითქვამს, თუ როგორ იხოცავს ცხვირს სააკაშვილი და რა ურთიერთობა აქვს ჰალსტუხთან, ეს შეიძლება მისი ოჯახის წევრების პრობლემა იყოს, ჩემთვის ეს მხოლოდ ვიზუალური გამაღიზიანებელი შეიძლება იყოს, მაგრამ ამაზე მეტად მაინტერესებს, რა გზას ემსახურება ის და საით მიჰყავს ეს ქვეყანა. შეკითხვა მაქვს, მარტო სააკაშვილის წასვლაშია ამ ქვეყნის პრობლემა? მარტო მისი წასვლა დღის წესრიგიდან მოხსნის საგარეო საფრთხეების პრობლემას?

***— ეს შეკითხვა ხელისუფლებასთან გაქვთ თუ ივანიშვილთან?***

— ეს შეკითხვა ივანიშვილთან მაქვს. ის, რომ საზოგადოებრივ მოძრაობას ქმნის ,,ქართულ ოცნებას", არაჩვეულებრივი ნაბიჯია, სახელიც კარგად არის შერჩეული ქართული ბუნებიდან გამომდინარე, მაგრამ ეს მოძრაობა უნდა იყოს კონკრეტული პოლიტიკური მიმართულების დასაყრდენი. გარდა იმ დამამშვიდებელი განაცხადებისა, რომ საჭიროა დარეგულირდეს რუსეთთან ურთიერთობა, რეალურად მეტს ვერაფერს ვხედავთ. ყველა შემთხვევაში ვალდებული ვარ ვთქვა, რომ უნდა გადავიხაროთ ივანიშვილისკენ იმიტომ, რომ სხვა გამოსავალი არ არის. მეორე საკითხია, რამდენად მიეცემა ივანიშვილს საშუალება, დარჩეს პოლიტიკაში, მოქალაქეობაზეა საუბარი. ამ ხელისუფლებას რომ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, ეს ფაქტია, ამიტომ თავისუფლად შესაძლებელია, რომ არ მისცენ მოქალაქეობა. მან პრესკონფერენციაზე ამის შესახებ ისაუბრა, ახსენა შვილი, უტაც, რომლის საწინააღმდეგო არავის არ შეიძლება რაიმე ჰქონდეს. თუ ეს ვარიანტიც გათვლილია, ვარაუდის დონეზე მაინც ხომ შეგვიძლია დავუშვათ, რომ ვერ შემოვიდა პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი, მის ადგილს მისი შვილი ასაკიდან გამომდინარე სრულფასოვნად ვერ დაიკავებს.

ამიტომ გვრჩება ალასანია, ვისთანაც გარკვეული აქვს მას ურთიერთობა. ალასანიას საწინააღმდეგო მე არაფერი მაქვს, მაგრამ ალასანიას პოლიტიკური დასაყრდენი მისი პარტიაა, რომელიც ჩრდილში იყო, და გვრჩება ,,რესპუბლიკელებიც" რომლებიც თუ არა ფსიქოზი და დადგმული სპექტაკლი, ისე ვერ მოვლენ ხელისუფლებაში, ამას აღიარენ მისი თავგადაკლული მომხრეებიც, თუ ასეთები

**გარიგება არ უნდა შედგეს, თორემ სააკაშვილი პარლამენტის თავმჯდომარე გახდება**



არსებობენ საერთოდ. რომ არა ვარდების რევოლუცია, შევარდნაძე თერთმეტ თვეში მაინც მიდიოდა, მაგრამ ვერც ჟვანია, ვერც სააკაშვილი და ვერც ბურჯანაძე არჩევნების გზით ტოტალური გაყალბების პირობებშიც ვერ მოვიდოდნენ ხელისუფლებაში. დღესაც თუ ივანიშვილმა ვერ მიიღო მონაწილეობა არჩევნებში, შეიძლება ამგვარი სურათი მივიღოთ. ახლა ჩაჩუმდა სიტუაცია, როგორც ამბობენ, გარკვეული მოლაპარაკება მიმდინარეობს სახელისუფლებო ძალებს შორის.

***— მოლაპარაკებები ნაცმოძრაობის შიგნით მიმდინარეობს?***

— იქაც ხდება, მაგრამ სავარაუდოდ მოლაპარაკებები მიდის მოწინააღმდეგე ძალებს შორის. ერთი რამ ფაქტია, ივანიშვილმა სულ რომ ქვები დაიწყოს უკან, მოუგებს ნაციონალებს, ისევე როგორც ეს პრესკონფერენცია მოიგო, თუმცა იქ გოლი არ გატანილა. თუ ეს ხელისუფლება ტოტალურად კი არ გააყალბებს, არამედ საარჩევნო ყუთებს შეცვლის, მე მაინტერესებს, რა ნაბიჯებს გადადგამს ივანიშვილი. რა ნაბიჯებს გადადგამს სააკაშვილი წაგების შემთხვევაში, ეს ყველასთვის ნათელია. არ გამოვრიცხავ, რომ გარკვეული მოლაპარაკება ივანიშვილთან მიდიოდეს. შემთხვევითი არ იყო ელჩების სტუმრობა მასთან, რესპუბლიკელები რომ დადგნენ მის გვერდით, გამორიცხული არ არის, რომ ივანიშვილმა ნდობა დაიმსახუროს სააკაშვილის მომყვანი ძალებისგან. არის მოსალოდნელი საფრთხეები, რაზეც არ მაქვს ახლა სურვილი ვილაპარაკო, მაგრამ ერთი რამ უნდა ვთქვა, კერძოდ, რა შეიძლება მოუნდეს სააკაშვილს. ამ კონსტიტუციის მიხედვით მომავალი პრეზიდენტი დიდი ძალაუფლების მქონე არ არის, ამიტომ ნაკლებად საინტერესოა ვონ იქნება პრეზიდენტი. მთელი დატვირთვა ენიჭება პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ–მინისტრს. ეჭვი არ მეპარება, რომ ამ ორი პოსტიდან ყველაზე მეტად სააკაშვილს უნდა პარლამენტის თავმჯდომარეობა. პოლიტიკაში მისი ქცევიდან გამომდინარე ეს მისთვის ყველაზე კარგი არენაა. გავიხსენოთ, რომ ის საკრებულოს თავმჯდომარეობიდან მივიდა ხელისუფლებაში. სააკაშვილთან ამ გარიგებაზე წასვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. მე ვიცი, რა გეგმა აქვს სააკაშვილს. საპარლამენტო მუშაობაში აპირებენ შეიტანონ ცვლილება, რომ არჩეულ პირს არ ჰქონდეს ვალდებულება გადადგეს. საპარლამენტო არჩევნებში ის მონაწილეობას მიიღებს გადადგომის გარეშე. მთავარია არ მოხდეს შეთანხმება. ვიცი, რომ საამისოდ ხელისუფლება გარკვეულ ნაბიჯებს გადადგამს. ვიტოვებ იმედს, რომ არც ივანიშვილი და არც მის გვერდით მყოფი ჭკუათმყოფელი ადამიანი ასეთ გარიგებაზე სააკაშვილთან არ წავა.

***— ეჭვობთ, რომ ამ გარიგებით პარლამენტის სპიკერი სააკაშვილი იქნება, პრემიერი ივანიშვილი და შეიქმნება დიდი კოალიცია ნაციონალების მონაწილეობით?***

— ნაციონალები ყველა შემთხვევაში ეცდებიან, რომ შეინარჩუნონ საპარლამენტო პოზიცია, დამოუკიდებლად სააკაშვილისგან ისინი ვერ იარსებებენ. დღეს მათთვის ეს უპირველესი ამოცანაა. ვინ იქნება პრემიერ–მინისტრი და პრეზიდენტი, ამას რაც შეეხება, ივანიშვილზე ვარაუდების თქმას ნუ ვიჩქარებთ. სანამ მისი მოქალაქეობის საკითხი არ არის გადაწყვეტილი, ერთის მხრივ ხელისუფლებას საშუალება აქვს ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობა არ მიაღებინოს, მეორეს მხრივ ივანიშვილსაც აქვს საშუალება პოლიტიკა პროფესიად არ გაიხადოს და თავისი ეს მდგომარეობა გამოიყენოს კონკრეტული ძალის გასამარჯვებლად. ცუდს ამაში ვერაფერს ვხედავ, მთავარია ცუდი ფაქტის წინაშე არ აღმოვჩნდეთ, რომ ადამიანებს იმედი არ დაეკარგოთ რეალური ცვლილებებისა. ამ ეტაპზე ვხედავ, რომ ივანიშვილის პოლიტიკურ გარემოცვაში მოუმზადებლობაა, ის ადამიანები არ არიან მზად იმ ცვლილებებისთვის, რაც დღეს ქვეყანას სჭირდება. ნაციონალებისგან ვხედავ მარაოსავით გაშლილ საბრძოლო ველს. ივანიშვილი ვისაც ეხმარებოდა, ამ სიების გამოქვეყნება თავად მისთვის სასიამოვნო ფაქტორი არ იყო. მშიერი ადამიანის გრძნობები გაალღვიძეს ხმაურიანი გვარებით, იმ ადამიანებისა, ვისაც არც ივანიშვილისა და არც სხვისი დახმარება არ სჭირდებოდათ. ჩვენ გვავიწყდება უგულავა.

***— რომელიც სეროზულ საპრეზიდენტო პიარს იკეთებს.***

— დიახ. უგულავა ძლევამოსილებით მერაბიშვილს ვერ შეედრება, მაგრამ არც ნაკლებია იმიტომ, რომ თბილისის სტრუქტურების ფლობა პატარა შესაძლებლობებს არ ნიშნავს. გვყავს მერაბიშვილი უზარმაზარი გავლენით. ეს ადამიანი ჩემთვისაც მოულოდნელად აღმოჩნდა ძალიან ჭკვიანი, თუნდაც საიმისოდ, რომ ისეთი სტრუქტურები შექმნა, რითიც ყველა დარტყმა თავიდან აიცილა, რეალურად ეს ორი ძალაა და სააკაშვილის სახელი და გვარი. ვანოსთვის ერთადერთი გარანტირებული საყრდენი იქნება ყოველთვის სააკაშვილი, ისევე როგორც თავად სააკაშვილისთვის ქვეყანაში სხვა დასაყრდენი, ხერხემალი ვანოს გარდა არავინ არის. აქ უნდა ვივარაუდოთ, რომ უგულავა შეასუსტებს თავისი წინააღმდეგობით ნაციონალებს. არსებობს ასევე პოლიტიკური სპექტრი, ძალიან სუსტი, უძლური, მაგრამ როცა სააკაშვილს დასჭირდა ეს სპექტრი კარგად გამოიყენა.

***— ვის გულისხმობთ ამ ჭრელ სპექტრში, „რვიანს", „ექვსიანს" თუ ბურჯანაძეს?***

— სახალხო კრება და ბურჯანაძე, არ მაქვს მის მიმართ პოლიტიკური სიმპათიები, მაგრამ ერთადერთი სანდო ძალა იყო, რომელზეც შეიძლება გეფიქრა, რომ სააკაშვილის ინტერესებში არ შედის, იმიტომ, რომ ვერ შედის და ასევე გარიგებაში არ შედის „რვიანთან" იმიტომ, რომ ვერ შედის. მას ჰქონდა კარგი სტარტი, მაგრამ ბევრი შეცდომა დაუშვა, ამით კი ისევ სააკაშვილმა ისარგებლა. ფორუმი, რომელსაც ძალიან კარგი სახელი ჰქონდა საქართველოში, დღეს მისი ნაბიჯები მაკვირვებს. დღეს ჩემთვის სადავო აღარ არის და აშკარაა, რომ ფორუმი ამ ხელისუფლების თამაშს თამაშობს.

***— ხმამაღალი განცხადებაა, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?***

— მაქვს ამის თქმის საფუძველი იმიტომ, რომ როცა სადღაც ბალანსი იყო საჭირო ან დისბალანსი იყო შესატანი, ფორუმმა ვერ გადადგა სწორი ნაბიჯი. გაურკვეველი პოზიციით ის ჩაჯდა სააკაშვილის ინტერესებში, ყველგან შეიძლება მისი ნახვა, ასეთი უპოზიციობა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. საპარლამენტო ოპოზიციაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. უკეთეს გადაწყვეტილებას მიიღებენ თუ გაუქმდებიან და ნაციონალების სიაში შევლენ. არჩევნებში ნაციონალები ან საერთოდ ვერ გავლენ, რაც ნაკლებ სავარაუდოა, (შევარდნაძის ბლოკი მეორე ადგილზე მაინც ხომ უნდა გასულიყო მაშინ, მაგრამ დარჩა ხელისუფლების გარეშე) ამგვარს ველი ნაციონალებისგან, რომ მეორე ადგილზე გავლენ, მაგრამ არა მგონია, რომ ეს მათთვის საკმარისი იქნება. ვიცი, რომ დასავლეთს ყელში ამოუვიდა სააკაშვილი, მაგრამ არ დაგვავიწყდეს რუსეთი, რომელმაც არაერთხელ ისარგებლა სააკაშვილის სიხისტით. კედელთან მიყენებული სააკაშვილი ყველაფერზეა წამსვლელი. იოლი სათქმელი არ არის, სააკაშვილი მაინც წავაო.

ივანიშვილთან არათუ შეთავაზების შემთხვევაში, არამედ მე თვითონ გამოვთქვამ ასეთ ინიციატივას, რომ ვითანამშრომლო, თუმცა ეჭვი მეპარება ამაში იმიტომ, რომ მას გვერდით ისეთი ძალები ჰყავს, რომლებიც ამას არ დაუშვებენ.

***— მაგრამ ივანიშვილი როგორც დამოუკიდებელი ფიგურა თვითონაც მშვენივრად გადაწყვეტს, ვისთან ითანამშრომლოს და ვისთან არა.***

— კი ბატონო, შეუძლია, მაგრამ ფრთხილობს.

***— ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ივანიშვილი რუსული პროექტია. გამოითქვა კიდეც ვარაუდი, რომ მას რესპუბლიკელებისა და ალასანიას გვერდით დაყენება სწორედ იმისთვის დასჭირდა, რომ ეს ეჭვები გაებათილებინა, როგორ ფიქრობთ, ეს ვარაუდი სიმართლეს შეესაბამება?***

— გაუგებარია ჩემთვის რატომ უნდა გაყიდოს ბიზნესის წილი ივანიშვილმა, რომელიც მას რუსეთში აქვს, რომ ორი–სამი იდიოტი დაარწმუნოს მის არაპრორუსულობაში?

***— როგორ ფიქრობთ, პოლიტიკური ზურგი მას სად აქვს — კრემლში თუ დასავლეთში?***

— თუ საქმე გვაქვს უნიკალურ მოვლენას-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## „დემოკრატიული მოძრაობა" თავისუფალ მედიაზე ზეწოლას გმობს

„დემოკრატილუი მოძრაობა — ერთიანი საქართველო" თავისუფალ მედიაზე კიდევ ერთხელ განხორციელებული ზეწოლის ფაქტად და ავტორიტარიზმისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯად აფასებს თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ პრესის გამავრცელებელი კომპანიების -„პლანეტა ფორტესა" და „მაცნეს" ჯიხურების აღების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის" მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ამ გზით ხელისუფლებას სურს ბაზარზე მის მიერ კონტროლირებადი მონოპოლიის შექმნა და ამავე დროს დამოუკიდებელ ბეჭდვით მედია-საშუალებებზე კონტროლის დაწესება. მათივე შეფასებით, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ჩაახშოს თავისუფალი სიტყვის გავრცელების ყოველგვარი შესაძლებლობა და ბეჭდური მედიის იმ საშუალებებს, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმის პირობებშიც კი დამოუკიდებლობის ხარისხს ინარჩუნებდნენ, არსებობის საშუალება მოუსპოს.

„ხელისუფლების ეს ნაბიჯი კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ფასადის მიუხედავად ისინი ქვეყანაში არანაირი დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებით არ არიან დაინტერესებული. Uუფრო მეტიც, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს დემოკრატიის იმ ჩანასახოვანი ინსტიტუციების გასანადგურებლად, რომელიც საქართველოში ჯერ კიდევაა შემორჩენილი. „დემოკრატიული მოძრაობა" სრულ მხარდაჭერას უცხადებს თავისუფალ მედიას და მის ხელთ არსებული კანონიერი გზებით ყველანაირად შეუშლის ხელს მისი განადგურების ნებისმიერ მცდელობას",-აღნიშნულია პარტიის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

## გლდანში პროფესიული გადამზადების ცენტრი აშენდება

გლდანში პროფესიული გადამზადების ცენტრი აშენდება, რომელსაც საქართველოს პრეზიდენტი თავად უხელმძღვანელებს.

ეს განცხადება მიხეილ სააკაშვილმა მასაწავლებლის სახლში გლდანის საჯარო სკოლების პედაგოგებთან შეხვედრისას გააკეთა. პროფესიული გადამზადების ცენტრი მაისში გაიხსნება და მისი მთავარი ფუნქცია კადრების გადამზადება და შრომით ბაზარზე მათი დასაქმება იქნება. ცენტრში გადამზადება ტექნიკური დარგების მიმართულებით წარიმართება და პროფესიის ათვისება ყველა ასაკის მსურველს შეეძლება.



გლდანში პროფესიული ცენტრის გახსნის მიზანი თბილისის გარეუბნებში მცხოვრები მოსახლეობის გადამზადება და მათი თვითრეალიზებისთვის ხელშეწყობაა. კეთილმოეწყობა ცენტრის მიმდებარე ინფრასტრუქტურაც, აშენდება საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი, რომელიც ყველა მსურველისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

საქარათველოს პრეზიდენტის განცხადებით, მსგავსი პროექტები თბილისის სხვა გარეუბნებშიც ამოქმედდება. მოსახლეობის დასაქმების მიზნით, შეიქმნება პროფორიენტაციის ცენტრები, მსურველები მოთხოვნად პროფესიებზე გადამზადდებიან.

პრაიმ–ნიუსი

## ქრთამის აღების ფაქტზე ხობის, მარტვილის და სენაკის გამგეობის თანამშრომლები დააკავეს

ქრთამის აღების ფაქტზე ხობის, მარტვილის და სენაკის გამგეობის თანამშრომლები დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულია ხობის რაიონის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, იური ბუკია, ასევე სენაკის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, გიორგი შალამდებიძე და მარტვილის გამგეობის თანამშრომელი, ჯამბულ გეგეჩკორი.

მათივე ცნობით, აღნიშნული პირები სისტემატურად შედიოდნენ მეწარმეებთან კორუფციულ გარიგებებში და სატენდერო პირობების დარღვევით სამუშაოების შესრულებისას მეწარმეებისათვის ფინანსური სანქციების არიდების და სხვადასხვა სახის ნებართვის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ ქრთამის სახით სძალავდნენ თანხებს. ზემოთ ხსენებული პირები კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ დაკავებულ იქნენ მორიგი უკანონო გარიგების ფაქტზე, რა დროსაც მათ მეწარმისგან ქრთამის სახით აიღეს 500-500 ლარი. წინასწარი მონაცემებით მათ სახელმწიფოს 120000 ლარის მატერიალური ზიანი მიაყენეს.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას. სისხლის სამართლის საქმეს იძიებს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი.

პრაიმ–ნიუსი

# ხელისუფლებას სოფლის განვითარება არ აინტერესებს

ნათია ხურცილავა

ახალი მემარჯვენეები ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი 10 პუნქტიანი სტრატეგიული გეგმის განხილვას განაგრძობენ. ახლების ერთ-ერთმა ლიდერმა, ფიქრია ჩიხრაძემ, ქართული სოფლის პრობლემასთან დაკავშირებით მათი ხედვა წარმოადგინა.

ახლები აცხადებენ, რომ ქართული სოფელი კვლავაც არ არის ხელისუფლების პრიორიტეტი.

საქართველოს სოფლებში მოსახლეობის დაახლოებით 47 პროცენტი ცხოვრობს. მოსახლეობის ეს ნაწილი, ფიქრია ჩიხრაძის განცხადებით, ურთულეს პირობებში ცხოვრობს.

– შეიძლება ითქვას, ეს მოსახლეობა ძალიან მძიმე და რთულ ვითარებაში ცხოვრობს სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისით. საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია მოსახლეობის თითქმის ნახევრის პრობლემების მოგვარების ჩამოყალიბებული ხედვა. ხელისუფლების 10 პუნქტიანი გეგმით შემოთავაზებული ე.წ. ურბანული თუ რეგიონული განვითარების თანასწორობის შესახებ მოწოდებული იდეა მინიმალურადაც კი ვერ პასუხობს იმ პრობლემათა ერთობლიობას და ამ პრობლემების სიღრმეს, რომელიც დღეს საქართველოს სოფლად მცხოვრები მოსახლეობის წინაშე არის, – ამბობს ჩიხრაძე.

ამის მიზეზად ახლების წარმომადგენელი ხელისუფლების პოზიციას ასახელებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავრობისთვის სოფელი კვლავ არ წარმოადგენს პრიორიტეტს.

– სოფელი და მისი აღორძინება ხელისუფლების პრიორიტეტებში კვლავ არ არის წარმოდგენილი. სოფლის მეურნეობაში კრიზისი პირდაპირ პროპორციულად აისახება სოფლად მცხოვრები ადამიანების ცხოვრების დონეზე. დღეს საქართველოს სოფლები წარმოადგენს იურიდიული სტატუსის არ მქონე ტერიტორიულ ერთეულებს, რომელთა უდიდეს ნაწილში ცხოვრობენ სიღატაკის ზღვარს ქვევით მყოფი ადამიანები, რომლებიც მოკლებულნი არიან ხარისხიანი განათლების, ხარისხიანი ჯანდაცვის მიღების შესაძლებლობას. ასევე ელემენტარული ყოფითი სიკეთეების მიღებას, როგორიც არის წყალი და გაზი. წარმოიდგინეთ, არის ადგილები, სადაც ელექტროენერგია და ტელევიზიაც კი არ არის ხელმისაწვდომი. ჩვენი ღრმა რწმენით, სოფელი ქართველი კაცისთვის წარმოადგენს უნიკალურ და სრულიად შეუცვლელ საცხოვრისს ქართულ სინამდვილეში, – აცხადებს ფიქრია ჩიხრაძე.

ახალი მემარჯვენეები ხელისუფლებისგან გადაუდებელ აუცილებლობად მიიჩნევენ შემდეგი ნაბიჯების გადადგმას:

მიღებული უნდა იქნას კანონი „სოფლის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს სოფლის იურიდიულ სტატუსს და სოფელს საკუთრებად დაუკანონებს მის ტერიტორიაზე არსებულ სიმდიდრეს (სახნავ-სათეს მიწებს, სათიბსა და საძოვრებს, ტყეებსა და მდინარეებს, სოფლებში არსებულ სახელმწიფო ნაგებობებსა და შიდა გზებს), რომლის თანახმადაც სოფლად გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ გამოცხადდება სოფლის კრება, აღმასრულებლად კი – კრების მიერ არჩეული მამასახლისი.

სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა გამოიყოს სოლიდური თანხა (ჩვენი დათვლით 100 მილიონი ლარი) სოფლის ინფრასტრუქტურის (წყალმომარაგება, გაზმომარაგება, სოფლის გზები) აღსადგენად და გასავითარებლად, ასევე სანიტარული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

სოფლის მეურნეობა უნდა იქცეს მიმზიდველ დარგად, ხოლო თვითონ დარგის განვითარებისას პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას.

სოფლის სიცოცხლისუნარიანობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრინციპი: სკოლა და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება ყველა სოფელს.

21-ე საუკუნეში სოფლად მცხოვრებ ადამიანს უნდა შეეძლოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით უახლესი ინფორმაციის მიღება და გამოყენება, რისთვისაც აუცილებელია უახლოესი 4 წლის განმავლობაში სოფლების სრული ინტერნეტიზაცია.

ასეთია იმ პუნქტების შინაარსი, რომლის ცხოვრებაში გატარებაც ურჩიეს მემარჯვენეებმა ხელისუფლებას, რომ სოფელი გახდეს სიცოცხლისუნარიანი. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, გამოთქვეს ეჭვი, რომ სოფლის პრობლემა ისევ გადაუჭრელი დარჩება.

მიუხედავად გლობალიზაციისა, ახლებს სჯერათ, რომ სოფელი მაინც რჩება იმ ადგილად, სადაც შესაძლებელია ეროვნული იდენტობის, ეთნიკური მრავალფეროვნებისა თუ ეთნოკულტურული უნიკალურობის შენარჩუნება და განვითარება.

ახალი მემარჯვენეები 10 პუნქტიანი სტრატეგიული გეგმის სხვადასხვა საკითხებს ჯერ კიდევ მანამდე გამოეხმაურნენ, სანამ პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური მას პარალმენტში წარადგენდა.

პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა პარლამენტში 10 პუნქტიანი გეგმის წარდგენისას განაცხადა, რომ ქვეყანაში აღმშენებლობა მიმდინარეობს ადგილობრივი მოსახლეობის დასასაქმებლად და ბევრი ტურისტის მოსაზიდად.

– ამ მიმართულებით მუშაობა გრძელდება, – ამბობს გილაური.

აი, რას პასუხობს პრემიერ-მინისტრს ახლების ერთ-ერთი ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე:

– ერთ-ერთი თავი ასეა დასათაურებული: უთანასწორობის შემცირება ურბანულ და რეგიონულ განვითარებას შორის, მაგრამ მერწმუნეთ, რომ პრობლემების ჩამონათვალის დონეზეც კი არ არის საკმარისი დოკუმენტი, არათუ მისი გადაჭრის გზებზე იყოს საუბარი. მსგავს რამეზე ამ დოკუმენტში საუბარი არ არის. ჩვენ ხელისუფლებას არა მხოლოდ ვაკრიტიკებთ, არამედ ვთავაზობთ იმ ნაბიჯების გადადგმის აუცილებლობას, რომელიც ძალიან სწრაფად არის გადასადგმელი. წლების განმავლობაში, მაგალითად, სოფელი და სოფლის მეურნეობა არაპრიორიტეტულ მიმართულებად ითვლებოდა ხელისუფლებისთვის ბენდუქიძის ეკონომიკის რეფორმის პირობებში. საერთოდ ამ თემაზე საუბარი ჩამორჩენილობად მიაჩნდა ხელისუფლებას. დღეს თითქოს, დეკლარაციის დონეზე ეს გამოსწორდა და ისინი აცხადებენ, რომ პრიორიტეტია სოფლის მეურნეობა, მაგრამ ეს მხოლოდ დეკლარაციის დონეზე. თუ ისინი იტყვიან, რომ სიმინდის მოსავალი რეკორდულად უნდა გაიზარდოს, მე ამის საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს, მაგრამ ეს ვერ ჭრის იმ პრობლემებს, რომელიც დღეს სოფლისა და სოფლის მეურნეობის წინაშე დგას. იგივე შეიძლება ითქვას მცირე მეწარმეებზე. მიუხედავად იმისა, რომ აქაც თითქოს ყინული დაიძრა, მას მერე, რაც ჩვენ და სხვებმაც ბევრი ვიაქტიურეთ ამ საკითხზე, რომ მცირე ბიზნესი არის ერთ-ერთი ყველაზე დაუცველი საქართველოში, რომ ის არის საგადასახადო წნეხის, ტერორისა და დაშანტაჟების ქვეშ, ე.წ. ჩეკებით გამოჭერა. ეს სისტემა იმდენად ეფექტურად აამუშავა ხელისუფლებამ, რომ ძალიან მძიმე ვითარებაში ჩააგდო და განვითარებისა და გაზრდის მაგივრად, ეს ბიზნესი, სამწუხაროდ, იმ რეალობას ებრძვის, თუ როგორ გაწვდეს ჯარიმების ამოღებას, როგორ გაუმკლავდეს მინიმალური კრედიტების დაფარვას, რომელიც მათ აქვთ აღებული. ჩვენ აუცილებელ საკითხად დავაყენეთ ეკონომიკურ დანაშაულზე წინასწარი პატიმრობის მოხსნა, მისი დეკრიმინალიზაცია. საუბარია მცირე გადაცდომებზე, რომლის დროსაც ადამიანებს პირდაპირ საპატიმროებში უკრავენ თავს. საპატიმროში მყოფი ადამიანი ერთადერთ რამეზე ფიქრობს, რომ როგორმე გამოაღწიოს და მზად არის ყველაფერი დათმოს, ყველაფერი გაყიდოს, რომ საკუთარი თავისუფლება იყიდოს. ეს ვერაფრით ვერ განავითარებს ბიზნესს. ასევე გვაქვს სხვადასხვა ინიციატივები ადმინისტრირების შემსუბუქე-



ბის თვალსაზრისით, ბიზნესის წახალისების მიმართულებით. სხვანაირად სამუშაო ადგილების შექმნაზე საუბარი უტოპიაა. ამ წლების განმავლობაში დავრწმუნდით, რომ რამდენიც არ უნდა ისაუბრონ სამუშაო ადგილების შექმნაზე, თუ არ მოხდა მცირე და საშუალო ბიზნესის ძალიან მაღალ დონეზე განვითარება და ხელშეწყობა, სხვანაირად სამუშაო ადგილების პრობლემა ვერ დაიძლევა.

***– ჯანდაცვის სისტემაზე რას იტყვით?***

– იგივე შეიძლება ითქვას ჯანდაცვის სისტემაზე. გარკვეული ასაკის ადამიანების საყოველთაო დაზღვევაზე ალაპარაკდნენ, რაც, რა თქმა უნდა, არ არის ცუდი და ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ დაუცველი და დაუზღვეველი რჩება გარკვეული ასაკობრივი ჯგუფი, რომელიც საკმაოდ დიდია. მათაც სჭირდებათ დაცვა ამ თვალსაზრისით, რადგან ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე ძვირფასი არაფერი არ არის. ჩვენ ამ მხრივაც შევთავაზეთ ხელისუფლებას ის სქემა, რომელიც არ საჭიროებს კოლოსალურ დანახარჯებს. ეს არის სადაზღვევო სისტემის კარგად განვითარება, როდესაც სახელმწოფოს გარკვეული თანამონაწილეობა აქვს სადაზღვევო ბიზნესში და არ ისეთი სიმბოლური, რომელსაც დღეს ვაწყდებით. ასევე გამოვყოფდი განათლების სფეროს, რომელიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. დღეს შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში, როგორც ყველაფერი, ფასადურად აქაც თითქოს რაღაცეები მოგვარდა. მნიშვნელოვანია, რომ უსაფრთხო სკოლის კონცეფცია მართლაც განვახორციელოთ, რადგან ამის გარეშე სკოლა წარმოუდგენელია. ბავშვი სკოლაში აუცილებლად უნდა დადიოდეს და ის დაცული უნდა იყოს, მაგრამ სკოლას საერთოდ ეკარგება აზრი თუ სკოლაში არ იქნა განათლება, თუ სკოლაში არ იქნა შესაძლებლობა განათლების მიღებისა. დღევანდელი მოსწავლეები განათლებას სკოლის გარეთ იღებენ. სკოლაში დადიან, სკოლაში სიარული აუცილებელი გახდა, მაგრამ სკოლაში ისინი ვერ იღებენ განათლებას. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლის მასწავლებლების ანაზღაურება იმდენად მნიშვნელივანია, რომ მასწავლებელი იყოს, ერთი მხრივ, მოტივირებული, რომ თავისი უნარი და მონაცემები განათლების კუთხით მუდმივად გააუმჯობესოს. ამავე დროს თანამედროვე სტანდარტების შესაფერისი განათლება მისცეს მოსწავლეს, რომელიც მას მისცემს გამოცდების კარგად ჩაბარებისა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების საშუალებას. კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი – აღზრდის ელემენტი. განსაკუთრებით ბოლო ინიციატივების ფონზე რჩება შთაბეჭდილება, რომ სკოლა საკუთარი თავიდან იშორებს აღმზრდელობით ფუნქციას. მე თავად სკოლაში ვასწავლიდი, ძალიან მიყვარს ეს პროფესია და ძალიან დიდ პატივს ვცემ. ბედნიერი ვარ იმის გამო, რომ ჩემს პრაქტიკაში იყო შემთხვევა, როდესაც მთავაზობდნენ, რომ რამდენიმე ბავშვი კლასიდან გამეშვა, რადგან საერთო სიტუაციაში ვერ ჯდებოდნენ, მაგრამ მე მაქსიმალური მოთმინება გამოვიჩინე. მოთმინება და ბავშვებისადმი კეთილგანწყობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ის პრობლემები დაძლეულიყო. ვერადროს ვერ ვაპატიებდი ჩემს თავს, რომ ის ბავშვები გამეშვა. სხვათა შორის, ძალიან კარგო მოსწრებით დაამთავრეს სკოლა. მართლაც არის ასეთი პრობლემები სკოლაში და ამას სჭირდება მიხედვა, მაგრამ მეორეა ის, რომ ბავშვზე არ უნდა განხორციელდეს ძალადობა, რომელმაც შეიძლება მისი გზა ისე გაამრუდოს, რომ შემდეგში მძიმე შედეგები მოჰყვეს.

არის ფუნდამენტური მიმართულებები, რომელსაც ჩვენ გამოვეხმაურეთ, რადგან ამ პრობლემების მოგვარების გარეშე სხვა პრობლემების მოგვარება, უბრალოდ, წარმოუდგენელია და არის მხოლოდ სადღეგრძელოები, პოპულიზმი.

დასაწყისი მე-4 გვერდზე

# სააკაშვილი ივანიშვილთან მოლაპარაკებას აწარმოებს?

თან და ადამიანი გულწრფელად პატრიოტული მოტივით ხელმძღვანელობს, და გადაწყვეტილების მიღებაში დამოუკიდებელი იყო, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური დასაყრდენი საბოლოოდ ჯერ გადაწყვეტილი არა აქვს. მან გადადგა ეს ნაბიჯი პირადი გადაწყვეტილებით და ახლა არჩევს რა მიმართულება სჯობს მისთვის და ქვეყნისთვის. ამიტომ ვამბობ, რომ მასთან ურთიერთობის საშუალება უნდა მიეცეს ყველას, ზედმეტი მისთვის არც ერთი ადამიანის წინადადება არ შეიძლება იყოს. თუმცა ასეთი სიმდიდრის მქონე ადამიანთან ყველა რომ მარტო პატრიოტული მოსაზრებით არ მივა, ესეც ფაქტია. ივანიშვილი ურთულეს მდგომარეობაშია, საკითხავია რამდენად ერთგული დ სანდო ადამიანები ჰყავს გარშემო. ბევრჯერ ამაში ეჭვი შემეპარა იმიტომ, რომ მისთვის ისეთი რჩევები მიუციათ, რაც ამ ადამიანისთვის სასიკეთო არ უნდა ყოფილიყო.

***– მას რომ პარტნიორებად რესპუბლიკელები და ალასანია არ დაესახელებინა და საკუთარი პარტიით მიეღო მონაწილეობა არჩევნებში, უფრო მტკიცე გამარჯვებას მოიპოვებდა და მეტ ხმას მიიღებდა?***

– რა თქმა უნდა, ეს უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეც იქნება, მაგრამ ახლა რაკი ივანიშვილი სააკაშვილის ალტერნატივაა, ბევრი, ვისაც რესპუბლიკელები და ალასანია არ მოსწონს, ამაზე იძულებული არიან თვალი დახუჭონ. აქ საუბარია იმაზე, რომ ამ იდეოლოგიის ადამიანებისთვის, რესპუბლიკელებს ვგულისხმობ, რამდენად მიზანშეწონილია წამყვანი პოზიციების მიცემა.

***– თქვენ ახსენეთ იდეოლოგია, რა შეიძლება ვიგულისხმოთ ამაში, რესპუბლიკელების ლიბერალური დამოკიდებულება დასავლური ღირებულებების მიმართ თუ მათი საგარეო ორიენტირები დასავლეთისკენ მიმართული?***

– რესპუბლიკელებს დაუდგებათ დრო, როცა სახელებით და გვარებით, რეისების დასახელებით გახდება საჯარო დიდ რუსეთში მათი ვოიაჟების შინაარსი. დღეს საუბარი აღარ არის დასავლურ და რუსულ ორიენტაციაზე. გლობალისტების იდეოლოგიას ვგულისხმობ, ამას ემსახურება თავისუფლების ინსტიტუტი თავისი რესპუბლიკური პარტიით, სოროსის ფონდი და ა. შ. ეს არის რელიგიური და ეროვნული ზღვარის წაშლა, ქვეყნებისა და პატარა ერებისთვის კონკრეტული ფუნქციის მინიჭება, ეს რომ ასე გაგრძელდეს, მომსახურე პერსონალი გავხდებით მსოფლიოსთვის. ეს არის დამოკიდებულება მართლმადიდებლობის მიმართ, ძალიან მალე ეს შეიძლება გადაიზარდოს ბიოლოგიურ ფასეულობებში.

***– მიგაჩნიათ, რომ ის, რაც დაიწყო სააკაშვილმა, შეიძლება დააგვირგვინონ რესპუბლიკელებმა?***

– დიახ, ერთი და იგივე გუნდის დაწყებულია ეს საქმე. საგარეო საფრთხე გამოწვეულია საქართველოს სამხედრო პოლიტიკური აქტიურობით რომელიმე სუპერსახელმწიფოს სასარგებლოდ. გადათამაშდება აშშ-ს დამოკიდებულება ირანთან რუსეთის საზიანოდ თუ რუსეთისა ირანის საზიანოდ, ყველა შემთხვევაში პირველი დარტყმის ობიექტი იქნება საქართველო. ჩვენ მივდივართ გეორგიევსკის ტრაქტატის წინა მდგომარეობისკენ. აგვისტოს ომში საქართველო შეთანხმებულად გაგვიყვეს სუპერსახელმწიფოებმა.

***– რთული მდგომარეობა გვაქვს საშინაო პოლიტიკაში, მაგრამ არანაკლებ სახიფათო ვითარება გვაქვს საგარეო პოლიტიკაში იმ ფონზე, რა განცხადებებსაც აკეთებს რუსეთის პრეზიდენტი. ცივ ომს ვიღებთ და რკინის ფარდა ახლიდან დაეშვება მსოფლიოში. ხომ არ სჯობს საქართველო რკინის ფარდის იქითა მხარეს ანუ დასავლეთისკენ მოხვდეს?***

– ასე მარტივად არ დავყოფ რუსეთისა და დასავლეთის ინტერესებს. გვინდა თუ არა, ნებისმიერ მხარეს რომ ვიყოთ, იმ რეალობას ვერ გავექცევით, რომ რუსეთი ჩვენი გეოგრაფიული მეზობელია. ჩვენი ახლო სამეზობლოს უდიდესი ნაწილი რუსეთის გავლენის ქვეშ არის. თუ დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებს, ამ შემთხვევაში საქართველოს მოკავშირეობა ამ ქვეყნებთან რუსეთის საწინააღმდეგოდ ჩვენთვის უდიდესი საფრთხის მატარებელია. ამას სულ ვამბობ. არც დასავლეთის წინააღმდეგი ვარ, არც რუსეთის. არც იმის მომხრე ვიქნები, რომ რუსეთის მოკავშირეები გავხდეთ აშშ-ს წინააღმდეგ და არც პირიქით. არც ერთი ქვეყანა არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ყველა მათგანი იბრძვის ძალაუფლების დასამყარებლად. ერთისთვის ეს ნავთობია, მეორისთვის ჯარი და ტერიტორიებია. ბუფერული ზონა აზერბაიჯანმა გააკეთა სამწუხაროდ და არა ჩვენ. ამ სიკეთით ჩვენ არ გვისარგებლია. შვეიცარია არ ვიქნებით, მაგრამ აზერბაიჯანს თუ ნავთობი აქვს, ჩვენ გვაქვს გზა, არც ერთ ნავთობს ამ გზის გარეშე ფასი არა აქვს.

***– აშშ აცხადებს, რომ რაკეტსაწინააღმდეგო ფარებს ირანისგან დასაცავად აყენებს და რუსეტის საწინააღმდეგოდ არ არის მიმართული, რუსეთი ამ ნაბიჯს მის საწინააღმდეგოდ აღიქვამს და ისკანდერების დაყენებით იმუქრება. ასეთ დაძაბულ ვითარებაში საქართველოს ადგილი სად იქნება?***

– ამერიკა მოითხოვს, რომ დამცავი ფარები საქართველოშიც განლაგდეს.

***– რუსეთს ეს არ უნდა იმიტომ, რომ შესაძლოა მას საქართველოზე თავდასხმა აქვს განზრახული და ეს ამაში ხელს შეუშლის.***

– თუ რუსეთის წინააღმდეგ არ იქნება ეს ფარები გამოყენებული და ირანის წინააღმდეგ იქნება, როგორ გგონიათ, ირანისგან ნაკლებ საფრთხეს ველოდებით? ამის გაკეთება საქართველოს ტერიტორიაზე დაუშვებელია. შეერთებული შტატებისთვის დროებითი გამტარი ვართ ირანის და თუნდაც რუსეთის მიმართულებით. ერთადერთი დაცვის მექანიზმი ჩვენთვის არის ნეიტრალიტეტი.

***– ვიქნებით ნეიტრალური თუ ვიქნებით ვინმეს მოკავშირე, თუ დაიწყება საომარი მოქმედებები ირანის ან რუსეთის მიმართულებით ჩვენ ყველა ვარიანტში განწირულები ვართ.***

– მეორედ მოსვლაზე და აპოკალიფსზე თუ ვილაპარაკეთ, არ ვიცი. ამას თავს ვერავინ დააღწევს. აქ არის ლაპარაკი ნეიტრალიტეტზე, რომელიც განახორციელა არაქრისტიანულმა აზერბაიჯანმა ისე, რომ ვერ გამოიყენეს.

***– 1918–21 წლების ამბები შეიძლება გაგახსენონ ნეიტრალიტეტის მოწინააღმდეგეებმა.***

– 1918 წლამდე რა ვიყავით, რის გამო დაგვიპყრო რუსეთმა მაშინ? გეორგიევსკის ტრაქტატის წინა მდგომარეობას მაგონებს ახლანდელი ვითარება. როცა ყველაფერი დანგრეული გაქვს დაუბალანსებელი არასწორი პოლიტიკით, ამ ვითარებაში ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია თან „აგაწყოს", თან დაგიპყროს. თუ გგონიათ, რომ 1918–21 წლებში ნეიტრალიტეტი რომ არ გამოგვეცხადებინა არ დაგვიპრობდა რუსეთი, მცდარი შეხედულებაა. ვინ დაგვეხმარა, დასავლეთი? აგვისტოს ომის შემდეგ დასავლეთმა დაგვიჭირა მხარი? დასავლეთმა განაცხადა, რომ რუსეთი არ მოიქცა სწორად, მაგრამ ამავე დროს უამრავი ხელშეკრულება დადო მასთან სწორედ აგვისტოს მოვლენების შემდეგ.

***– როგორია თქვენი დამოკიდებულება ევრაზიული კავშირის მიმართ?***

– დსთ-ს ალტერნატივაა. რუსეთი აკეთებს იმას, რასაც ყოველთვის აკეთებდა. ჭკუას ვერ ვსწავლობთ. ნორმალური ხელისუფლება უნდა იყოს, რომელიც გაჭირვების დროს კი არ წავა კომპრომისზე სკამის დაკარგვის შიშით, არამედ რეალურ და საჭირო პოლიტიკას აწარმოებს.

– რუსეთთან ურთიერთობის დალაგებაზე ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩენის პირველივე დღეებშივე საუბრობდა. თქვენი აზრით როგორ უნდა დალაგდეს ეს ურთიერთობები?

– ეს ხელისუფლების პრეროგატივაა. მეზობლებთან უნდა გვქონდეს დაბალანსებული ნეიტრალური პოლიტიკა, არც რუსეთის, არც ირანის საწინააღმდეგო ბლოკში არ უნდა გავერთიანდეთ.

# გილაურის ძმის ბანკის სარეკლამო სახე სააკაშვილი გახდა

შალვა ჯოხაძე

რამდენიმე კვირაა, საქართველოს მთავრობას თავისი სტრატეგიული ათპუნქტიანი გეგმა მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის ქალაქ-ქალაქ, სოფელ-სოფელ, უწყება-უწყება დააქვს, თან გვარწმუნებს, რომ მომავალი 5 წლის განმავლობაში დაგვასაქმებს და აგვაყვავებს. ამჯერად, მთავრობის გეგმები პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა საპარლამენტო ტრიბუნიდან გაგვაცნო და ამ თემაზე საკანონმდებლო ორგანოში დებატებიც გაიმართა. ეს იყო დებატები დებატებისთვის. მართალია, ნიკა გილაური უაზრო ფრაზებისა და ციფრების გავრცელებაში, ნეპოტიზმსა და არაპროფესიონალიზმში დაადანაშაულეს, თუმცა რა, ამით მთავრობა უკეთ ამუშავდება? ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ მინისტრებისადმი უნდობლობის გამოცხადებაც მოითხოვა, მაგრამ საპარლამენტო უმცირესობას პარლამენტში მცირედი უფლებები აქვს და ამინდს ვერ ქმნის. ნიკა გილაურმა დაპირებების მორიგი კასკადი წარმოგვიდგინა, თუმცა, ლევან ვეფხვაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს საზეპიროების გამეორება უფრო იყო.




ნიკა გილაურის განცხადებით, მთავრობის მიზანი ახლა სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის დონის შემცირებაა. ათპუნქტიან გეგმაში კი გაწერილია, 5 წლის განმავლობაში რა უნდა გაკეთდეს, ეს პრობლემა რომ შემცირდეს. გილაურის განცხადებით, პირველი ნაბიჯები გადადგმულია. წელს უმუშევრობა შემცირდა კიდეც, თუმცა არა მნიშვნელოვნად.

– გვესმის, რომ საზოგადოების ნაწილი ჯერ კიდევ უმუშევარი და მშიერია. ამ გეგმაში ყველა ამ პრობლემას ვეხებით, – აცხადებს გილაური.

ნიკა გილაურის მთელი გამოსვლით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ რამდენიმე საინტერესო პასაჟზე გავამახვილებთ ყურადღებას. გილაურის ინფორმაციით, საქართველო 100-დოლარიან საპენსიო პაკეტთან უკვე ახლოსაა. მან პენსიონერებს კიდევ ერთხელ შეახსენა ის პერიოდი, როცა პენსია 14 ლარი იყო. მომავალი წლიდან ის ათჯერ მეტი, 140 ლარი გახდება. მომავალი წლის სექტემბრიდან 140-ლარიან საპენსიო პაკეტს 67 წლის ასაკს გადაცილებული ყველა პენსიონერი მიიღებს.

პრემიერმა ეს ინიციატივა 100-დოლარიანი პენსიისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეაფასა და თქვა, რომ მთავრობა შემდგომში ნაბიჯებს სწორედ ამ მიმართულებით გადადგამს.

გილაურის თქმით, საქართველოში კაპიტალდაბანდებით 100-ჯერ და 1000-ჯერ მეტი ინვესტორია დაინტერესებული. ეს ინვესტორები ინვესტიციას ველარ ახორციელებენ საბერძნეთში, ეგვიპტეში, ე.წ. არაბული გაზაფხულის ქვეყნებში. თუმცა, პრემიერი დარწმუნებულია, რომ მათი ნდობა საქართველოსადმი უფრო მაღალია, ვიდრე თუნდაც ნატო-სა დ ევროკავშირის წევრი სახელმწიფო იტალიისადმი.

– ინვესტორები ახალ ბაზრებს ეძებენ, – დაგვაიმედა გილაურმა და გვითხრა, რომ საქართველო ამ მხრივ მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რაც დაამტკიცა კიდეც.

ნიკა გილაურის მტკიცებით, ქვეყანაში აღმშენებლობა არა ვინმეს დასანახად, არამედ მოქალაქეების დასაქმების მიზნით ხორციელდება. ქვეყნის აღმშენებლობა ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და ბევრი ტურისტის შემოსასვლელად. ტურიზმის განსავითარებლად კი ხელისუფლებას 100 ქვეყანასთან უვიზო რეჟიმი დაუწესებია.

აღსანიშნავია, რომ დებატები პარლამენტში ქრისტიან-დემოკრატების ინიციატივით გაიმართა. ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ ნიკა გილაურის გამოსვლა დაიწუნა და განაცხადა, რომ ეს საზეპიროების გამეორება იყო. ბევრი თემა, რომელზეც იყო საუბარი, მას ცოტა უცნაურად მოეჩვენა. ვეფხვაძის თქმით, ეს ყველაფერი რეალობასთან ახლოს არ იყო. გეგმაში მოყვანილი რიცხვები კი უხერხულად ჟღერს.

გიორგი ახვლედიანმა კი განაცხადა, რომ საპარლამენტო უმრავლესობას

უკვე სკლეროზი კი არა, ამნეზია აქვს. ათპუნქტიანი გეგმის მიზანი დასაქმებაა, თუმცა მთელი დოკუმენტი მხოლოდ სურვილების ერთობლიობაა, რაც დაპირებებად უნდათ გაასაღონ. საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ ამ დაპირებებისა აღარ სჯერა.

ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია კი ეჭვობს, რომ მთავრობა ე.წ. პროგრამულ ბიუჯეტს ოკულტიზმის და მესამე თვალის მეშვეობით გეგმავს, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობას არა მარტო ვირტუალური პროგრამა აქვს, არამედ თავადაც ვირტუალურია.

მისი თქმით, ხელისუფლება ირწმუნება, რომ 2011 წელი ინვესტიციებით მდიდარი პერიოდი იყო, თუმცა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა ეკონომიკის მინისტრი უკვე მერამდენედ სიცრუეში ამხილა. მისი თქმით, მინისტრი 2011 წელს მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოსვლას პროგნოზირებდა, იბიარდ-ის მონაცემებით კი, წელს მხოლოდ 750 მილიონი შემოვიდა.

დავითაიამ ბიუჯეტის შემოსავლების ციფრებზე ისაუბრა და განაცხადა, რომ თუ ბიუჯეტი გადასახადების ზრდის ხარჯზე იმატებს, გამოდის, რომ ან გადამხდელი მოსახლეობის რაოდენობა უნდა გაიზარდოს, რის იმედსაც ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა არ იძლევა, ან გადასახადების კიდევ უფრო მატება არ უნდა იყოს მოსალოდნელი.

– თუ ოკულტიზმი არაფერს შუაშია, ნიშნავს თუ არა ეს, რომ 2012 წლისთვის უნდა ველოდოთ კიდევ უფრო დამძიმებულ საგადასახადო წნეხს და კომუნალური თუ სხვა ტიპის გადასახადების კიდევ უფრო გაზრდას? – განაცხადა დავითაიამ.

მისი თქმით, მთავრობა ამბობს, რომ პრიორიტეტი სამუშაო ადგილების შექმნაა, თუმცა ალბათ 10-პუნქტიანი გეგმის ეს ჩანაწერიც ოკულტიზმის სფეროს განეკუთვნება.

დავითაიამ ასევე ხაზი გაუსვა, რომ სამუშაო ადგილების შექმნისთვის ხელისუფლებამ უნდა წაახალისოს მცირე და საშუალო ბიზნესი, რომლის განვითარების შანსი დღეს საქართველოში არსებული მონოპოლიური, პროტექციონისტული, არაკონკურენტული, გადასახადებით დამძიმებული გარემოს პირობებში აბსოლუტური ნულის ტოლია.

დავითაიამ განაცხადა, რომ თუ პრეზიდენტს ქვეყნის მოდერნიზაცია მართლაც სურს, მოდერნიზაცია სწორედ მთავრობის წმენდით უნდა დაიწყოს და მინისტრთა კაბინეტის მთელ შემადგენლობას უნდობლობა გამოუცხადოს.

ამ განცხადებამდე დავითაიამ მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა გააკრიტიკა და მას ფუჭი და ეკონომიკურად გაუაზრებელი უწოდა.

– ჩვენ განებივრებული ვართ მთავრობის ვირტუალური გეგმებით – მაგალითად: „ერთიანი საქართველო სიღარიბის გარეშე“, „ასი ახალი საავადმყოფო“, კიდევ 50 დღიანი და 50 თვიანი პროგრამები და ასე შემდეგ. თუმცა ეს პროგრამები არათუ შესრულებული, დაწერილიც კი არავის უნახავს, – განაცხადა დავითაიამ.

დავითაიას თქმით, გეგმა საკმაოდ ზედაპირულია, არ ჩანს სტრატეგია, თუ როგორ აპირებს მთავრობა თუნდაც ეკონომიკური მდგრადობის მიღწევას, მაშინ, როდესაც ეკონომიკური სტიმულირებისთვის აუცილებელი ბიზნეს გარემოს გასაუმჯობესებლად არაფერს აკეთებს.

– მთავრობა ირწმუნება, რომ კონკურენტული ბიზნესგარემოს შექმნისთვის არის მოტივირებული, მაშინ, როდესაც მის მიერ მომზადებული კონკურენციის სააგენტოს უკვე მერამდენე მოდელი უკვე მერამდენედ დაიწუნეს ევროსტრუქტურებმა. მთავრობას არ სურს შექმნას ძლიერი ანტიმონოპოლიური სისტემა, რომელიც თანაბარ შანსებს მისცემს ბიზნესს განვითარებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ საერთაშორისო რეკომენდაციებზე, როგორ აპირებს მთავრობა თავისუფალი კონკურენციის არ არსებობის პირობებში ბიზნესის ხელშეწყობას, ინვესტიციების მოზიდვას, ეკონომიკის აღორძინებას და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას? – განაცხადა დავითაიამ.

დეპუტატის შეფასებითვე, დოკუმენტში დეკლარირებულია საგადასახადო წნეხის შემცირება, თუმცა ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ შეცვალა და გადაავადა მთავრობამ ძველ საგადასახადო კოდექსში ჩადებული დათქმა 2011 წლისთვის საშემოსავლო გადასახადის 18 პროცენტამდე შემცირების შესახებ.

– უკვე წლებია გვესმის, რომ საგადასახადო ლიბერალიზაციის გზაზე ვართ, მაგრამ მხოლოდ გვესმის, რეალურად კი ეტაპობრივად კიდევ უფრო დამძიმებულ საგადასახადო პოლიტიკას ვიღებთ. კი ბატონო, გადასახადების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ მათი წონა გაიზარდა, დამძიმდა სანქციები და მარტივი გახდა დაჯარიმების სისტემა, რომელიც ხშირ შემთხვევაში მაპროვოცირებელია დანაშაულის, – განაცხადა დავითაიამ და დასძინა, რომ ხელისუფლება არ აპირებს ეკონომიკური დანაშაულის ნაწილში სისხლის სამართლის კანონმდებლობის ჰუმანიზაციას, რაც მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებისთვის აუცილებელია.

დავითაია დარწმუნებულია, რომ ხელისუფლება ბიუჯეტის შევსებას ბიზნესმენებისთვის თანხის გამოძალვით ცდილობს და არ არის მოტივირებული ითანამშრომლოს ბიზნესსექტორთან.

დეპუტატი გურამ ჩახვაძე მთავრობის ათპუნქტიან გეგმას პროპაგანდისტულ დოკუმენტს უწოდებს და მასში არსებულ ავანტიურულ და აბსურდულ ჩანაწერებზე საუბრობს.

ამ დოკუმენტით მთავრობა ისევ დაუბრუნდა ეკონომიკის სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპს, რაზეც ხუთი წლის წინ უარი თქვა. დეპუტატის შეფასებით, ათპუნქტიანი გეგმა შორს დგას სტრატეგიული დაგეგმარებისგან და უფრო პროპაგანდისტული ხასიათი აქვს.

– ასეთი დოკუმენტები უნდა მოიცავდეს ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების, როგორც სტრატეგიას, ამოცანებსა და მიმართულებებს, მათი რეალიზების გზებსა და მეთოდებს და, რაც მთავარია, მაჩვენებლებს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კრიტიკა არ ეხება ისეთ მიმართულებას, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, ენერგეტიკა, განათლება, – განაცხადა ჩახვაძემ.

ჩახვაძის მოსაზრებით, დოკუმენტის შემუშავებისას მთავრობა ალბათ ჩქარობდა და ამ სიჩქარეში მნიშვნელოვანი საკითხები გამორჩა, წარმოდგენილი თემების ნაწილზე კი მკითხველს ბუნდოვანი წარმოდგენა შეექმნება. დოკუმენტი ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებსაც შეიცავს. მთავრობა ერთი მხრივ აცხადებს, რომ საქართველოს ეკონომიკის პოზიტიური მაკროეკონომიკური პარამეტრები გამოიწვევს დღეს მსოფლიოში არსებული კაპიტალის მოზიდვას, ახალი ინვესტიციების განხორციელებას და, მეორე მხრივ, ნათქვამია, რომ მსოფლიოს შემცირებული ეკონომიკური ზრდა პირდაპირი ინვესტიციების შემცირებას გამოიწვევს. ჩახვაძის თმნით, მთავრობა საუბრობს საქართველოს კონკურენტუნარიანობის სისუსტეებზე, როგორებიცაა ბაზრის სიმცირე და რუსეთის ფაქტორი, მაგრამ დაავიწყდა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: კონკურენციის შეზღუდული არეალი, საკრედიტო რესურსებისადმი ნაკლები ხელმისაწვდომობა, ინოვაციური ეკონომიკის არარსებობა, განათლებასა და სამეწარმეო გარემოს შორის სუსტი კავშირი და კიდევ მრავალი სხვა, რომლის გამოც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის რეიტინგით საქართველო ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის მიხედვით აუტსაიდერი ქვეყანაა.



გურამ ჩახვაძემ მთავრობის 10-პუნქტიან გეგმაში არსებულ „ავანტიურულ და აბსურდულ ჩანაწერებზე“ ისაუბრა. დოკუმენტში არის ინიციატივა ბიზნეს პლატფორმის სახით, რომელიც უფრო ავანტურაა, ვიდრე რამე კვლევებზე დამყარებული განცხადება.

მისი აზრით, ეს ინიციატივა ისეთია, როგორიცაა მთავრობის მიერ თავის დროზე შემოთავაზებული და მერე უკან წაღებული ინიციატივა საქართველოს, როგორც გლობალური ფინანსური ცენტრის განვითარების შესახებ.

– თუ ჩვენ გვინდა, ბიზნესპლატფორმის ინსტიტუტის შემოღება დუბაის მსგავსად, არ უნდა დაგვავიწყდეს ნავთობის ფაქტორი, – განაცხადა ჩახვაძემ.

დეპუტატის თქმით, დოკუმენტში არის ისეთ ეკონომიკურად აბსურდული ჩანაწერი, როგორიცაა ის, რომ საქართველოს მთავრობამ მოსახლეობისთვის ფასების ზრდის წნეხის შემცირებისთვის მიიღო ზომები და დაარიგა დენისა და სურსათის ვაუჩერები.

ჩახვაძის თქმით, თუ წელიწადში 50-მილიონიანი სუბსიდიით არის შესაძლებელი პრობლემების მოხსნა, საინტერესოა, რაღაზე მიდის მსჯელობები და დისკუსიები.

ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრისა და ქართული დასის ლიდერის, დეპუტატ ჯონდი ბაღათურიას შეფასებით კი, მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა „ჯღანია“. ჯონდი ბაღათურიამ განაცხადა, როდესაც გეგმას გაეცნო, სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის პრობლემა გაახსენდა, როდესაც გვარის გადაკეთება უნდოდა, ხან მეჯღანიანად დაიწერა, ხან მეჯღანუევად, მაგრამ ეს „ჯღანი“ ვერ მოიშორა. ბაღათურიას თქმით, ამ გეგმას სწორედ ჯღანი ვერ მოშორდა. ეს ჯღანი კი ტყუილი და არადამაჯერებლობაა. მისივე განცხადებით, თავის დროზე, როდესაც დემოკრატიის ახალ ტალღაზე წარმოადგინა მთავრობამ 10-პუნქტიანი გეგმა, მას შემდეგ „კავალერისტული შტურმი“ მოაყოლა თავისუფალ სასამართლოზე, თავისუფალ მედიაზე და განახორციელა პოლიტიკური რეპრესიები. ასევე, დეპუტატმა გაიხსენა მთავრობის გეგმა სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და განაცხადა, რომ ამ გეგმის გამოცხადებისთანავე სოციალური სააგენტოს მიერ მომზადებული სტატისტიკით, ქვეყანაში 70%-ზე მეტი ღარიბი და ღატაკი დაფიქსირდა.

ჯონდი ბაღათურიამ მთავრობის წარმომადგენლები პენსიის ზრდის ტენდენციისთვის განსაკუთრებული აღნიშვნისთვისაც გააკრიტიკა და განაცხადა, როდესაც მთავრობა საუბრობს 14-ლარიან პენსიაზე, უნდა გაიხსენოს, რომ 1994-1995 წლებში ბენზინი 20-25 თეთრი ღირდა, წიწიბურა კი – 60-80 თეთრი.

ბაღათურიამ ნიკა გილაურს უთხრა, რომ მისი ძმა „საქართველოს ბანკის“ მმართველია და დასძინა, რომ პრეტენზია მას არც ბანკთან აქვს და არც ნიკა გილაურის ძმასთან, მაგრამ მიუღებელია, როდესაც პრეზიდენტი მიდის ამ ბანკთან და მიტინგს ატარებს. ბაღათურიას თქმით, პრეზიდენტმა ამ მიტინგზე თქვა, რომ ეს არის ყველაზე კარგი ბანკი და ყველამ ფული იქ უნდა გადარიცხოს.

– ამას რა ჰქვია, არ ჰქვია ამას ნეპოტიზმი, პროტექციონიზმი და ელიტური პროტექცია? – მიმართა ჯონდი ბაღათურიამ პრემიერ-მინისტრს.

ქვეყანაში არსებულ კორუფციასთან დაკავშირებით ჯონდი ბაღათურიამ საქართველოში ბენზინის იმპორტის მაგალითიც მოიყვანა და მთავრობას მოუწოდა დაესახელებინა თუ რამდენ კომპანიას შემოაქვს ბენზინი დღეს საქართველოში. მისი თქმით, ასეთი კომპანია სულ ორია და მესამე და მეოთხე კომპანია იმიტომ არ ცდილობს, რომ ქვეყანაში ელიტური კორუფციაა.

– რატომ არ ცდილობენ ასეთ მაღალრენტაბელურ ბიზნესში ჩართვას სხვა კომპანიები? იმიტომ, რომ ელიტური კორუფციაა, მონოპოლისტური, კორუმპირებული კლანები არ აძლევენ მათ ამის უფლებას, – განაცხადა ბაღათურიამ. მისი თქმით, ფასების კატასტროფული ზრდა ამ სფეროში სწორედ კლანებს შორის სრულად გადანაწილებულმა ბაზარმა გამოიწვია და კონკურენცია მოკლა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის სტრატეგიული ათპუნქტიანი გეგმა

მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის 2011-2015 წლებზეა გაწერილი.

– საქართველოს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია,

შექმნას წინაპირობები წარმატებული, მდიდარი და ერთიანი საქართველოსათვის, სადაც ყველა მოქალაქე უზრუნველყოფილი იქნება ღირსეული საცხოვრებელი გარემოთი და ექნება საშუალება, გახდეს მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმატებული და მდიდარი წევრი.

ამ მიზნების მიღწევას საქართველოს მთავრობა სამუშაო ადგილების შექმნით და უმუშევრობის შემცირებით გეგმავს, ხოლო შრომისუუნაროთათვის (შეზრუდული შესაძლებლობის პირები, პენსიონერები) სოციალური დახმარების სისტემის გაუმჯობესებით. შესაბამისად, ამ ათპუნქტიანი გეგმის აბსოლუტურად ყველა პუნქტი სწორედ ამ ორ მიზანს ისახავს, კერძოდ, როგორ შევქმნათ უფრო მეტი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილი და როგორ გავაუმჯობესოთ ჩვენი მოქალაქეების სოციალური მდგომარეობა (მათ შორის, ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სისტემების გაუმჯობესების გზით).

ეს ათი პუნქტია: მაკროეკონომიკური სტაბილურობა; მიმდინარე ანგარიშის ბალანსის გაუმჯობესება; საუკეთესო საინვესტიციო და ბიზნესგარემოს შექმნა/შენარჩუნება; რეგიონულ სავაჭრო და ლოგისტიკურ ცენტრად ჩამოყალიბება; ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სოფლის მეურნეობის განვითარება; განათლების სისტემის გაუმჯობესება; სოციალური პოლიტიკის დახვეწა; ხელმისაწვდომი, მაღალხარისხიანი ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება; ურბანული და რეგიონული განვითარება, – ვკითხულობთ მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავრობის საამაყო გეგმაში.

# როკ-ენ-როლის მეფის პირველი ჰონორარი 5 დოლარი იყო



ელვის აარონ პრესლი – ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ამერიკელი მომღერალი, მსახიობი. მას ხშირად მოიხსენიებენ როკ-ენ-როლის მეფედ.

დაიბადა ქალაქ ტუპელოში, მისისიპის შტატში, გლედის ლავ სმითისა და ვერნონ ელვის პრესლის ოჯახში. მისი იდენტური ტყუპისცალი ძმა, ჯესი გერონი დაბადებისთანავე გარდაიცვალა. 1941 წელს ელვისი სკოლაში შევიდა. თუმცა ოჯახი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობდა, მშობლები დიდი შრომის ფასად ახერხებდნენ შვილს გაჭირვება არ ეგრძნო. 10 წლის იყო, როცა მიიღო მონაწილეობა ტუპელოში გამართულ სიმღერის კონკურსში: სკამზე შემდგარმა, მიკროფონს რომ მისწვდენოდა, იმღერა ათასობით მაყურებლის წინაშე და მიიღო მეორე პრიზი – 5 დოლარი და მთელი წლით კარუსელებზე უფასოდ სეირნობის უფლება.

1946 წელს დაბადების დღეზე მშობლებმა პირველი გიტარა აჩუქეს, რაშიც 12.95 დოლარი გადაიხადეს. 1948 წელს ოჯახი ქალაქ მემფისში გადავიდა. ტენესის შტატის უმდიდრესმა მუსიკალურმა ტრადიციებმა მოხიბლეს ელვისი. ქანთრი, რითმ ენდ ბლუზი და გოსპელი აყალიბებდა მის მუსიკალურ გემოვნებას. ელვისი ორიგინალური სტილით გამოირჩეოდა, ჰქონდა გრძელი თმები და ბაკენბარდები, რასაც მისთვის ხშირად პრობლემებიც შეუქმნია. მწვრთნელმა იმის გამო გარიცხა ამერიკული ფეხბურთის სკოლის გუნდიდან, რომ არ შეიჭრა თმები და ბაკენბარდები. ერთხელ სკოლაში სამმა თანასკოლელმა ძალით დაუპირა თმის შეჭრა, თუმცა ელვისმა მეგობრის დახმარებით შეძლო თავის დაცვა.

სკოლაში ის წყნარი, მორიდებული და ზრდილობიანი ბიჭი იყო. ეკლესიასა და რელიგიას მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. სკოლაში მან კიდევ ერთხელ გაიმარჯვა ტალანტების კონკურსში და თანასკოლელების აღიარებაც მოიპოვა. 1953 წლის 3 ივნისს ელვისმა სკოლა დაამთავრა და რამდენიმე სამუშაო ადგილიც მოსინჯა მემფისში. პარალელურად, საღამოს სკოლაში სწავლობდა ელექტრიკოსის ხელობას.

1953 წლის 18 ივლისს ელვისმა მემფისში, სტუდია „მემფის რეკორდინგ სერვისში“ 4 დოლარი გადაიხადა და ჩაწერა ფირფიტა, რომელიც დედას აჩუქა დაბადების დღეზე. სტუდიის მფლობელი იყო სემ ფილიპსი, კაცი, რომელმაც asპარეზზე გამოიყვანა ლეგენდარული მუსიკოსები: ბი ბი კინგი, ჯერი ლი ლუისი, როი ორბისონი, ჯონი კეში და კარლ პერკინსი. თუმცა, სემ ფილიპსი ელვისის პირველ ჩაწერას არ დასწრებია.

პრესლიმ 1954 წლის 4 იანვარს კვლავ მიაკითხა სტუდიას და ჩაწერა ორი სიმღერა. ამჯერად, სემ ფილიპსი სტუდიაში იყო და ეძებდა თეთრ მომღერალს შავკანიანის ხმითა და გრძნობით. ამბობდა, რომ ასეთ მომღერალთან ერთად ის მილიარდის შოვნას შეძლებდა. პრესლი კარგი კანდიდატი იყო და ფილიპსმა გარკვეული ფიქრის შემდეგ ელვისს დაურეკა, სტუდიაში მიიწვია. ეს 1954 წლის 26 ივნისს მოხდა (დამთხვევაა, რომ ელვისის ბოლო კონცერტი 1977 წელს ზუსტად 26 ივნისს შედგა). ელვის პრესლიმ რამდენიმე სიმღერა იმღერა. ფილიპსმა ელვისს ადგილობრივი მუსიკოსები გიტარისტი სკოტი მური და ბას-გიტარისტი ბილ ბლეიკი შეახვედრა და მათ ერთობლივად რამდენიმე სიმღერა შეასრულეს.

პრესლიმ სკოტი მურთან და ბილ ბლეიკთან ერთად გასტროლები წამოიწყო. ისინი სამხრეთი შტატების პატარა კლუბებში გამოდიოდნენ. 25 სექტემბერს გამოვიდა მეორე ფირფიტა ორი სიმღერით, რის შემდეგ ქანთრის ვარსკვლავმა ჰენკ სნოუმ ნეშვილში მიიწვია „გრენდ ოლ ოპრიში“ შაბათის შოუში გამოსასვლელად. გამოსვლა ურიგო არ იყო და პრესლიმ მაყურებლის მოწონებაც დაიმსახურა, თუმცა „გრენდ ოლ ოპრის“ ერთ-ერთ გავლენიან მენეჯერ ჯიმ დენის არ მოეწონა და ელვისს ურჩია, სიმღერისთვის თავი დაენებებინა და მძღოლობას დაბრუნებოდა. ამან ელვისი მეტად გულდაწყვეტილი და ნაწყენი დატოვა.

ერთ თვეში ელვისმა „ლუიზიანა ჰეირაიდთთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმად ის ერთი წლის მანძილზე უნდა გამოსულიყო შოუში შაბათობით. ანაზღაურება მხოლოდ 30 დოლარს შეადგენდა, მაგრამ ეს კონტრაქტი ელვისის კარიერისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან მან მუდმივი სამუშაო იშოვა, სადაც უდიდეს მუსიკალურ გამოცდილებას მიიღებდა და საკუთარ სტილსაც საბოლოოდ დახვეწდა. ამასთან მან გრანდ ოლ ოპრიში შელახული საკუთარი თავის რწმენაც აღიდგინა. დანარჩენ დღეებში ის მართავდა კონცერტებს სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ შტატებში – სკოლის შენობებში, ღამის კლუბებში.

პრესლის სწრაფად მზარდი პოპულარობისთვის რეგიონალური ასპარეზი აღარ კმაროდა. ეს კარგად გააცნობიერა ტომ პარკერმაც და ელვისის მენეჯერი გახდა. გაფორმდა კონტრაქტიც. პარკერმა დაიწყო ელვისის ნაციონალურ ვარსკვლავად ქცევა – დაარწმუნა უმსხვილესი ჩამწერი სტუდია „რცა“, 35000 დოლარად (იმ დროისთვის არნახული თანხა) გამოესყიდა ელვისის კონტრაქტი სემ ფილიპსისგან. პრესლიმ გააფორმა ხელშეკრულება „რცა“-სთან, ხოლო პარკერი უცვლელ მენეჯერად დარჩა ელვისის სიცოცხლის ბოლომდე. პრესლის და პარკერის დამოკიდებულება ურთიერთპატივისცემაზე იყო დაფუძნებული. პარკერი ყოველთვის ახერხებდა ელვისისთვის უმაღლესი ჰონორარები გამოეთხოვა. ის ასევე სწორად წარმართავდა ელვისის სარეკლამო კამპანიას მედიაში. პარკერმა შეძლო ელვისის შესაძლებლობების სრულად ამოქმედება. პირველმა დიდმა წარმატებამაც არ დაიგვიანა – მალევე ის როკენროლის მეფედ აღიარეს.

მისი ფირფიტები კატასტროფული სიჩქარით იყიდებოდა, რომელთა რაოდენობა მილიონცალს აჭარბებდა. განსაკუთრებით პოპულარული მისი მეხუთე, უკანასკნელი ფირფიტა გამოდგა, რომელმაც ოქროს ალბომის სტატუსი შეიძინა. 10 კვირა ფირფიტას ლიდერობა არ დაუთმია. ის იყო ასევე როკენროლის პირველი ალბომი, რომელიც პირველ ადგილზე აღმოჩნდა. პარალელურად ელვისი კონცერტებს მართავდა მთელი ამერიკის მასშტაბით.

ელვისი და მისი მენეჯერი ჰოლივუდითაც დაინტერესდნენ და 1956 წლის 6 აპრილს პრესლიმ ცნობილ პროდიუსერ ჰოლ უოლისთან და კინოკომპანია „პარამაუნტ ფიქჩერსთან“ ხელი მიაწერა შვიდწლიან კონტრაქტს. ჰოლივუდი პრესლისთვის ბავშვობიდანვე საოცნებო სამყარო იყო. ახლა კი ის ამ სამყაროს მთავარი გმირი ხდებოდა, სადაც ყველა ვარსკვლავს დაჩრდილავდა. მისი ფილმების უკლებლივ ყველა რეჟისორი აღნიშნავდა მის უდიდეს შრომისმოყვარეობასა და ზედმიწევნით თავაზიანობას.

23 აპრილიდან 6 მაისამდე ელვისი ლას ვეგასში მართავდა კონცერტებს სასტუმრო „ნიუ ფრონტიერში“. მალე პრესლი და ლას ვეგასი განუყრელი ცნებები გახდა.. როკენროლის შესრულების დროს ელვისის ცეკვამ და მოძრაობებმა ახალგაზრდობის აღტაცება გამოიწვია, მაგრამ უფროსი თაობისა და პრესისთვის ის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა და მათი აზრით, ახალგაზრდობის მორალზე უარყოფით გავლენას ახდენდა. თავად ელვისი ყოველთვის აცხადებდა, რომ ეს იყო მისი ბუნებრივი მოძრაობები და სიმღერის დროს შეჩერება არ შეეძლო. თუ ადამიანს როკენროლი უყვარს და მას გრძნობს, შეუძლებელია მისი მოსმენის დროს არ იმოძრაოსო, – აცხადებდა მეფე. მისი თქმით, სცენაზე გამოსვლისას ყველაზე მიმზიდველი მაყურებელთან კონტაქტით წარმოქმნილი მუხტია და მისთვის ეს უმთავრესია. მაგრამ მის გამოსვლას შოუში პრესა ძალიან უარყოფითად შეხვდა, ნიუ იორკის გაზეთებმა უაღრესად უნიჭო და ვულგარული უწოდეს, მისი სიმღერის უნარი საერთოდ ეჭვქვეშ დააყენეს. პრესლიმ კი ამასობაში თავის ტურნე განაგრძო ჯერ კალიფორნიაში, შემდგომ კი ჯორჯიასა და ჩრდილოეთსა და სამხრეთ კაროლინის შტატებში. ელვისი დაუღალავად მუშაობდა. სამ დღეში 10 კონცერტი გამართა ატლანტაში. 1 ივლისს ელვისმა მონაწილეობა მიიღო ნიუ იორკში სტივ ალენის სატელევიზიო შოუში, სადაც მისი გამოსვლის ძირითადი მიზანი იყო, ის მრავალრიცხოვანი ნეგატიური განცხადებები გაექარწყლებინა, რაც მილტონ ბერლის შოუმ გამოიწვია. წინა შოუსგან განსხვავებით, ელვისს ეცვა სმოკინგი, გამოიყურებოდა რესპექტაბელურად და უფროსი თაობისთვის მისაღებად, თუმცა, როგორც თავად იხუმრა, ყველაფერი მაინც არ ეცვა წესის თანახმად. სიმღერის დროს დამახასიათებელი მოძრაობები არ შეუსრულებია და უმღეროდა ტაქსას ჯიშის ძაღლს, რომელსაც ცილინდრი დაახურეს. ამ გამოსვლას პრესლი მომავალშიც არაერთხელ იხსენებდა ხალისით, თუმცა ამბობდა, მოძრაობები ამიკრძალეს და მხოლოდ ნეკა თითის განძრევის საშუალება მომცესო.



მუსიკაში უზომო პოპულარობამ ელვისს გზა ჰოლივუდისკენაც გაუხსნა. მისი პირველი ფილმის „შემიყვარე სათუთად“, 19956 წლის 15 ნოემბერს შედგა. მართალია, მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლით დაკმაყოფილდა და 4 სიმღერა იმღერა, მაგრამ ფილმის საყურებლად სწორედ მის გამო მიდიოდნენ. 1957 წელს გამოვიდა კიდევ 2 ფილმი – „მიყვარხარ“ და „ციხის როკი“, რომლებმაც ასევე სერიოზული კომერციული მოგება მოიტანეს.

ერთია, მისი მუსიკალური წარმატება ფილმებში მხოლოდ იოლ როლებს ახვედრებდა, რომელიც ძირითადად ისევ სიმღერასთან იყო დაკავშირებული. მისი მეოთხე ფილმი „მეფე კრეოლი“, რომელიც 1958 წელს გამოჩნდა ეკრანებზე, ყველაზე მეტად არტისტულად ითვლება პრესლის შემოქმედებაში და სტუდიური ნამუშევარიც გაცილებით უფრო მეტი ჩანდა.

იმავე წლის 24 მარტს ელვისი არმიაში გაიწვიეს, რასაც ამერიკელ ახალგაზრდებში საპროტესტო აქციები მოჰყვა. ჯარისა და პრეზიდენტის სახელზე უამრავი წერილი გაიგზავნა, რათა მომღერლისთვის არმიაში წასვლა თავიდან აეცილებიათ. და მაინც, 1958 წლის შემოდგომაზე პრესლი დასავლეთ გერმანიაში დისლოცირებულ მე-3 სატანკო დივიზიონში გადაისროლეს.

არმიაში მსახურობისას პრესლი ზუსტად იმავე დავალებებს ასრულებდა, რასაც სხვა რიგითი ჯარისკაცები, თუმცა თავისუფალ დროს ცოტა მეტი უფლებები ჰქონდა და ხან კაბარეებს სტუმრობდა, ხანაც იტალიაში მოგზაურობდა. ამ დროის მანძილზე სიმღერა მხოლოდ ერთხელ ჩაწერა. ერთ-ერთ საღამოზე მან გაიცნო 14 წლის პრისცილა ბულიე, რომელიც შემდეგში მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს.

1960 წლის 2 მარტს პრესლი ამერიკაში დაბრუნდა და სერჟანტის წოდებით იქნა დემობილიზირებული.

ამერიკიდან პრესლი აგრძელებდა პრისცილასთან ურთიერთობას და 1963 წელს 17 წლის გოგონა პრესლისთან ჩაიყვანეს და მშობლებმა უფლება მისცეს მასთან დარჩენილიყო. ამასთან, იმ უფლებით, რომ კათოლიკურ სკოლაში ისწავლიდა. გოგონა სწავლობდა, ელვისი კი აგრძელებდა თავის საქმიანობას. 1967 წლის 1 მაისს ელვისმა და პრისცილამ იქორწინეს. თავიდან პრესლი ოჯახურ სიამოვნებას იღებდა, თუმცა გოგონას, ლიზი-მარის დაბადების შემდეგ ჩვეულ საქმიანობას დაუბრუნდა და პრისცილას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ასევე უყურადღებო გახდა გადასაღები მოედნის მიმართ, რადგან მოსაწყენი როლები არ სიამოვნებდა. ამასთან, როკ-მუსიკა მომენტალურად იცვლებოდა. ბრიტანული ჯგუფები უკვე თავად თხზავდნენ ახალ-ახალ სიმღერებს, რომლებიც თანდათან ითვლებოდა ტონის მიცემად მუსიკალურ ინდუსტრიაში, თავად პრესლის კი აქამდე ერთი სიმღერაც არ ჰქონდა დაწერილი. პრესლი ქანთრის მიმდინარეობაზე გადაერთო, თუმცა 1968 წელს მის კარიერაში ძალიან ცუდი გადატრიალება მოხდა.

ჰავაიში ჩატარებული კონცერტის შემდეგ პრესლიმ ლას ვეგასში მისი მერვე სეზონი დაიწყო, თუმცა რამდენიმე კონცერტის გადადება მოუწია. ამის მიზეზი კი ჯანმრთელობის გაუარესება იყო, რომელიც მის მიერ მიღებულმა ამბებმა გამოიწვია, რომელიც მომღერალს როგორც ნარკოტიკი, ისე ექცა. ჯერ კიდევ გერმანიაში მსახურობის დროს, ელვისი იღებდა აბებს, რომელიც მას უძილობისთვის სჭირდებოდა, რადგან ღამით თავისუფალ დროს მისთვის სასურველ საქმეს არ ჩამოშორებულიყო. შემდეგ კი უკვე მისი ორგანიზმი დაძინებას ითხოვდა და ახლა უკვე იმ აბებზე გადაერთო, რომელიც მას ამის საშუალებას მისცემდა. ჰოლივუდში დაბრუნების შემდეგ კი აუცილებელი გახდა ესვა ისეთი წამლები, რომლებიც მას მუდმივად შეუნარჩუნებდა ფორმას და ბოლოს, ლას ვეგასში მიმდინარე გასტროლების დროს საჭირო გახდა ისეთი აბების მიღება, რომელიც მომღერალს გადატვირთული გრაფიკის დროს განტვირთვის საშუალებას მისცემდა.

ამ ყველაფერმა მომღერალს ჯანმრთელობა შეურყია, რამაც 70-იანი წლების დასაწყისში სამედიცინო ჩარევა მოითხოვა. ამ ყველაფერს დაემატა მარცხენა თვალის გლაუკომა და კუჭთან დაკავშირებული პრობლემები. ჯანმრთელობის გაუარესების გამო სულ უფრო ხშირად უხდებოდა კონცერტების გამოტოვება. 1973 წელს პრესლი პირველად მოხვდა საავადმყოფოში. 1975-77 წლებში ელვისი კიდევ რამდენჯერმე იქნა ჰოსპიტალიზირებული. თავად პრესლი თვლიდა, რომ ექიმების მიერ გამოწერილი აბები სულაც არ იყო ნარკოტიკული მნიშვნელობის, თუმცა წამლებით გადატვირთულს უკვე მოჩვენებები დაეწყო. მის სახლში თუ სასტუმროს ოთახებში დამონტაჟებული იქნა სათვალთვალო კამერები, თავად ოთახები კი ნახევრადჩაბნელებული იყო და ყველგან იდგა კონდენციონერები, რათა ერთნაირი ტემპერატურა შენარჩუნებულიყო. ველარ იტანდა დღის შუქს და წვებოდა ყოველთვის დილით, ხოლო იღვიძებდა დღის მეორე ნახევარში. ღამ-ღამობით დაიოდა ქუჩაში, მაღაზიებში, კინოთეატრებში.

ამასობაში პრესლი პრისცილას დაშორდა. 1977 წლის 16 აგვისტოს, როგორც ყოველთვის, ელვისი გვიან ღამით დაბრუნდა კბილის ექიმიდან. მის გარემოცვას მომავალ კონცერტზე და ახალ მეგობარ გოგონაზე, ჯინჯერ ოლდენთან ქორწინებაზე ესაუბრა. უკვე დილით, როდესაც ელვისი დასაძინელად გაემზადა, დამამშვიდებელი აბები მიიღო. როგორც ჩანს, აბებმა ველარ იმოქმედა საჭირო დოზით და გარკვეული დროის შემდეგ ელვისმა კიდევ მიიღო დამატებითი დოზა, რომელიც კრიტიკული გამოდგა. დღის 2 საათზე, როდესაც ოლდენმა გაიღვიძა და ელვისი საკუთარ საწოლში ვერ ნახა, ძებნა დაუწყო და მომღერალი აბაზანაში წაქცეული აღმოაჩინა. პრესლი გადაყვანილი იქნა რეანიმაციაში, მაგრამ ყველა მცდელობა ამაო გამოდგა. დღის 4 საათზე მთელმა მსოფლიომ გაიგო მისი გარდაცვალების შესახებ. მისი გარდაცვალების შესახებ კი რამდენიმე ვერსიაა – გადაჭარბებული დოზა სამედიცინო მედიკამენტების, მეორე მხრივ კი, ეს მედიკამენტები შეცვლილია ნარკოტიკებით. გარკვეული დრო იმასაც ამტკიცებდნენ, რომ პრესლი არ მომკვდარა და ახლაც ცოცხალია.

თუმცა, ფაქტია – 18 აგვისტოს ელვისი სასაფლაოზე დაკრძალეს, თუმცა რამდენიმე თვის შემდეგ საკუთარი სახლის ეზოში გადაასვენეს. სწორედ ამ დროს მოხდა მცდელობა გაეტეხათ მისი კუბო, რათა თაყვანისმცემლები დარწმუნებულიყვნენ, მართლა გარდაცვლილი იყო თუ არა როკ-ენ-როლის მეფე.

ელვის პრესლი კი დაასაფლავეს, მაგრამ ის მართლაც არ „მომკვდარა“ – მომღერალი დღესაც კი მსოფლიო პოპ-კულტურის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პიროვნებად ითვლება. მასზე გადაღებულია უამრავი ბიოგრაფიული ფილმი, გამოშვებულია წიგნები. მთელ მსოფლიოში მოდებულია პრესლის იმიტატორები. მისი სახლი „რეისლენდი“ ამერიკაში მნახველების მხრივ მეორეა და მხოლოდ „თეთრ სახლს“ ჩამორჩება. „გრეილანდს“ წელიწადში 600.000 ტურისტი სტუმრობს.

მისი მუსიკა დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მის ყველა საქმეს აკონტროლებს კომპანია „ელვის პრესლი ენტერპრაისი“, რომელსაც თავის მხრივ პრისცილა და ლიზი-მარი პრესლები აკონტროლებენ. აღსანიშნავია, რომ პრესლის გოგოც მომღერალი გახდა და 3 ალბომი გამოუშვა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ნინო ძოწენიძე: „მეგობრები ყავასაც არ მადუღებინებენ“

ეკა ირემაშვილი

მომღერალმა ნინო ძოწენიძემ სულ ახლახან ჟურნალისტებსა და უახლოეს მეგობრებს ჯგუფი „ნეო“ წარუდგინა. ჯგუფში 7 მუსიკოსი ბიჭია, ვინაიდან მათ ერთადერთი ვოკალისტი ქალი ჰყავს, ამიტომ ჯგუფს ხუმრობით ფიფქია და შვიდი ჯუჯა დაერქვა. ჯგუფში გაერთიანებული არიან – ნინო ძოწენიძე (ვოკალი), ვეფხია კელაპტრიშვილი (დასარტყამი ინსტრუმენტი), ბიჭიკო ქადაგიძე (პერკუსია), გიორგი კელაპტრიშვილი (კონგები), რამაზ მაკალათია (კლავიშები), თორნიკე სირაძე (სოლო გიტარა), გიორგი კაკუტია (გიტარა, ვოკალი), თემურ მელაშვილი (ბას გიტარა). ხმის რეჟისორები არიან დათო დევდარიანი და თემურ ფონია, ხოლო განათება აჩიკო ბადიაშვილს ეკუთვნის.

„ნეოს“ პრეზენტაციაზე ნინო ძოწენიძის მეგობრებმა, კოლეგებმა და ჟურნალისტებმა მოიყარეს თავი. როგორც ჯგუფის წევრები ამბობენ, მათ სამწლიანი მუშაობის შედეგი ჯერ ჟურნალისტებს და უახლოეს მეგობრებს გააცნეს, სულ მალე კი საკუთარი ნამუშევრების ფართო პოპულარიზაციას დაიწყებენ.

ჯგუფის ვოკალისტი ნინო ძოწენიძე ამბობს, რომ „ნეოსთან“ მუშაობის ბავშვობის ოცნება აისრულა და უკვე თავისი ცოცხალი ბენდი ჰყავს. პირველი კონცერტი ჯგუფის წევრებმა გორში გამართეს, სადაც დიდი პოპულარობა მოიპოვეს. უახლოს სამომავლო გეგმებში კი მუსიკალური კომპოზიციების ჩაწერა და ვიდეოკლიპის გადაღება შედის.

დაანებებს თუ არა თავს სოლოკარიერას ნინო ძოწენიძე, მოიცილებს თუ არა „შინამანაკენას“ იარლიყს და როგორ უყურებს მის საქმიანობას მისი მეუღლე გიგა კუხიანიძე, ამ ყველაფერზე მომღერალი „ახალ თაობას“ ესაუბრა.

ნინო ძოწენიძე:

– ჯგუფს სახელი „ნეო“ ჩვენმა ერთ-ერთმა წევრმა მოიფიქრა. რადგან სიტყვა „ნეო“ ახალს ნიშნავს, ჩვენი სახით საზოგადოებაში ახალი ჯგუფი გაჩნდება. ბავშვობის ოცნება ამიხდა და ჩემი ბენდი მყავს. მუსიკოსებთან ერთად ვდგავარ სცენაზე და ცოცხალი მუსიკის თანხლებით ვმღერი. უკვე მესამე წელია ერთად ვართ, ვმუშაობთ და ვუკრავთ. კვირაში სამი დღე ყოველთვის გვაქვს რეპეტიციები. ჯგუფს ჰქვია „ნეო“, შედგება 7 ბიჭისგან და 1 გოგოსგან. ამაზე სულ ვხუმრობთ ხოლმე, ფიფქია და შვიდი ჯუჯა ვართო. ჯერ 6-ნი ვიყავით, მეორე გიტარისტი რომ მოვიდა, უკვე რეალურად გავხდით ფიფქია და შვიდი ჯუჯა.

***– გამოდის, პატივში ხართ?***

– კი, ნამდვილად. ბიჭები მანებივრებენ, ყავის გაკეთება ფაქტიურად არ მიწევს, რიგრიგობით მიკეთებენ.

***– როგორ შეიკრიბეთ?***

– ჩვენს ჯგუფს აქვს უდიდესი ფუფუნება. ჩვენ მუშაობაში გვეხმარება მეცენატი ლერი ინდაშვილი, რომელიც აბსოლუტურად უანგაროდ აკეთებს ყველაფერს. იმიტომ რომ ახალგაზრდობაში მუსიკოსი იყო, უკრავდა და უყვარს ეს საქმე. ეს ყველაფერი გააკეთა იმიტომ რომ უნდოდა, ჰქონოდა ყველაფერი – თავისი აპარატურა, თავისი სცენა, თავისი ჯგუფი და ეს ოცნება აიხდინა.

***– როგორია თქვენი მუსიკალური მიმდინარეობა?***

– ბევრანაირი. ჩვენ მუსიკალური სინთეზი გვაქვს, ერთი მიმართულებით არ ვმუშაობთ, იმიტომ რომ აქ არის კომერციული გათვლა. ნამდვილად არ ვმუშაობთ ენთუზიაზმზე. მოგატყუებთ რომ გითხრათ, რომ მარტო ჩვენთვის ვუკრავთ აქ და რაღაც პერსპექტივაზე არ ვფიქრობთ-თქო. რა თქმა უნდა, ვფიქრობთ, არც ერთი არ ვართ პატარა ბავშვები, ასაკიანი ჯგუფის წევრებიც გვყავს. მეც არ ვარ პატარა გოგო, რომ მიხაროდეს სიმღერა. კი, მიხარია, იმიტომაც გაიწელა სამი წელი ეს ყველაფერი, მაგრამ სამყაროს ვარდისფერი სათვალებით არც ერთი აღარ ვუყურებთ. აქ ისეთი აურაა, რომ მგონია, ყოველდღე სცენაზე ვარ. აქ მაქსიმალური კომფორტია. ყველა სიმღერა გათვლილია მასაზე. მიყვარს მელოდია, შინაგანად მელოდისტი ვარ, თუ სიმღერა ჩემთან, ჩემს გულთან არ არის ახლოს, ისე ვერ ვიმღერებ. როცა სიმღერას ვწერ, უკვე ვიცი, გახდება თუ არა ის ჰიტი. ჩემი ცხოვრების ოცნება იყო, რომ მყოლოდა ბენდი და როგორც იქნა, ეს ოცნებაც ავიხიდნე.

***– კონცერტები უკვე გქონდათ?***

– ერთი კონცერტი გვქონდა ერთად, ეს იყო გორში. მართლა იმდენად ნასიამოვნები დავრჩით ბოლოს, ისეთი ადრენალინი იყო მაყურებლიდან წამოსული, შოკში ვიყავით. 2 საათი ვიდექით სცენაზე და ეს იყო უდიედსი სიამოვნება. გორის მაყურებელი ცნობილია, რომ ძუნწია ტაშის დაკვრაში. ისეთი ამბები ხდებოდა კონცერტზე, გაოგნებულები ვიყავით. ძალიან მიხარია, რომ მოეწონათ. ჩვენ ამ ყველაფერს იმიტომ ვაკეთებთ, რომ მსმენელს მოეწონოს და სიმღერები შეუყვარდეთ. ყველაფერს ხალხისთვის ვაკეთებთ.

***– პირველი კონცერტი გორში რატომ ჩაატარეთ?***

– ჩვენი მეგობარი ჯგუფია „რკინის რაინდი“. მათ ჰქონდათ კონცერტი გორში და ჩვენი ჯგუფიც შესთავაზეს ორგანიზატორებს. ისინი არ გვიცნობდნენ, მაგრამ მაინც მიგვიწვიეს. რომ ჩატარდა კონცერტი, ორგანიზატორებმა გვითხრეს, აწი არ ჩატარდება კონცერტი თქვენ გარეშეო. ძალიან დიდი კმაყოფილებები გამოთქვეს.

***– სხვა ქალაქებში არ ჩახვალთ?***

– ამ ეტაპზე ალბათ ვერა. დაზუსტებით ვიცი, რომ კიევში 4 თვიანი ტურნე კეთდება. თუმცა ახლა ჩაწერების დაწყებას ვაპირებთ. გვინდა 4 კომპოზიცია ჩავწეროთ, რომ რადიოებში დატრიალდეს. დაგეგმილი გვაქვს კლიპის გადაღებაც. გვინდა ხალხმა გაიგოს, ვინ ვართ და რას ვუკრავთ. ნეო, ნეო კი ესმით, მაგრამ რას ნიშნავს ნეო და რას ვუკრავთ, ხომ უნდა იცოდეს ხალხმა. უკვე მოვაწყვეთ პრეზენტაცია ჩვენი უახლოესი მეგობრებისთვის და პრესისთვის. ახლა უკვე საჭიროა რადიოთი და ტელევიზიითაც დავფიქსირდეთ, რას ვუკრავთ, რას ვმღერით, იქნება და რას ვმღერით.

***– კომპოზიციების შექმნაში თქვენც იღებთ მონაწილეობას?***

– რა თქმა უნდა. ბავშვობიდან ვწერდი სიმღერებს, მაგრამ რაც ჯუგფში მოვედი, ყველა მელოდიას ცოცხლად განვიცდი, ყველა ინსტრუმენტი ჩემამდე მოდის. თან პროფესიით მევიოლინე ვარ.

***– ჯგუფშიც ხომ არ დაუკრავთ ვიოლინოზე?***

– აუცილებლად უნდა გამოვიყენო ეს ჩემი პროფესია ამ ჯგუფში. უნდა გავიხსენო, დიდი ხანია არ დამიკრავს და უნდა ვიმეცადინო. კომპოზიციას ვწერთ ერთად, რომ მომივა მუზა ან ფრაზა, მერე ნელ-ნელა ბიჭები ამოდიან სცენაზე, ჯერ დრამი შემოვა რიტმში, მერე გიტარა, კლავიში და ასე ვქმნით სიმღერას.

***– თქვენი სოლოკარიერის საკითხი როგორ იქნება?***

– ჩემი სოლოკარიერა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. ორივე ერთად უნდა შევათავსო. სოლოკარიერაში ჩემი ქმარი გიგა კუხიანიძეა ჩემი პროდიუსერი.

***– თქვენს მეუღლეს გიგა კუხიანიძეს მოწონს ჯგუფში რომ მღერით?***

– რა თქმა უნდა. უხარია და მოსწონს, რომ მყავს ბენდი და ასე ვმუშაობთ. კრიტიკულია ზედმეტად ჩემთან მიმართებაში. როცა გიგა მისმენს, ორჯერ უფრო მეტად ვნერვიულობ, ვიდრე 2 ათასი ან 5 ათასი კაცი რომ მისმენს. საკმაოდ ობიექტური შემფასებელია ჩემი.

***– ცოლი რომ ხართ, ეს არ არის თქვენთვის შეღავათი?***

– არა. პირიქით, ცოლი რომ ვარ, იმიტომაც ითხოვს ჩემგან მაქსიმუმს. აქ უკვე პროფესიულად მიდგება და არა როგორც ცოლს. პროფესიულად ითხოვს ჩემგან ბევრს და ბევრს.

***– როცა კლიპებს გიღებთ, მაშინაც მკაცრია?***

– მაშინაც მთხოვს და მთხოვს. გიგა საკმაოდ მკაცრია. ვეტყვი ხოლმე, გიგა, აღარ შემიძლია-მეთქი, მაგრამ მაინც არ მანებებს თავს. ძალიან დიდი პრეტენზია აქვს, უნდა რომ მაქსიმუმი გავაკეთო. ხომ იცით, ასაკს თავისი მოაქვს. ძალიან დიდიც არ ვარ, მაგრამ ადრე რომ ვცეკვავდი გაუჩერებლად 3 საათი, ახლა შეიძლება მხოლოდ 2 საათი ვიცეკვო. აქ მივეჩვიე უფრო, სცენაზე ვმღერი კიდეც, ვცეკვავ კიდეც და მეტი დატვირთვა მაქვს.

***– გიგა მოდის და გისმენთ?***

– იშვიათად. იმდენად არის დატვირთული თავისი საქმეებით, რომ ხშირად მოსვლას ვერ ახერხებს. თუ მე ვეტყვი ხოლმე, რომ მოდი, რაღაც ახალი გვაქვს და მოისმინე-მეთქი, მაშინ მოდის ხოლმე.

***– კარგია, ოჯახი რომ ერთ საქმეში ხართ ჩართული?***

– მეუღლე არ მყავდეს და სტუდია არ მქონდეს, რაღაცა კი იქნებდა, მაგრამ არა ეს, რაც დღეს არის. კარგია, რომ ჩვენ ერთ საქმეს ვაკეთებთ. გიგა ყველაფერში მეხმარება. რთულია იმ მხრივ, რომ ორი შემოქმედის ერთად ცხოვრებაა ძნელი. ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ. გიგას ვიცნობ ბავშვობიდან. 9 წლიდან მოვდივართ ერთად და იმ დონეზე ვიცნობთ ერთმანეთს, რომ ერთად ცხოვრება გვიადვილდება. ჩემს ცხოვრებაში გიგას გარეშე არაფერი არ კეთდება. გიგა ერევა ყველაფერში, მან უნდა ნახოს, მას უნდა მოეწონოს, ანუ ბოლო სიტყვა მისია. გიგა ქმართან ერთად ჩემი დიდი მეგობარია. თუმცა რთულია ორი შემოქმედი ადამიანის ერთად ცხოვრება. ზედმეტად ემოციურები ვართ, მაგრამ ამ შემთხვევაში მე უფრო დამთმობი და ლმობიერი ვარ. არც ერთს გვყავს მილიონერი დედ-მამა და არც მეორეს, ორივეს მოგვიწია ბავშვობიდან შრომა და წვალებით აქამდე მოსვლა, ამიტომაც გიგა ბევრს შრომობს. თუ ის ოდნავ ნერვული, აფექტური და ფეთქებადია, მაინც ვუგებ, იმიტომ, რომ მართლა ბევრს მუშაობს.



***– თქვენი პატარა თუ მღერის?***

– ჩვენს სანდროს სიმღერა დიდად არ უყვარს. მე და გიგა ვიძახით ხოლმე, ამხელა რომ ვიყავი, ვცეკვავდი, ვმღეროდი და გასტროლებიც მქონდაო. გიგა სანდროს ასაკში ბეთჰოვენს უკრავდა.

***– დედა მღერის, მამა მღერის, თქვენი მაზლი კახა კუხიანიძე მღერის და თქვენი შვილი არ იმღერებს?***

– დედაჩემი და ჩემი ძმა არ მღერიან და ალბათ მათ დაემსგავსა. მამაჩემი კარგად მღეროდა. თუ დედაჩემის და ჩემი ძმისკენ წავიდა, არაფერია. მათემატიკის ნიჭი აქვს და ეს ძალიან კარგია. ჩემი შვილი მომღერალი თუ არ გამოვა, ამით ქვეყანა არ დაიქცევა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში სიმღერა საკადრისად არ არის დაფასებული. მე სიმღერის გარდა, არაფერი შემიძლია. ეს ჩემი პროფესიაა, ჩემი საქმეა, ამას ვეთაყვანები და ვშრომობ იმისთვის, რომ მიყვარს ეს საქმე. ძალით ჩემი შვილი რომ ვამღერო, ეგრე არ მინდა. თუ ნიჭი ექნება, მაშინ ხელს შევუწყობ. გიგაც იტყვის ხოლმე, თუ ნიჭიერი იქნება, აუცილებლად გვერდით დავუდგებიო. იძულებით რომ ამღერებენ შვილებს, ეგრე არ მინდა.

***– ამ ჯგუფში მოსვლით დაიმსხვრა ნინო ძოწენიძის შინამანაკენას იარლიყი?***

– შინამანაკენას შემდეგ რამდენი სიმღერა ჩავწერე, საკმაოდ კარგი, გემოვნებიანი, მაგრამ მაინც ეს სიმღერა არ მობეზრდათ. პოპულარობა ამ სიმღერამ მომიტანა, ფაქტია. რატომ ამოიჩემა მსმენელმა ეს სიმღერა, არ ვიცი. არადა, ქუთაისში ჯგუფში 10 წელი ვმღეროდი, კონცერტები მქონდა, აქ 6 წელი ვმღეროდი და ისეთ მუსიკას ვუკრავდით, 10 კაცი მყავდა მსმენელი. სხვა კარგი კომპოზიციებიც ჩავწერე, მაგრამ ერთი ინტერვიუ არ მქონია. შინამანაკენა ჩაიწერა და 3 დღეში უკვე მასიურად პოპულარული ვიყავი და ჩემი სიმღერაც ჰიტი იყო. ბიჭებიც ხუმრობდნენ ღამის შოუში, ისინი ჩემი მეგობრები არიან. ვთვლი, რომ ეს კარგი პიარია და კრიტიკაც ფარული კომპლიმენტია. არ ვთვლი, რომ შინამანაკენა იყო ჩემთვის ცუდი ნამუშევარი. ყველგან ვამბობ, რომ ეს არ იყო ცუდი სიმღერა ან ადვილად სამღერი. სულ აღვნიშნავ, რომ ყველა მომღერალს არ შეუძლია ეს სიმღერა იმღეროს. როდესაც ჩემი სიმღერა „შინამანაკენა“ გამოვიდა. მაშინ გავიფიქრე, ეს ხალხი ასე რამ გააბოროტამეთქი. ალბათ, ზოგიერთი იმით ცოცხლობს, სხვაზე რომ საუბრობს და ჭორაობს. ახლა მინდა საზოგადოებამ ამ ჯგუფთან ერთადაც გამიცნოს. არ მინდა საზოგადოება მარტო ნინოს სიმღერებზე მოვიდეს, მინდა ჯგუფის სიმღერებიც შეიყვარონ.

***– როგორ გაჩნდა ამ სიმღერის ჩაწერის იდეა?***

– ლადავ-ლადავში. ვილადავეთ და ასე ჩაიწერა სიმღერა, არ ვფიქრობდი მის გაჰიტებას. წავიღე სოფელში, ჩავრთეთ შავი მასალა და ხალხმა დაიწყო ცეკვა. თან დასავლეთში როგორც იციან, მოვიდნენ, მომიკითხეს. ხალხი რომ აცეკვდა, გიგას ვუთხარი, აი, ეგ არის ბიჭო, ჰიტი, რაღად გვინდა რამის ძებნა-მეთქი. მართლა გამოვიდა შინამანაკენა ჰიტი. შვიდი წელი გავიდა მისი შექმნიდან და ეს სიმღერა არ ავიწყდებათ.

***– ჯგუფი „ნეოც“ მასაზე იმღერებს?***

– მიმაჩნია, რომ მასას უნდა ბევრი კარგი, ცუდი, ძალიან ცუდი და საშუალო დონის მუსიკა მიაწოდო, რომ შედარება შეძლოს და გაარჩიოს კარგი ცუდისგან. სულ ცუდი რომ აკეთო, არც ეს ვარგა, თორემ მომავალ თაობებს გემოვნებასთან დაკავშირებული პრობლემები ექნებათ, თუმცა ისეთი ბავშვები მოდიან, ზოგი ისეთ მუსიკას უსმენს, შეიძლება ჩვენ ვერ დავეწიოთ. ისინი სულ სხვანაირად აზროვნებენ. ჩვენი მუსიკა არის გათვლილი მასაზე. რამდენიმე მუსიკა გვაქვს, რომელიც ჩვენ „გვევასება“, რაც მოგვწონს მე და ჩემს როკერ გიტარისტს, რომელიც როკერი იყო და ეხლა ყველაფერი დავაკვრევინე. უნივერსალური გავხადე, იმიტომ რომ მარტო როკს უკრავდა. გვაქვს მუსიკა, რომელიც ძალიან მომწონს, მაგრამ მან შეიძლება ისე რა პოპულარობა მოგვიტანოს, იმიტომ რომ მას 100-500 კაცი გაიგებს, რითაც ფულს ვერ იშოვნი. ჩვენ კი გვინდა ფული ვიშოვნოთ, იმიტომ რომ არავის არ აქვს აქ დალხენილი ცხოვრება. ჩვენ მასაზე გათვლილი სიმღერები უნდა ვიმღეროთ, მაგრამ ეს არ იქნება დაბალი ხარისხის მუსიკა. ამ ბენდში ყველა პროფესიონალია, ყველას ესმის მუსიკა უმაღლეს დონეზე. საცეკვაო ელემენტებიც არის მუსიკაში, ის ისეთია, რომ ხალხს აუცილებლად მოეწონება.

***– გრძნობთ, რომელი სიმღერა გაჰიტდება?***

– მკვიდრდები მაშინ, როდესაც შენი მსმენელი გყავს. გვაქვს სამი სიმღერა, რომელიც უეჭველი ვიცი, რომ ჰიტია, უბრალოდ, მას უნდა კარგი გაპიარება. რადიოშიც უნდა მიიტანო, ტელევიზიაშიც, ყველგან, კლიპიც უნდა გადაიღო, რომ მასიურად მიაწოდო მსმენელს შენი მუსიკა.

***– კლიპს თქვენი მეუღლე გადაგიღებთ?***

– არ ვიცი, ჯერ ვფიქრობთ.

***– გაგიშვებთ გიგა სხვა რეჟისორთან?***

– რატომაც არა. ჯგუფთან ერთად ნინო უკვე შეიძლება გადაიღოს სხვამაც. არის შემოთავაზებები მეგობრებისგან, შეიძლება გადავიღოთ და გიგა სულაც არ იყოს ჩვენი კლიპის რეჟისორი. ამ ბოლო დროს გიგამ მიითვისა ყველაფერი, ძალიან კარგად გამოსდის. ისეთი ხედვა აქვს, ბარე ორი რეჟისორი შეედაროს. ერთიორჯერ ისეთი რაღაცეები გააკეთა, სულ ვეუბნები, სულ უნდა იმუშავო, არ უნდა გაჩერდე-მეთქი. იდეური ადამიანია, ყველაფერი გამოსდის, ნიჭი აქვს.

***– ბენდი გაძლევთ საშუალებას რომ ყველა მუსიკალური მიმდინარეობა იმღეროთ. თუ არის რამე, რაც არ გაინტერესებთ და არ დაუკრავთ?***

– ჩვენ ამდენი წელია ვმუშაობთ და სულ ექსპერიმენტებს ვაკეთებთ. ჩვენ შეგვიძლია ფანქი, ჯაზი, აფრიკული ელემენტები ერთმანეთს შევურიოთ, სინთეზი გავაკეთოთ. არ გვინდა ვილაცეებს ვგავდეთ. ჩვენც მოგვწონს ვილაცეები, მაგრამ არ გვინდა მათი გავლენა იგრძნობოდეს. ჩვენ მოგვწონს შევაჯვაროთ მუსიკალური მიმდანირეობები და საინტერესო რაღაც გამოვიდეს. ჯერ კიდევ ექსპერიმენტებში ვართ.

***– კომპოზიციებს რომელ სტუდიაში ჩაწერთ?***

– ვოკალს ჩემი მეუღლის გიგა კუხიანიძის სტუდიაში ჩავწერთ. ინსტრუმენტების ჩაწერის საშუალება კი იქ არ არის, ამიტომ სხვაგან მოგვიწევს ჩაწერა

***– ანრი ჯოხაძემ თქვენი მოსმენის შემდეგ თქვა, ხელები მაღლა ამიწევიაო. კოლეგების აზრს აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?***

– აქ ვინც იყვნენ, ისინი ჩემი მეგობრები არიან და მათი მჯერა. მიყვარს ნიჭიერი ხალხი, არ მიყვარს უნიჭო ხალხი. ნიჭიერებას ყოველთვის აღვნიშნავ და ხელებს ვწევ ნიჭიერების წინაშე. რაც აქ ითქვა, იყო სულიდან და გულიდან ამოსული, ეს არ იყო თამაში და ამიტომაც მჯერა მათი. თან ანრის ტყუილის თქმა არ შეუძლია, ის არ თამაშობს.

***– ზოგადად კოლეგების აზრი არ გაინტერესებთ?***

– ბევრი ნიჭიერია ქართულ შოუბიზნესში, მათი აზრი ნამდვილად მაინტერესებს. ვინც ჩემთვის კომპეტენტურია, მათ ვუსმენ დიდი ყურადღებით. როცა მეგობრული ურთიერთობაა, იქ შეგვიძლია ერთმანეთს აზრები გავუზიაროთ. არ იდება ფული ამ შოუბიზნესში და რა ვქნათ?!

***– რატომ არ იდება ფული?***

– იმიტომ რომ პატარა ერი ვართ. 3 მილიონიან ქვეყანაში რამდენი უნდა ამოიღოს მეცენატმა, რომ თანხა ჩადოს. ჩვენს შემთხვევაში, ეს მეცენატი არ ფიქრობს იმაზე, რომ ამოიღოს ის, რაც დახარჯა.

***– თან ჩვენამდე არ მოსულა ალბომის ყიდვის კულტურა.***

– კი, საუბარი ნამდვილად მანდედან უნდა დავიწყოთ. საქართველოში ფული ისეთ ხალხს აქვს, ვისაც ცოტა სხვანაირი მუსიკა მოსწონს, მაშინ ის მუსიკაც უნდა იმღერო, ამასთან ერთად, თუმცა შეგვიძლია კარგად, გემოვნებით გაკეთებული ის მუსიკაც ვიმღეროთ, რომელიც ღიპიან და ფულიან ბიძიებს მოსწონთ.

***– ახალ წლამდე კლიპი გექნებათ?***

– კლიპი არ ვიცი, მაგრამ ჩანაწერი აუცილებლად გვექნება. როგორც ბატონი ლერი ამბობს, მინიმუმ 3 ჩანაწერი უნდა გვქონდეს. ათი ახალი სიმღერა უკვე გვაქვს. ძირითადად ქართული სიმღერებია, თუმცა, უცხოური სიმღერებიც გვაქვს. სინთეზურად მრავალნაირი მუსიკალური დატვირთვა აქვს ამ კომპოზიციებს. ძალიან მინდა, რომ მაყურებელმა ეს სიმღერები შეიყვაროს. მელოდიური სიმღერებია, კომპოზიციაც ინსტრუმენტალურად არის დატვირთული.

***– საყვარელი სიმღერა გაქვთ?***

– ყველა სიმღერა ჩემთვის საყვარელი და კარგია, მაგრამ „როკ ბალადა“ გამორჩეულად მიყვარს. საერთოდ როკი ძალიან მიყვარს. საბედნიეროდ, ჩვენ ისეთი სიმღერები აგმოგვივიდა, როგორებიც მე მინდოდა და ჯგუფს უნდოდა რომ ყოფილიყო.

***– კვირაში სამი დღე რეპეტიცია საკმარისია?***

– კი, სრულიად საკმარისია. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. სამი წელი ცოტა ხომ არ არის? ერთმანეთი სამი დღე არ გვინახავს და დავნევროზდით. ორი დღე, რომ რეპეტიცია არ მაქვს, უკვე გიჟს ვგავარ ხოლმე.

# სიტის წაგებას ლივერპული შეეცდება



## ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 26.11 | სტოკი-ბლექბერნი | 1.8 | 3.5 | 4.5 |
| 26.11 | ბოლტონი-ევერტონი | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 26.11 | ნორვიჩი-ქპრ | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 26.11 | ჩელსი-ვულვზი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 26.11 | სანდერლენდი-უიგანი | 1.7 | 3.75 | 4.8 |
| 26.11 | ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი | 4.0 | 3.75 | 1.8 |
| 26.11 | მანჩესტერი-ნიუკასლი | 1.36 | 4.75 | 8.5 |
| 26.11 | არსენალი-ფულემი | 1.44 | 4.4 | 7.0 |
| 27.11 | სუონსი-ასტონ ვილა | 2.25 | 3.25 | 3.25 |
| 27.11 | ლივერპული-სიტი | 2.8 | 3.4 | 2.45 |

**სტოკი-ბლექბერნი**

სტოკი: ***ტრავმა***-ფაულერი

ბლექბერნი: ***ტრავმა***-სალგადო, დანი, ნელსენი

**ბოლტონი-ევერტონი**

ბოლტონი: ***ტრავმა***-მირსი, დევისი, რიკეტსი, ბოიატა, ჰოლდენი, ლი

ევერტონი: ***ტრავმა***-ანიშებე

**ნორვიჩი-ქპრ**

ნორვიჩი: ***ტრავმა***-ვოჰანი, უაიტბრედი, უორდი

ქპრ: ***ტრავმა***-დაიერი, ჰალსი, კემპბელი

**ჩელსი-ვულვზი**

ჩელსი: ***ტრავმა***-ილარიო, ესიენი

ვულვზი: ***ტრავმა***-არავინ

**სანდერლენდი-უიგანი**

სანდერლენდი: ***ტრავმა***-კემპბელი

უიგანი: ***ტრავმა***-კირკლანდი

**ვესტ ბრომვიჩი-ტოტენჰემი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმა***-შარნერი

ტოტენჰემი: ***ტრავმა***-დოს სანტოსი, როუზი, ჩორლუკა

**მანჩესტერი-ნიუკასლი**

მანჩესტერი: ***ტრავმა***-ოუენი, სმოლინგი, იანგი, გიგსი, კლევერლი

ნიუკასლი: ***ტრავმა***-მარვე, ტიოტე, უილიამსონი, ობერტანი, ამეობი

**არსენალი-ფულემი**

არსენალი: ***ტრავმა***-შამახი, ისტმონდი, დიაბი, სანია, უილშერი

ფულემი: ***ტრავმა***-სენდეროსი, გრიგერა

**სუონსი-ასტონ ვილა**

სუონსი: ***ტრავმა***-ბოდე, ტეიტი

ასტონ ვილა: ***ტრავმა***-ლიჩაი

**ლივერპული-სიტი**

ლივერპული: ***ტრავმა***-ჯერარდი

სიტი: ***ტრავმა***-ჰარგრივსი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 12 | 11 | 1 | 0 | 42:11 | 34 |
| 2.მანჩესტერი | 12 | 9 | 2 | 1 | 29:12 | 29 |
| 3.ტოტენჰემი | 11 | 8 | 1 | 2 | 23:15 | 25 |
| 4.ნიუკასლი | 12 | 7 | 4 | 1 | 18:11 | 25 |
| 5.ჩელსი | 12 | 7 | 1 | 4 | 25:17 | 22 |
| 6.ლივერპული | 12 | 6 | 4 | 2 | 16:11 | 22 |
| 7.არსენალი | 12 | 7 | 1 | 4 | 25:22 | 22 |
| 8.ას.ვილა | 12 | 3 | 6 | 3 | 16:17 | 15 |
| 9.ქპრ | 12 | 4 | 3 | 5 | 13:22 | 15 |
| 10.ვ.ბრომვიჩი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:17 | 14 |
| 11.ნორვიჩი | 12 | 3 | 4 | 5 | 17:20 | 13 |
| 12.ევერტონი | 11 | 4 | 1 | 6 | 13:16 | 13 |
| 13.სუონსი | 12 | 3 | 4 | 5 | 12:16 | 13 |
| 14.სტოკი | 12 | 3 | 3 | 6 | 10:22 | 12 |
| 15.სანდერლ. | 12 | 2 | 5 | 5 | 14:13 | 11 |
| 16.ფულემი | 12 | 2 | 5 | 5 | 14:15 | 11 |
| 17.ვულვზი | 12 | 3 | 2 | 7 | 13:20 | 11 |
| 18.ბოლტონი | 12 | 3 | 0 | 9 | 19:29 | 9 |
| 19.ბლექბერნი | 12 | 1 | 4 | 7 | 16:27 | 7 |
| 20.უიგანი | 12 | 1 | 3 | 8 | 10:23 | 6 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | რაიო-ვალენსია | 3.2 | 3.25 | 2.25 |
| 26.11 | რეალი-ატლეტიკო | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 26.11 | ხეტაფე-ბარსელონა | 13.0 | 6.0 | 1.22 |
| 27.11 | ბეტისი-სოსიედადი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 27.11 | ლევანტე-ხიხონი | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 27.11 | მალიორკა-რასინგი | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 27.11 | ესპანიოლი-ოსასუნა | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 27.11 | ბილბაო-გრანადა | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 27.11 | სარაგოსა-სევილია | 3.0 | 3.25 | 2.35 |
| 28.11 | მალაგა-ვილიარეალი | 1.75 | 3.5 | 4.75 |

**რაიო-ვალენსია**

რაიო: ***ტრავმა***-პერეა

ვალენსია: ***ტრავმა***-კოშტა, ბანეგა, კანალესი, მადურო

**რეალი-ატლეტიკო**

რეალი: ***ტრავმა***-დი მარია, კარვალიუ

ატლეტიკო: ***ტრავმა***-ჟოელი, ფალკაო, ლოპესი, კოშტა

**ხეტაფე-ბარსელონა**

ხეტაფე: ***ტრავმა***-უსტარი, ლეონი

ბარსელონა: ***ტრავმა***-ადრიანო, აფელაი

**ბეტისი-სოსიედადი**

ბეტისი: ***ტრავმა***-მომო, ნელსონი, ვადილიო

სოსიედადი: ***ტრავმა***-ბერგარა, მარიგა

**ლევანტე-ხიხონი**

ლევანტე: ***ტრავმა***-დელ ორნო

ხიხონი: ***ტრავმა***-ბილიჩი

**მალიორკა-რასინგი**

მალიორკა: ***ტრავმა***-ლაკრუსი, ნუნიესი

რასინგი: ***ტრავმა***-სამპერიო, აკოშტა, ბაქირჩიოღლუ

**ესპანიოლი-ოსასუნა**

ესპანიოლი: ***ტრავმა***-ალბინი, მატიონი

ოსასუნა: ***ტრავმა***-შოჯაეი, ეჩაიდე, სერხიო

**ბილბაო-გრანადა**

ბილბაო: ***ტრავმა***-ოსიო, მარტინესი, კასტილიო

გრანადა: ***ტრავმა***-რიკო

**სარაგოსა-სევილია**

სარაგოსა: ***ტრავმა***-ბრაულიო

სევილია: ***ტრავმა***-არავინ

**მალაგა-ვილიარეალი**

მალაგა: ***ტრავმა***-ველიგტონი, აპონო, ბაპტიშტა

ვილიარეალი: ***ტრავმა***-კამუნიასი, საპატა, კანი, როსი, ნილმარი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 12 | 10 | 1 | 1 | 42:9 | 31 |
| 2.ბარსელონა | 12 | 8 | 4 | 0 | 38:6 | 28 |
| 3.ვალენსია | 12 | 7 | 3 | 2 | 19:12 | 24 |
| 4.ლევანტე | 12 | 7 | 2 | 3 | 19:12 | 23 |
| 5.მალაგა | 12 | 6 | 2 | 4 | 15:15 | 20 |
| 6.სევილია | 12 | 4 | 6 | 2 | 12:10 | 18 |
| 7.ესპანიოლი | 12 | 5 | 2 | 5 | 9:13 | 17 |
| 8.ბილბაო | 12 | 4 | 5 | 3 | 19:15 | 17 |
| 9.რაიო | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| 10.ატლეტიკო | 12 | 4 | 4 | 4 | 17:16 | 16 |
| 11.ოსასუნა | 12 | 3 | 6 | 3 | 14:24 | 15 |
| 12.ვილიარეალი | 12 | 3 | 5 | 4 | 10:17 | 14 |
| 13.ბეტისი | 12 | 4 | 1 | 7 | 10:16 | 13 |
| 14.ხიხონი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | 12 |
| 15.მალიორკა | 11 | 2 | 4 | 5 | 8:16 | 10 |
| 16.სარაგოსა | 12 | 2 | 4 | 6 | 12:26 | 10 |
| 17.ხეტაფე | 12 | 2 | 4 | 6 | 13:19 | 10 |
| 18.სოსიედადი | 12 | 2 | 3 | 7 | 9:18 | 9 |
| 19.რასინგი | 12 | 1 | 6 | 5 | 8:18 | 9 |
| 20.გრანადა | 11 | 2 | 3 | 6 | 4:12 | 9 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | ლეჩე-კატანია | 2.55 | 3.1 | 2.87 |
| 26.11 | ნოვარა-პარმა | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 26.11 | ლაციო-იუვენტუსი | 2.75 | 3.2 | 2.87 |
| 26.11 | ატალანტა-ნაპოლი | 2.7 | 3.1 | 2.7 |
| 27.11 | პალერმო-ფიორენტინა | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 27.11 | ჩეზენა-ჯენოა | 2.87 | 3.1 | 2.55 |
| 27.11 | კალიარი-ბოლონია | 1.91 | 3.25 | 4.33 |
| 27.11 | სიენა-ინტერი | 3.1 | 3.1 | 2.37 |
| 27.11 | მილანი-კიევო | 1.36 | 4.5 | 9.0 |

**ლეჩე-კატანია**

ლეჩე: ***ტრავმა***-ჯაკომაცი, მესბა, დიამოუტენე, ფერარიო

კატანია: ***ტრავმა***-ისკო, სუასო

**ნოვარა-პარმა**

ნოვარა: ***ტრავმა***-პაცი, უიკანი, ლისუცო

პარმა: ***ტრავმა***-მარკესი, მოდესტო

**ლაციო-იუვენტუსი**

ლაციო: ***ტრავმა***-დელ ნერო, გარიდო, დიასი, ზერარდი

იუვენტუსი: ***ტრავმა***-იაკინტა

**ატალანტა-ნაპოლი**

ატალანტა: ***ტრავმა***-ბელინი, ბრიგი, დონი, პინტო

ნაპოლი: ***ტრავმა***-დონადელი, ბრიტოსი

**პალერმო-ფიორენტინა**

პალერმო: ***ტრავმა***-ერნანდესი, პინილია

ფიორენტინა: ***ტრავმა***-ბეჰრამი, კასანი, კროლდრუპი

**ჩეზენა-ჯენოა**

ჩეზენა: ***ტრავმა***-გეზალი

ჯენოა: ***ტრავმა***-ედუარდო, დაინელი

**კალიარი-ბოლონია**

კალიარი: ***ტრავმა***-კოსუ, ასტორი, ელ ქაბირი, ერიქსონი

ბოლონია: ***ტრავმა***-ლორია

**სიენა-ინტერი**

სიენა: ***ტრავმა***-კალაჩიო, გროსი, ვერგასოლა

ინტერი: ***ტრავმა***-მაიკონი, ნაგატომო, ფორლანი, ვივიანო

**მილანი-კიევო**

მილანი: ***ტრავმა***-კასანო, გატუზო, ფლამინი

კიევო: ***ტრავმა***-მორერო, სარდო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 10 | 6 | 4 | 0 | 18:7 | 22 |
| 2.ლაციო | 11 | 6 | 4 | 1 | 16:8 | 22 |
| 3.მილანი | 11 | 6 | 3 | 2 | 23:14 | 21 |
| 4.უდინეზე | 11 | 6 | 3 | 2 | 13:6 | 21 |
| 5.რომა | 11 | 5 | 2 | 4 | 15:12 | 17 |
| 6.პალერმო | 11 | 5 | 1 | 5 | 14:15 | 16 |
| 7.ნაპოლი | 10 | 4 | 3 | 3 | 13:7 | 15 |
| 8.ჯენოა | 10 | 4 | 3 | 3 | 14:12 | 15 |
| 9.კიევო | 11 | 4 | 3 | 4 | 10:12 | 15 |
| 10.პარმა | 11 | 5 | 0 | 6 | 14:18 | 15 |
| 11.სიენა | 11 | 3 | 5 | 3 | 14:10 | 14 |
| 12.კატანია | 11 | 3 | 5 | 3 | 13:18 | 14 |
| 13.ატალანტა | 11 | 5 | 4 | 2 | 15:14 | 13 |
| 14.ფიორენტინა | 11 | 3 | 4 | 4 | 10:9 | 13 |
| 15.კალიარი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:12 | 13 |
| 16.ინტერი | 10 | 3 | 2 | 5 | 13:17 | 11 |
| 17.ბოლონია | 11 | 3 | 1 | 7 | 9:17 | 10 |
| 18.ლეჩე | 11 | 2 | 2 | 7 | 9:18 | 8 |
| 19.ნოვარა | 11 | 1 | 4 | 6 | 12:20 | 7 |
| 20.ჩეზენა | 11 | 1 | 3 | 7 | 4:13 | 6 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | დორტმუნდი-შალკე | 1.7 | 3.75 | 5.0 |
| 26.11 | აუგსბურგი-ვოლფსბურგი | 3.0 | 3.4 | 2.3 |
| 26.11 | ჰერტა-ლევერკუზენი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 26.11 | ნიურნბერგი-ფრაიბურგი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 26.11 | ჰანოვერი-ჰამბურგი | 2.15 | 3.4 | 3.25 |
| 27.11 | ვერდერი-შტუტგარტი | 2.05 | 3.4 | 3.5 |
| 27.11 | მაინცი-ბაიერნი | 9.0 | 5.0 | 1.33 |

**დორტმუნდი-შალკე**

დორტმუნდი: ***ტრავმა***-ფოჩერი, კოხი, სუბოტიჩი, ბაკალორცი, კრინგე, ლე ტალეკი

შალკე: ***ტრავმა***-ფარმანი, ჰოოგლანდი, ჰოუვედესი, ყენია, კლუგე, ფარფანი, ვიეგელი

**აუგსბურგი-ვოლფსბურგი**

აუგსბურგი: ***ტრავმა***-იენცში, ბელინგჰაუზენი, დე იონგი, მიორლე, ბაჰი, ნდჯენგი, ნებელი, ჰაინი, ტურკი

ვოლფსბურგი: ***ტრავმა***-კლამტი, კნოხე, არნოლდი, სიგერჩი, ჰიცლშპერგერი, კალენბერგი, კრეუელსი, შინდცილორცი, პოლტერი, შეიდჰაუერი

**ჰერტა-ლევერკუზენი**

ჰერტა: ***ტრავმა***-არავინ

ლევერკუზენი: ***ტრავმა***-ადლერი, ბალიჩი, ბარნეტა, ბელარაბი, ორტეგა, რენატო

**ნიურნბერგი-ფრაიბურგი**

ნიურნბერგი: ***ტრავმა***-ნილსონი, პინოლა, კლემენტი, ბუნიაკუ

ფრაიბურგი: ***ტრავმა***-ზალცი, მუიჯა, ბიკელი, ნიკუ, შუსტერი, ბრანდშტეტერი

**ჰანოვერი-ჰამბურგი**

ჰანოვერი: ***ტრავმა***-მილერი, აკდარი, ავევორი, პლაშკე, ანდრეასენი, აიჩიჩეკი, კარლიტოსი, ჰაუგერი

ჰამბურგი: ***ტრავმა***-ნეუჰაუსი, ბეშიჩი, ლაბუში, სოვა, შტეპანეკი, შტერნბერგი, არსლანი, ბერენსი, ბერტრამი, კასტელენი, ინგრესო, ნაგი, შალა, ტავარეში, პეტრიჩი. ***დისკვალიფიცირებული***: რაიკოვიჩი

**ვერდერი-შტუტგარტი**

ვერდერი: ***ტრავმა***-ვანდერი, ბალოგუნი, ბოენიში, ჰარტერცი, სილვესტრე, ბოროვსკი, კროოსი, ა.სტევანოვიჩი, პ.სტევანოვოჩი, ტრინკსი, ტრიბული, ილდირიმი, ავდიჩი, აიიკი, ტაი

შტუტგარტი: ***ტრავმა***-ჩელოცი, დელპიერე, აუდელი, შიებერი

**მაინცი-ბაიერნი**

მაინცი: ***ტრავმა***-კარიუსი, შონჰეიმი, რიისე, პარკერი, შალაი

ბაიერნი: ***ტრავმა***-რიედმიულერი, სატელმაიერი, ბრენო, შვაინშტაიგერი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 9 | 1 | 3 | 32:5 | 28 |
| 2.დორტმუნდი | 13 | 8 | 2 | 3 | 27:9 | 26 |
| 3.გლადბახი | 13 | 8 | 2 | 3 | 20:9 | 26 |
| 4.შალკე | 13 | 8 | 1 | 4 | 28:18 | 25 |
| 5.ვერდერი | 13 | 7 | 2 | 4 | 23:21 | 23 |
| 6.შტუტგარტი | 13 | 6 | 3 | 4 | 20:13 | 21 |
| 7.ლევერკუზ. | 13 | 6 | 3 | 4 | 17:16 | 21 |
| 8.ჰანოვერი | 13 | 5 | 4 | 4 | 17:21 | 19 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 2 | 6 | 15:15 | 17 |
| 10.ჰერტა | 13 | 4 | 5 | 4 | 18:19 | 17 |
| 11.კიოლნი | 12 | 5 | 1 | 6 | 20:26 | 16 |
| 12.ვოლფსბ. | 13 | 5 | 1 | 7 | 19:26 | 16 |
| 13.კაიზერი | 13 | 3 | 4 | 6 | 10:17 | 13 |
| 14.ჰამბურგი | 13 | 3 | 4 | 6 | 17:25 | 13 |
| 15.მაინცი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:23 | 12 |
| 16.ნიურნბერგი | 13 | 3 | 3 | 7 | 13:24 | 12 |
| 17.ფრაიბურგი | 13 | 3 | 2 | 8 | 18:29 | 11 |
| 18.აუგსბურგი | 13 | 1 | 5 | 7 | 10:24 | 8 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 26.11 | რენი-ევიანი | 1.73 | 3.5 | 5.0 |
| 26.11 | ნანსი-დიჟონი | 1.91 | 3.3 | 4.33 |
| 26.11 | ბორდო-კაენი | 1.91 | 3.1 | 4.5 |
| 26.11 | ტულუზა-ვალანსიენი | 2.2 | 3.1 | 3.6 |
| 26.11 | სოშო-მონპელიე | 2.6 | 3.25 | 2.7 |
| 26.11 | სენტეტიენი-აიაჩო | 1.53 | 3.75 | 7.0 |
| 26.11 | ლილი-ბრესტი | 1.4 | 4.33 | 8.5 |
| 27.11 | ლორიენი-ნიცა | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 27.11 | ოსერი-ლიონი | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 27.11 | მარსელი-პსჟ | 2.3 | 3.3 | 3.1 |

**რენი-ევიანი**

რენი: ***ტრავმა***-მანგანე, ბრაჰიმი, ბოიე, აპამი

ევიანი: ***ტრავმა***-გოვუ, მონგონგუ, მენსა, ბერიგო

**ნანსი-დიჟონი**

ნანსი: ***ტრავმა***-ნიკულაე, ტრაორე, ძოლა

დიჟონი: ***ტრავმა***-მაცუი

**ბორდო-კაენი**

ბორდო: ***ტრავმა***-სავიჩი, მარანგე, ბიოგო პოკო, ტრაორე, ენრიკე

კაენი: ***ტრავმა***-სორბონი, ლაზარევიჩი

**ტულუზა-ვალანსიენი**

ტულუზა: ***ტრავმა***-აკპა-აკპრო, კაპო, პელე, ბენ იედერი

ვალანსიენი: ***ტრავმა***-ბონგი, სანჩესი, დოსევი, პუიოლი, შმიტცი

**სოშო-მონპელიე**

სოშო: ***ტრავმა***-მოუიოკოლო, ბრეჩე

მონპელიე: ***ტრავმა***-კალომბი, აიტ ფანა, ძოძიჩი

**სენტ ეტიენი-აიაჩო**

სენტ ეტიენი: ***ტრავმა***-საადი, მინიო, პერინი

აიაჩო: ***ტრავმა***-ოჩოა, დელორი, ელ ჰანი, ბეჟეორჟი

**ლილი-ბრესტი**

ლილი: ***ტრავმა***-პედრეტი, ბასა

ბრესტი: ***ტრავმა***-კაპონე, სოუმა, ბინიე, გუიდილიე, მაკონდა, აიიტე, არანგა

**ლორიენი-ნიცა**

ლორიენი: ***ტრავმა***-ალადიერი, ტურე, დიარა

ნიცა: ***ტრავმა***-დიუგარი, ფაე

**ოსერი-ლიონი**

ოსერი: ***ტრავმა***-სისე, ჯემაა, სანოგო, სიდიბე, კულიბალი

ლიონი: ***ტრავმა***-ლოვრენი, მენსა, ვერკუტი, პიდი, ფანი

**მარსელი-პსჟ**

მარსელი: ***ტრავმა***-ფანი, ჟინიაკი

პსჟ: ***ტრავმა***-სისოკო, ჰორაუ

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 14 | 9 | 3 | 2 | 26:12 | 30 |
| 2.მონპელიე | 14 | 9 | 3 | 2 | 29:16 | 30 |
| 3.ლილი | 14 | 6 | 7 | 1 | 22:13 | 25 |
| 4.რენი | 14 | 7 | 4 | 3 | 24:17 | 25 |
| 5.ლიონი | 14 | 7 | 2 | 5 | 22:17 | 23 |
| 6.ტულუზა | 14 | 6 | 5 | 3 | 13:12 | 23 |
| 7.ლორიენი | 14 | 5 | 5 | 4 | 16:14 | 20 |
| 8.სტ.ეტიენი | 14 | 5 | 5 | 4 | 14:16 | 20 |
| 9.კაენი | 14 | 5 | 4 | 5 | 22:21 | 19 |
| 10.მარსელი | 14 | 4 | 6 | 4 | 17:15 | 18 |
| 11.სოშო | 14 | 4 | 5 | 5 | 20:27 | 17 |
| 12.ევიანი | 14 | 3 | 7 | 4 | 17:19 | 16 |
| 13.ბრესტი | 14 | 2 | 9 | 3 | 15:14 | 15 |
| 14.ოსერი | 14 | 3 | 6 | 5 | 20:20 | 15 |
| 15.ვალანსიენი | 14 | 3 | 5 | 6 | 15:15 | 14 |
| 16.ნანსი | 14 | 3 | 5 | 6 | 11:16 | 14 |
| 17.დიჟონი | 14 | 4 | 2 | 8 | 15:28 | 14 |
| 18.ბორდო | 14 | 2 | 7 | 5 | 15:21 | 13 |
| 19.ნიცა | 14 | 2 | 5 | 7 | 12:16 | 11 |
| 20.აიაჩო | 14 | 1 | 5 | 8 | 12:28 | 8 |

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. ფასი 200-500 ლარამდე. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

# TV პროგრამა

## ორშაბათი 28 ნოემბერი

07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.50 10 პლუს 10 15.00 ჩვენი ფერმა 15.30 ჩვენი სამართალი 17.00 დოკ. ფილმი "უძველესი აღმოჩენები" 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 დოკ. ციკლი "ოკუპაცია" 22.00 აუდიტორია 23.00 საფეხბურთო მიმოხილვა 00.00 ღამის საუბრები 00.45 საფარი 01.15 მოამბე 01.35 მხ. ფილმი **"ბოფა"** (12) 03.40 მხ. ფ. **"მოთამაშე"** (15)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 საბ. ფილმი 10.30 ვ. სანაიას ~~რეპორტაჟი 11.30 დოკ.~~ ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.30, 17.45, 23.30 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფ. **"წყნარი ღამე"** 21.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფილმი **"ნაფოტი"** (18)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 ჯეოსტარი 00.00 შუა დღე 01.00 პატრული 01.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ქართ. ფილმი **"კიდევ ერთი ქართული ისტორია"** 23.50 მუს. ლიგა 01.15 მხ. ფ. **"ოთხი ოთახი"** (15) (ა. ბანდერასი) 03.25 მხ. ფილმი **"გამოსასყიდი"** (12) (პ. ბროსნანი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"მეათე სამეფო"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედი"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.30 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერ. 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"ჭრიჭინა"** 13.30 კონცერტი – ანს. "კელაპტარი" 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 სპექტაკლი **"შთამომავლობა"** 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი **"აკაკის აკვანი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 საღვთისმეტყველო საუბრები 22.20 დოკ. ფილმი "აფხაზეთშიც დამარცხდა ომი" 22.35 ერთსულოვანი ოჯახი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "სტადიონი" 00.30 განთიადის სტუმარი 00.55 პერსპექტივა

## სამშაბათი 29 ნოემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 საფეხბურთო მიმოხილვა 13.50 აუდიტორია 15.00 სერ. **"მეორე შანსი"** 17.00 მედ-ინფო 17.30 დამზადებულია საქართველოში 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 დოკ. ციკლი "ოკუპაცია" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 მხ. ფილმი **"ნადირობა "წითელ ოქტომბერზე"** (შ. კონერი) 01.50 კავკასუს ლაივი 03.20 მხ. ფილმი **"ბოფა"** (12)

<u>08.00, 00.00</u> მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფ. **"გამცილებლები და დამხვდომები"** 21.30 ევროკავშირი და საქართველო 01.00 მხ. ფ. **"ბრძოლა მთვარესთან ერთად"** (12)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ვანოს შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 თქვენი შოუ 23.00 მელომანია 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 01.25 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 ნანუკას შოუ 23.30 ბიზნეს ლიდერი 00.30 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.50 მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) 03.50 მხ. ფილმი **"უცხოები"** (18) (ლ. ტაილერი) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"მეათე სამეფო"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.30 დოკ. ფილმი 10.40, 16.00 სახლი ბათუმში 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერ. 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 დოკ. ფილმი 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "აფხაზეთშიც დამარცხდა ომი" 11.00 საღვთისმეტყველო საუბრები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"აკაკის აკვანი"** 13.35 კონცერტი – მ. სეფაშვილი 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** 16.15 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "ლელოს შემობრუნება" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 წარმატების ფორმულა 19.15 მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ. ფილმი **"გამტაცებელთა კლუბი"**

## ოთხშაბათი 30 ნოემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ცხოვრება მშვენიერია 13.50 ვაშინგტონი დღეს 14.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 15.00 სერ. **"მეორე შანსი"** 17.00 სპიკერი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 დოკ. ციკლი "ოკუპაცია" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.40 მხ. ფილმი **"ოლივერი"** 02.20 მოამბე 02.40 მხ.ფ. **"ნადირობა "წითელ ოქტომბერზე"** (შ. კონერი) 05.00 მხ. ფილმი **"ქალაქიდან ჩამოსულები"** (12)

08.00, 00.40 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"მთვარის ყურის მეფე-დედოფალი"** 01.00 მხ. ფილმი **"ამერიკული მთები"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. **"ავრორა"** 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 იღბლიანი ბორბალი 23.00 რა? სად? როდის? 00.00 შუა დღე 01.30 პატრული 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.20 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 "ფორმაში" 23.00 თბილისი ლაივი 00.00 ფლეშმობშოუ 01.30 მხ. ფილმი **"კეთილი ჯონი"** (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) 03.40 მხ. ფ. **"ადრენალინი"** (15) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"მეათე სამეფო"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერ. 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 დოკ. ფილმი 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 სცენა 23.40 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.35 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 10.55 მგზავრები წუთისოფლისა 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ოთარაანთ ქვრივი"** 13.40 კონცერტი – "სამი ტენორი" 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** 16.45 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 წარმატების ფორმულა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"გაზაფხული საკენში"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გზა, რომლითაც ვიარე 22.20 ქართული ალბომი 22.40 დოკ. ფილმი "მიქაელ გობრონი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პერსპექტივა 00.40 პერსპექტივა 01.00 განთიადის სტუმარი 01.30 მოკლ. ფილმი **"ბედურების გადაფრენა"**

## ხუთშაბათი 1 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 ევროპული არჩევანი 13.50 აღმოაჩინე საქართველო 14.30 დოკ. ფილმი "რჩევები ახალგაზრდა რეჟისორებს" 15.00 სერ. **"მეორე შანსი"** 17.00 პირველი ტელევიზია 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 დოკ. ციკლი "ოკუპაცია" 22.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.00 სი ბემოლი 01.20 საფარი 01.50 მხ. ფილმი **"უძლური ცეცხლი"** (18) (ა. ჯოლი) 03.40 მხ. ფილმი **"ოლივერი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"მხსნელი"** 01.00 მხ. ფილმი **"ზოგი რამ ჰენრის შესახებ"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 ჯეოსტარის კონცერტი (გან.) 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 22.00 პროფილი 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.25 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 სერ. **"ყავა და ლუდი"** 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში 2"** 00.00 ავტობიოგრაფია 00.40 რემონტი 01.30 მხ. ფილმი **"ცეცხლოვანი ველი"** (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) 03.40 მხ. ფილმი **"უცხოპლანეტელი 3"** (ს. უივერი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"20000 ლიე წყალქვეშ"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 პულსი 16.00 დოკ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 10.40 სცენა 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.10 სერ. 12.50, 19.35 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 სცენა 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.30 პერსპექტივა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"გაზაფხული საკენში"** 13.30 კონცერტი – ს. ბარტოლი 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** 16.15 დოკ. ფილმი "სტადიონი" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 წარმატების ფორმულა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ. ფილმი **"ალყა"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 გამოყენებითი ხელოვნება 21.35 აქტუალური თემა 22.25 დოკ. ფილმი "უკვდავი სული" (ილია ჭავჭავაძე) 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმის გაგრძელება 23.30 მოკ. ფილმი **"წყრომა"** 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 მხ. ფილმი **"ზიმზოს ტომი"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

## პარასკევი 2 დეკემბერი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.45 თოქ-შოუ "არენა" 13.50 დოკ. ფილმი 15.00 სერ. **"მეორე შანსი"** 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერ. **"მეორე შანსი"** 21.00 ვინ არის ოლივერი 22.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 კავკასუს ლაივი 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფილმი **"კოლია"** 03.00 მოამბე 03.20 მხ. ფილმი **"უძლური ცეცხლი"** (18) (ა. ჯოლი) 05.10 მხ. ფ. **"დიდი თევზი"**

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00, 16.00 დოკ. ფილმი 14.00 საუკუნის პორტრეტები 17.00 მეხსიერება 19.00 სერ. **"ელიტარული უბანი"** 20.00 მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** 1-ლი ს. 21.00 ფეხბურთში ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრა 01.00 მხ. ფილმი **"შეუსრულებელი მისია"**

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"როსალინდა"** 11.00 სერ. **"კლონი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს კურიერი 13.30 შუა დღე 15.40 პროფილი (გან.) 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.30 კომედი შოუ 00.30 შუა დღე 02.00 პატრული 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. **"მოპარული ბედნიერება"** 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 სერ. **"ქალის სიტყვა"** 12.30 დღის შოუ 14.30 ტვ-მარკეტი 14.40 ბიზნეს-ლიდერი (გან.) 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 23.00 თოქ-შოუ 00.20 ღამის შოუ (გან.) 01.45 მხ. ფილმი **"ბუჩ კესიდი და სანდენს კიდი"** (პ. ნიუმენი) (სუბტ.) 03.30 მხ. ფ. **"ჯონი მნემონიკი"** (კ. რივზი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 08.55 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 10.00 მხ. ფილმი 12.00, 15.15, 17.00 ტვ-მარკეტი 12.15 სერ. **"20000 ლიე წყალქვეშ"** 13.00 მზესუმზირა (პირდ.) 15.30 მხ. ფილმი 17.10 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მზესუმზირა (გან.) 02.00 მხ. ფილმი

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 სერ. **"ექიმი ქმორი"** 10.00 დოკ. ფილმი 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50 სერ. 13.00 სამედიცინო პროექტი 13.30, 21.00 სერ. 15.15 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფილმი 19.35 სერ. **"ეს მაფიაა"** 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 განთიადი 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.45 დოკ. ფილმი "უკვდავი სული" (ილია ჭავჭავაძე) 11.40 აქტუალური თემა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი **"ალყა"** 13.30 კონცერტი – ე. ვირსალაძე 15.05 განთიადის სტუმარი 15.25 მხ. ფილმი **"ენი მწვანესახურავების მამულიდან"** 16.25 დოკ. ფილმი "ხიდი" 17.05 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 წარმატების ფორმულა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ს. 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 22.40 დოკ. ფილმი "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "სამი საქართველო" 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე

## შაბათი 3 დეკემბერი

07.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.15 ან. ფილმი 09.50 საბ. ფ. **"წითელქუდა"** 11.15 ვაკაპედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის"** 13.55 **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატი 16.30 ჩვენი სამართალი 17.00 დამზადებულია საქართველოში 17.30 მედ-ინფო 18.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 19.00 პირველი ტელევიზია 21.00 საბავშვო ევროვიზია 2011 - დღიური 21.30 მაესტრო 23.30 საბავშვო ევროვიზია 2011 - ფინალი 00.45 ავტოპილოტი 01.45 მოამბე 02.05 მხ. ფილმი **"შეუსრულებელი მისია 3"** (ტ. კრუზი) (სუბტ.) 03.25 წითელი ზონა 04.25 მხ. ფილმი **"კოლია"** 06.25 მხ. ფილმი **"ქარი ტირიფებში"**

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 სპექტაკლი **"დარისპანის გასაჭირი"** 19.00 საუკუნის პორტრეტები 19.30 ჩვენი სამართალი 20.00 მხ. ფილმი **"ზამთრის ბუნიობა"** მე-2ს. 21.25 მხ. ფილმი **"ლურჯი მაისურები"** 23.05 მხ. ფ. **"მოთამაშე"** (15)

08.00 კურიერი 08.30 ან. ფილმი 10.00 სერ. **"გაორება"** 11.00 ყველაზე ჭკვიანი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 "ჯეო-მგზური" 13.00 ქართ. ფილმი 15.30 დასაქმდი და დაასაქმე (გან.) 17.00 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 18.30 სიცილის ზონა 18.45 სერ. **"მიყვარხარ ლოლა"** 19.45 სერ. **"სახლი მეზობლად"** 21.00 პ. ს. კურიერი 22.00 სერ. **"სამხრეთის დედოფალი"** 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 02.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00 ან. ფილმი "ავატარი" 08.35 ან. ფილმი "ჯადოსნური მოგზაურობა" 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ჯანმრთელობა 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.35 სერ. **"ქალის სიტყვა"** 14.30 რემონტი 15.20 თბილისი ლაივი 16.00 სერ. **"შურისძიების საფასური"** 17.40 სერ. **"ევა ლუნა"** 19.05 სერ. **"ბედისწერის ქალა"** 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.30 "ფლეშმობშოუ" 01.00 ფორმაში (გან.) 02.00 სერ. **"მხეცი"** 03.55 მხ. ფილმი **"მისტერ და მისის სმიტები"** (12) (ბ. პიტი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.20 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 11.30 პულსი 12.15 სერ. **"20000 ლიე წყალქვეშ"** 13.00 სერ."პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 09.30 ესტაფეტა 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მოგზაურის დღიური 13.30 "1 000 წვრილმანი" 15.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მუსიკა 18.00 დოკ. ფილმი 19.00 ქართ. ფილმი 23.00 მოგზაურის დღიური 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.00, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.05, 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 10.25 დოკ. ფილმი "ღირსი მამა ილარიონ ქართველი" 10.40 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** 1-ლი ს. 13.40 პერსპექტივა 15.05 ოპერა **"ნორმა"** 18.05 საქ. არქივიდან "ძველი ჰანგები" 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ქართული ალბომი 19.40 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2ს. 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.20 ჩემი ქალაქი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 პოროტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან 00.35 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.00 მხ. ფილმი **"20000 ლიე წყალქვეშ"** 1-ლი ს.

## კვირა 4 დეკემბერი

08.00 ან. ფილმი 09.25 საბ. ფილმი **"ზევსი და როქსანა"** 11.15 ვაკა-პედია 11.30 ჩვენი ექსპრესი 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 აივანი 13.30 დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" 14.00 დოკ. ფილმი "სათავეებთან" 14.30 სი ბემოლი 15.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური 16.30 ჩვენი ეზო 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. დინამო (თბილისი)- დილა (გორი) 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 სპიკერი 23.00 აღმოაჩინე საქართველო 23.30 უცნობი მუსიკა 00.30 დოკ. ფ. "ფილიპ გლასი" 01.30 მოამბე 01.50 მხ. ფ. **"ჩრდილების ქვეყანა"** (ე. ჰოპკინსი) (სუბტ.) 04.10 მხ. ფილმი **"შეუსრულებელი მისია 3"** (ტ. კრუზი) (სუბტ.)

08.00 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა (დაიჯესტი) 15.00 სპექტაკლი **"პეპო"** 17.00 ისტორია 18.00 საუკუნის პორტრეტები 18.30 დოკ. ფილმი 19.30 მეხსიერება 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 მხ. ფილმი **"რწმენის ნახტომი"** 22.45 წითელი ზონა 23.40 მხ. ფილმი **"კოლია"**

08.00 "კურიერი" დაიჯესტი 08.30 ან. ფილმი 10.00 სერ. **"გაორება"** 11.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფილმი 15.30 თქვენი შოუ (გან.) 17.00 სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** 18.30 სიცილის ზონა 19.00 ყველაზე ჭკვიანი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კურიერი პ. ს. 22.00 კომედი შოუ 23.00 დასაქმდი და დაასაქმე 00.00 მელომანია 01.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 03.30 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.10 ან. ფილმი "ავატარი" 08.35 მხ. ფილმი **"ახალი რობინზონები"** 10.30 ქართული სიმღერა 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 02.05 ქრონიკა 11.15 თავდაყირა 11.45 სერ. **"შუა ქალაქში"** 12.45 ნუცას სკოლა 14.30 სპეც. რეპორტაჟი 15.20 სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** 17.40 ეტალონი 18.40 მუს. ლიგა 20.30 იმედის გმირები 20.45 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 22.00 სერ. **"შუა ქალაქში"** 23.00 ღამის შოუ 00.20 ფეისკონტროლი 01.30 მხ. ფილმი **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 03.40 მხ. ფილმი **"ილაის წიგნი"** (15) (დ. ვაშინგტონი) (სუბტ.) 06.30 სერ. **"მარინა"**

08.00 მხ. ფილმი 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" 11.30 პულსი 12.00 სერ. **"20000 ლიე წყალქვეშ"** 13.00 სერ."პოლიციელთა ამბები" 14.10 მხ. ფილმი 17.15 სერ. **"ტყუპები"** 18.00 მხ. ფილმი 20.00 სერ. **"მარტოხელა მტრედის დაბრუნება"** 21.00 სერ. **"გაუხსნელი საქმე"** 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 ესტაფეტა 12.30 მოგზაურის დღიური 13.00 დოკ. ფილმი 15.00 სერ. **"ექიმი ქმორი"** 16.00 ქართ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 19.35 სერ. 23.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დოკ. ფილმი "ჯვარსახოვანი გზა" 1-ლი ნ. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.25 პოროტრეტი ერთსულოვნების გალერეიდან 10.50 საქ. არქივიდან "ძველი ჰანგები" 11.35 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი **"მთვარის მოტაცება"** მე-2ს. 13.30 ქართ. მულტფილმები 14.00 დოკ. ფილმი "სამი საქართველო" 14.30 კარაბადინი 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 16.35 აქტუალური თემა 16.50 საღვთისმეტყველო საუბრები 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.30 მხ. ფილმი **"გაზაფხული გადის"** 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 21.45 დრო და ადამიანები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ. ფილმი **"20000 ლიე წყალქვეშ"** მე-2ს.

# „მეთაურ“ ბრეივიკის სატელეფონო ჩანაწერები გამოქვეყნდა

ნორვეგიის პოლიციამ გამოაქვეყნა ანდერს ბრეივიკის ორი სატელეფონო ჩანაწერი კუნძულ უტოიადან, სადაც 70 ადამიანი დაიღუპა. მასში ტერორისტი მორიგეს აცნობებს, რომ მისია დასრულებულია და მას ჩაბარება სურს.

აუდიოჩანაწერი ტელეეთერში ნორვეგიულმა ტელეარხმა ტვ2-მა 22 ნოემბერს წარმოადგინა. არხის მონაცემებით, ბრეივიკმა პოლიციაში პირველი ზარი უშუალოდ კუნძულზე ხოცვა-ჟლეტისას გააკეთა; დაახლოებით 50 წუთის შემდეგ, რაც პირველ მსხვერპლს ცეცხლი გაუხსნა.

– დღე მშვიდობისა, მე მეთაური ანდერს ბერინგ ბრეივიკი ვარ ნორვეგიული წინააღმდეგობის ანტიკომუნისტური მოძრაობიდან. უტოიადან გირეკავთ და ჩაბარება მსურს, – ამბობს ბრეივიკი.

– ოქეი. რომელი ტელეფონიდან რეკავთ? – კითხულობს ოპერატორი.

– მობილურიდან გირეკავთ, – პასუხობს ბრეივიკი.

– საკუთარი მობილური ტელეფონიდან?

– არა, ეს ჩემი არ არის, სხვაა.

მეორე ზარი გააკეთა იარაღის დაშვებიდან დაახლოებით ნახევარ საათში: „ჩემი მისია დავასრულე. მინდა, რომ ჩავბარდე“.

როგორც მოგვიანებით თავად ბრეივიკი ყვებოდა, იმ დღეს კუნძულიდან ათჯერ მაინც შეეცადა პოლიციასთან დაკავშირებას, მაგრამ ეს მხოლოდ ორჯერ გამოუვიდა.

ბავშვობა – „დედიკოს ბიჭი“ ტერორისტი

ანდერს ბერინგ ბრეივიკი 1979 წლის 13 თებერვალს დაიბადა. დედ-მამა ერთმანეთს ბრეივიკის დაბადებიდან 1 წელიწადში დაშორდნენ და მომავალმა ტერორისტმა ცხოვრება დედასთან და მამინაცვალთან ერთად გააგრძელა.

მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ დედა მას სითბოს არ აკლებდა და შვილიც საკმაოდ მიჯაჭვული ყოფილა მასზე. ახლობლები იხსენებენ, რომ დედა-შვილის მსგავსი ურთიერთობები ბევრჯერ საზოგადოების მხრიდან დაცინვის საგანიც კი გამხდარა.

87 ადამიანის სიკვდილში ბრალდებული, თურმე „დედიკოს ბიჭი“ ყოფილა. მეგობრები თითქმის არ ჰყავდა და თავისუფალ დროს საყვარელი მშობლის გარემოცვაში ატარებდა. ეზიზღებოდა მამინაცვალი და მას „ცხოველად“ მოიხსენიებდა.

საკუთარი განცდების შესახებ ბრეივიკი მოგვიანებით 1500 გვერდიან მანიფესტში წერს. ფსიქოლოგების თქმით, ტერორისტს გარკვეული კომპლექსების და მოსაზრებების საფუძველზე ფსიქიკური აშლილობა განუვითარდა. სავარაუდოდ, სწორედ ეს გახდა ექსტრემისტული იდეოლოგიის ჩამოყალიბების მიზეზიც.

### დიპლომატი მამა

ტერორისტის მამამ ნორვეგიელმა დიპლომატმა, ოჯახი ჯერ კიდევ 1980 წელს მიატოვა. საკუთარ შვილთან კონტაქტი კი 1995



წლის შემდეგ გაწყვიტა.

– ჩემს შვილს სიცოცხლე სუიციდით უნდა დაესრულებინა, – განცხადება ტერორისტის მამამ, მას შემდეგ, რაც შვილის დანაშაულის შესახებ შეიტყო.

– ჩემს შვილთან ურთიერთობა 15 წლის განმავლობაში აღარ მქონია და დღეიდან მის მამობაზე უარს ვამბობ. ხალხი კი არ უნდა მოეკალა, თავად უნდა მომკვდარიყო. დღემდე ვერ ვხვდები რამ აიძულა მას მსგავსი რამის გაკეთება. ნორმალური ადამიანი ასეთ დანაშაულს არ ჩაიდენს, – დასძენს 76 წლის ყოფილი დიპლომატი.

საშუალო განათლება ბრეივიკმა საკმაოდ პრესტიჟულ სკოლაში მიიღო. მაგისტრის ხარისხი მენეჯმენტის სკოლაში აიღო. ანდერს ბრეივიკის საუკეთესო მეგობარი 15 წლამდე პაკისტანელი ემიგრანტი ყოფილა. 15 წლის ასაკში, ბრეივიკი საკუთარი სურვილით პროტესტანტად მოინათლა.

ბრეივიკმა სამხედრო სამსახურიც გაიარა, სადაც სავარაუდოდ კარგად შეისწავლა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

ტერორისტული პოლიტიდეოლოგია

პოლიტიკური აქტივობა ტერორისტმა 90-იანი წლებიდან გამოიჩინა. 1997 წლიდან ბრეივიკი „პროგრესის პარტიის“ ახალგაზრდული ფრთის მეტად აქტიური წევრი იყო. ზემოხსენებული პარტია ნორვეგიის ერთ-ერთი უმსხვილესი მემარჯვენე გაერთიანებაა. ცნობილი ხდება, რომ 2003 წელს ტერორისტმა ოსლოს საკრებულოს წევრობაზეც კი იყარა კენჭი, თუმცა აღნიშნული ნაბიჯი კრახით დასრულდა.

2000 წლიდან მომავალი ტერორისტის პოლიტიკური ხედვა მკვეთრად შეიცვალა. საკუთარ თავს ნაციონლისტს უწოდებდა და მულტიკულტურული სისტემების მიმართ სიძულვილს ღიად გამოხატავდა.

მისი აზრით, მუსლიმანები თანამედროვე ნორვეგიულ საზოგადოებას „ალპობდნენ“. ბრეივიკი თვლიდა, მის სამშობლოში მცხოვრები ყველა მუსლიმანი „ალ-ქაიდას“ წევრი იყო. მომავალი ტერორისტი მოსაზრებით, დემოკრატიული მეთოდებით საზოგადოების გადარჩენა შეუძლებელია და საჭიროა ძალისმიერი ზომების მიღება.

### მასონები

ცნობილი ხდება, რომ ბრეივიკი ერთ-ერთი მასონური ორგანიზაციის წევრიც იყო. როგორც პოლიციისთვის მიცემულ აღიარებით ჩვენებაში ამბობს, 2002 წელს ის ნორვეგიული საიდუმლო ორგანიზაციის „ტამპლიერთა მხედრების“ წევრიც გახდა. ორგანიზაციის მთავარი პრინციპები „ჯვაროსნების ნაციონალიზაციას“ ეფუძნებოდა. ორგანიზაციაში მომავალმა ტერორისტმა „კარიერულ ზრდას“ მიაღწია – მას ტამპლიერის საპატიო წოდება მიენიჭა.

თანამოაზრეები მას საიდუმლო სახელს-სიგურს უწოდებდნენ. ამიერიდან სიგურის სახელად წოდებულ ტამპლიერს საპასუხისმგებლო სამუშაო დაევალა, რაც ორგანიზაციის იდეოლოგიისა და პრინციპების ჩამოყალიბებას ითვალისწინებდა.

სწორედ ამ დროიდან ხდება ბრეივიკი ინტერნეტ-ფორუმების აქტიური მომხმარებელი. ტერორისტი სისტემატიურად ტოვებს რადიკალური შინაარსის კომენტარებს ნორვეგიაში პოპულარულ საიტებზე და შვედურ ფაშისტურ ინტერნეტ-ფორუმებზე.

2009 წელს ბრეივიკის კრიტიკა უკვე პროტესტანტულმა ეკლესიამაც დაიმსახურა. ის ღიად აკრიტიკებდა „ჯინსებში შემოსილ“ მღვდლებს, რომლებიც მისი თქმით, მხარს პალესტინას უჭერდნენ. „ეკლესიები სავაჭრო ცენტრებს დაემსგავსა“, – წერდა ბრეივიკი.

2009-2010 წლებში ბრეივიკი საკუთარი თანამოაზრეების მონაცემთა ბაზის შექმნას შეუდგა. ამაში მას სოციალური ქსელები და ფორუმები ეხმარებოდა. მომავალმა ტერორისტმა თავი ფერმერობაშიც სცადა. ფერმაში ბოსტნეულთან ერთად მარიხუანაც მოჰყავდა.

### მზადება ტერაქტისთვის

რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელი ხშირად დადიოდა სამხედრო ფორმაში, თუმცა ეს ფაქტი არავის აკვირვებდა – ზრდილობიანი და მშვიდი ადამიანი, რომელიც „ბუზსაც კი არ ააფრენდა“ საზოგადოებაში არავითარ ეჭვს არ ბადებდა.

17 ივლისს ბრეივიკმა ტვიტერ-ში მიკრო-ბლოგი გახსნა და ერთადერთი ჩანაწერი დატოვა – „რწმენით აღსავსე ერთი ადამიანი, 100 ათასს უდრის“, ტერაქტის დღეს კი ბრეივიკმა ინგლისურენოვანი მანიფესტი – „2083: ევროპის დამოუკიდებლობის დეკლარაცია და ტამპლიერების ხედვა ისლამიზაციაზე“ განათავსა.

„ნაშრომის“ პუბლიკაციიდან რამდენიმე საათში მსოფლიო საინფორმაციო საშუალებების მთავარი თემა ნორვეგიის ტერაქტების სერია იყო.

### 22 ივლისი – სისხლიანი პარასკევი ნორვეგიაში

15:30 მსოფლიოს წამყვანი ტელეარხები – ოსლოში სამთავრობო კანცელარიასთან აფეთქება მოხდა. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის კაბინეტის მინები ჩამსხვრეულია, ხანძარი გაჩნდა ახლომდებარე შენობებში. დაღუპულთა და დაშავებულთა რაოდენობა ზუსტდება.

პირველი აფეთქებიდან დაახლოებით ორ საათში საინფორმაციო საშუალებების ეპიცენტრი კვლავ ნორვეგია იყო. ამჯერად ბრეივიკმა კუნძულ უტოიაზე გადაინაცვლა. ტერორისტის „იდეოლოგიას“ 69 ადამიანი ემსხვერპლა.

ისინი, ვინც ბრეივიკის ტყვიას სასწაულებრივად გადაურჩნენ, ყვებიან, რომ ტერორისტი განურჩევლად ესროდა ყველას, არ ჩქარობდა, საოცრად მშვიდი იყო. სტუდენტები გარბოდნენ, თუმცა ბრეივიკი იმდენად დაუნდობელი იყო, რომ წყალში შესულ ახალგაზრდებსაც კი ცხრილავდა.

ესროდა ყველას, ყურსასმენებში კი „კრავთა დუმილის“ საუნდრეკს უსმენდა.

„მე უკვე მოვრჩი“ – ტერორისტის სწორედ ეს სიტყვები გაიგონა ერთ-ერთმა დაჭრილმა, როდესაც ბრეივიკი „საქმეს მორჩა“.

მალევე გაირკვა, რომ გარდაცვლილთა შორის ყველაზე მცირეწლოვანი 14 წლის ბიჭი იყო.

რამდენიმედღიანი ძებნის შემდეგ, ზურგში ორი ნატყვიარით იპოვნეს 23 წლის საქართველოს მოქალაქე თამთა ლიპარტელიანი.

### პოლიცია და დაკავება

სამართალდამცავთა მიმართ ყველა მხრიდან უკმაყოფილება გაისმა – პოლიცია კუნძულზე საათნახევრის დაგვიანებით გამოჩნდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს მხოლოდ ერთი ვერტმფრენი ჰყავდა, რომელიც ტრაგედიის დროს შვებულებაში იმყოფებოდა.

ტერორისტს წინააღმდეგობა არ გაუწევია. საკმაოდ ამაყი იყო ჩადენილი ქმედების გამო და არაფერს ნანობდა. „საშინელება ჩავიდინე, თუმცა არ ვნანობ, ასე იყო საჭირო,“ – აცხადებდა ტერორისტი. ასევე ის აცხადებდა, რომ ტერაქტები საკუთარი მანიფესტის „გაპიარების“ მიზნით განახორციელა.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ბრეივიკი კიდევ ორ ტერაქტს გეგმავდა, კუნძულ უტოიაზე კი მისი მთავარი სამიზნე ნორვეიის ყოფილი პრემიერ-მინისტრი გრუ ხარლემ ბრუნტლანი იყო.

ტერორისტის პიროვნების შესახებ ბევრი რამ მისი დაკითხვებიდან გაირკვა. კერძოდ ის, რომ ბრეივიკის სამაგიდო წიგნი ფრანც კაფკას „პროცესი“ და ჯორჯ ორუელის „1984“ ყოფილა. ასევე ბრეივიკი აქტიური გეიმერიც არის. საბრძოლო ხელოვნების ნიუანსები მათი საშუალებით აუთვისებია.

ბრეივიკი ვლადიმერ პუტინისა და რომის პაპ ბენედიქტ XVI-ის „ფანიც“ ყოფილა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# მეამბოხე ეგვიპტელები უცხოელ ჟურნალისტებზე ძალადობენ

არეულობებით მოცული ეგვიპტე ჩამოსული ჟურნალისტებისთვის უაღრესად სახიფათო გახდა. ქაიროში, სადაც მთავარი შეტაკებები ხდება, უცხოელ ჟურნალისტებზე ძალადობის შემთხვევები გახშირდა.

ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო ორგანიზაციამ



„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“, მასმედიას ეგვიპტეში კორესპონდენტების გაგზავნის დროებით შეწყვეტისკენ მოუწოდა, – წერს „გარდიანი“.

ხუთშაბათს ქაიროში ამერიკელი ჟურნალისტი მონა ატტაჰავი გააუპატიურეს. 44 წლის ქალი ტაჰრირის (თავისუფლების) მოედანზე დააკავეს და პოლიციაში მიიყვანეს. განყოფილებაში ატ-ტაჰავიმ 12 საათი გაატარა, განთავისუფლების შემდეგ კი განაცხადა, რომ სცემდნენ და აუპატიურებდნენ.

ამავე დღეს, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა ფრანგი ჟურნალისტი კაროლინ სინზი. ტელეარხ ფრანს3-ის კორესპონდენტ კაროლინ სინზსს ტაჰრირის მოედანზე მოზარდების ჯგუფი თავს დაესხა, – იუწყება „რია ნოვოსტი“.

ჟურნალისტი და ოპერატორი მუჰამედ მაჰმუდის ქუჩაზე სიუჟეტს იღებდნენ, სადაც ბოლო ხუთი დღის განმავლობაში დემონსტრანტებს და პოლიციელებს შორის გააფთრებული შეტაკებები მიმდინარეობდა. ამ დროს მათ 14-15 წლის მოზარდები თავს დაესხნენ.

ჟურნალისტის თქმით, ის ოპერატორისგან გამოაცალკევეს და ცემა დაუწყეს. მოზარდებმა მსხვერპლი ტაჰრირის მოედანზე გაიყვანეს, სადაც მათ უფროსი მამაკაცები შეუერთდნენ. მათ ქალს ტანსაცმელი შემოახიეს.

ამის შესახებ ჟურნალისტმა სააგენტო „აფრ-ს“ მოუყვა.

თავდასხმა დაახლოებით 45 წუთი გრძელდებოდა, რის შემდეგაც ქალმა თავდამსხმელების მოგერიება მოახერხა.

ბოლომდე ნათელი არ არის, ის ვინ გადაარჩინა: როგორც ჩანს, მის დასახმარებლად დემონსტრანტები მოვიდნენ.

ფრანგული ტელეარხის ოპერატორს ასევე სცემეს.

ჟურნალისტმა კი სასტუმრომდე მიაღწია, სადაც მედიკოსები და საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები გამოიძახა.

„ნიუსრუ ისრაელი“ ეგვიპტური ტელევიზიის კადრებს აჩვენებს, რომლებზეც კაროლინ სინზი 2011 წლის 24 ნოემბერს, ტაჰრირის მოედანზე ჩანს.

ეგვიპტეში დემონსტრანტების და პოლიციელების შეტაკებებს უკვე 41 ადამიანი ემსხვერპლა, მათგან 36 ქაიროში, ტაჰრირის მოედნის რაიონში დაიღუპა. დაჭრილების საერთო რაოდენობამ 4 ათასს მიაღწია, საავადმყოფოებში რჩება 121 ადამიანი.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ოფიცრის ჩინი; 2. ძმარმჟავას მარილი; 3. გაზაფხულზე ნაპარსი მატყლი; 4. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე; 5. აივნიანი პატარა სახლი ინდოეთში; 10. ქვეწარმავალთა მეორე სახელწოდება; 11. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 12. ჭაბურღილიდან წყლის, ნავთობის ამოსაქაჩი პნევმატური მოწყობილობა; 15. ცოდვათა მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 16. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აეროპორტი ბელგრადში; 20. ყავის მოსადუღებელი ტარიანი სპილენძის ჭურჭელი.

**თარაზულად:** 6. მცდარი მხედველობითი, სმენითი, ყნოსვითი ან შეხებითი აღქმა; 7. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 8. ქართველი სპორტული ჟურნალისტი მამაკაცი; 9. ძვირფასი თვლების წონის ერთეული; 13. ფრანგი იმპრესიონისტი მხატვარი; 14. მფრინავი ცხოველი; 18. ქართველი მხატვარი; 19. მდინარე გურიაში; 21. მაღალყელიანი ფეხსაცმელი; 22. გია დანელიას კინოკომედია; 23. ილია ჭავჭავაძის პოემა; 24. მითოლოგიური „მარადიული ურია“.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

შვეულად: 1. მარგალიტი; 2. ფაეტონი; 3. ფიგარო; 4. სიამი; 5. იშხანი; 11. ბაცილა; 12. ტაციტი; 14. ჟირო; 16. ლანქერი; 17. პატრიცი; 19. რეცეპტი; 21. ჯავრი; 22. შატლი.

თარაზულად: 6. ნატამალი; 7. ბაიყუში; 8. მუყაო; 9. კაზინო; 10. რომბი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. ბარტერი; 20. აბიო; 21. ჯოკერი; 23. ფილანტროპი; 24. ცაგერი.

### კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბარიტონი; 2. ნირვანა; 3. სმოგი; 4. ქუვეიტი; 5. გიენოსი; 10. დინასტია; 11. მუჯურეთული; 12. აზბესტი; 15. კაბალიერო; 16. ხვიფლი; 17. რევანში; 20. პონტო.

თარაზულად: 6. კარდიოგრამა; 7. კუბრიკი; 8. ფრიმანი; 9. ვოლანი; 13. ბიტი; 14. ვუვეზი; 18. ლელობურთი; 19. ნესვი; 21. ნოკია; 22. სინუსი; 23. აინშტაინი; 24. ტრომბონი.

ახალი თაობა
გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**26 ნოემბერი**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6613 |
| ევრო | 2,2702 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7208 |
| რუსული რუბლი | 0,057 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5–10, ღამით — 0–1

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით —12–17, ღამით — 5–8

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 1–3, ღამით — -10–0

**ამინდის პროგნოზი 26 ნოემბრისთვის**







მალე გამოვა სერია

# „ისტორია და ამოუცნობი სამყარო“

## პირველი ტომი - ტირანები

ისტორიის 100 ყველაზე სასტიკი დესპოტი და დიქტატორი

გამოსაცემად მზადდება:

- 100 გამოჩენილი მხედართმთავარი
- უდიდესი ბრძოლები
- 100 ლიდერი, ვინც შეცვალა ისტორია
- კანიბალიზმის ისტორია
- 100 გამოჩენილი მეცნიერი
- მასონები - იდუმალი საძმო
- მაფიის ისტორია

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

**26 ნოემბერი – წარმატებული დღეა**

**ვერძი** – სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **კურო** – ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** – არ აჩქარდეთ, რამე არ გამოგეპაროთ. **კირჩხიბი** – მოწყენილი ხართ, თავი ხელში აიყვანეთ. **ლომი** – რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ.. **ქალწული** – უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით, მოგწონთ ეს მდგომარეობა. **ღრიანკალი** – ახალი ნაცნობობა სარფიან საქმემდე მიგიყვანთ. **მშვილდოსანი** – თქვენი მეგობარი დაგეხმარებათ. **თხის რქა** – გზიდან ვიღაც ჩამოდის და თქვენთვის რაღაც ჩამოაქვს. **მერწყული** – პატივი ეცით თქვენს ოჯახს, ნუ აყვებით ვიღაცებს. **თევზები** – არ არის საჭირო ზედმეტი აქტიურობა, ჩვეულებრივად შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

**27 ნოემბერი — მხიარული დღეა**

**ვერძი** — წარმატებული დღეა, იაქტიურეთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — მშვენიერი დღეა, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ, პრობლემები არ გექნებათ. **მშვილდოსანი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **თხის რქა** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ნუ აჩქარდებით. **მერწყული** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე წინ მიდის. **თევზები** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, არ გადაიღალოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## უეფას სიტყვა კანონია

გეხსომებათ, რამდენიმე დღის წინ ვწერდით, რომ უეფამ საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ეტაპზე გასვლა მოლდოველთა აპელაციის შემდეგ ჩამოართვა, რომლებიც წესდების თანახმად თავად იმსახურებდნენ ამას. თუმცა, საქართველოს გარისკა და აპელაცია ახლა თავად შეიტანა. უეფას ვებგვერდზე ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ეტაპის განრიგი გამოქვეყნდა, სადაც მე-3 ჯგუფში სლოვენიის, სერბეთისა და ისრაელის ნაკრებთა მეტოქედ მოლდოვაა მოხსენიებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ უეფამ საბოლოოდ დააკმაყოფილა ამ ქვეყნის ფუტსალის ასოციაციის პროტესტი და საქართველოს ნაკრებთან მატჩში, რომელიც მოლდოველებმა პენალტების სერიით დათმეს, გამარჯვება მიაკუთვნა.

შეგახსენებთ, ფუტსალის მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი შესარჩევი ეტაპის ერთ-ერთ ჯგუფს ჩვენმა დედაქალაქმა უმასპინძლა. ბოლო ტურში ერთმანეთს საქართველოსა და მოლდოვას ეროვნული ნაკრებები შეხვდნენ.

მატჩი ფრედ, 2:2 დასრულდა და იმის მაგივრად, რომ აბსოლუტურად იდენტური მაჩვენებლების მქონე ორ გუნდს შორის პრიორიტეტი უკეთესი რეიტინგის მქონე მოლდოველებისთვის მიენიჭებინა, შეხვედრის დელეგატმა პენალტების სერია დანიშნა, სადაც ქართველებმა გაიმარჯვეს, თუმცა...



## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ქალაქის თავი ჩეხეთში; 2. ცხოველთა, ფრინველთა სათავსო ზოოპარკში; 3. ანტიფაშისტური ფერწერული ტილო „გერნიკას“ ავტორი; 4. საფრანგეთის ნავსადგური ლა-მანშის სრუტეში; 5. საათის მექანიზმი; 11. ქართველი ასტრონომი, აკადემიკოსი; 12. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა; 14. სქელი მურაბა; 16. ძვირფასთვლებიანი ქალის გვირგვინი; 17. სანადირო თოფით სასროლი მსხვილი საფანტი; 19. ქსოვილი, რომელიც გაჟღენთილია წყალგაუვალი ნივთიერებით; 21. ერაყის ნავსადგური სპარსეთის ყურეში; 22. კვირა დღის ქართული სახელწოდება.

**თარაზულად:** 6. ჩხუბის გამომწვევი, ამტეხი ადამიანი; 7. უმაღლესი კატეგორიის დიპლომატი; 8. კოვბოების შეჯიბრი; 9. მუზეუმი რომში; 10. გარკვეული ვადითა და პირობით გაცემული თანხა; 13. სპორტული თამაშის არბიტრი; 15. სასამართლო უწყების უფროსი ძველად საქართველოში; 18. კუთხე საქართველოში; 20. ქართული სამშენებლო კომპანია; 21. მორის რაველის ცნობილი საორკესტრო ნაწარმოები; 23. უმაღლესი სასულიერო პირი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 24. მწყრის მართვე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

## იუმორი



* * *

— საახალწლო ღამეს გეი-კლუბში სანტა-კლაუსს ნაძვის ხის ქვეშ ჩაეძინა და საჩუქრად გადაიქცა...

* * *

— ინდაურმა ამერიკელი კოლონისტები შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა. მას შემდეგ ამერიკელები მადლიერების ნიშნად ყოველწლიურად მილიონობით ინდაურს კლავენ და მიირთმევენ.

— გაუკეთე ამის შემდეგ კაცს სიკეთე...

ტელეფონმა დარეკა. ყურმილი ბავშვმა აიღო.
— ვინ გნებავთ?
— მამა შინაა?
— არა, წავიდა.
— დასასვენებლად?
— არა, დედასთან ერთად...

* * *

ტიპმა სახელოსნოში ჯართად ქცეული მანქანა მიიტანა. მექანიკოსმა შეხედა და კეფა მოიქექა. ტიპი უხსნის:
— მოკლედ, რაშია საქმე, ცოლი დიდი სიჩქარით პირდაპირ ბოძს დაეჯახა.
მექანიკოსი დაეჭვებით აქნევს თავს:
— რამდენჯერ?